



# საქართველოს საგარეო ურთიერთობების მინისტრის

ს.ს.ს.რ.  
სსრკ-ს საგარეო ურთიერთობების  
მინისტრის  
დირექტორის  
დ. ბ. ბ. ბ.

## → შინაგარეო →

- ა. კაპარავა.— სათემო სასამართლოების (კომისიების) ორგანიზაციის შესახებ.
- თ. დოლიძე.— როგორ უნდა მუშაობდეს მაზრის პროკურორი.
- კ. აბაშიძე.— სადავო საკითხი.
- კ. მიქელაძე.— კომლის და მის წევრთა უფლებების მოცულობა და მოქმედების საფუძვლები.

### თარგმანის მასალებისათვის.

- ბ. ქავთარაძე.— თვით მასალა.

### პრაქტიკის უნივერსალი.

- 6. კინკრაძე.— შრომის კონფლიქტების გაჭიანურების საკითხისათვის.
- ერ. როდონია.— 1. აღმასრულებელი ფურცელი და მისი სისრულეში მოყვანა. 2. მიწის კოდექსის 24 მუხლი.
- ი. კაციტაძე.— უწყების ჩაბარება.
- ვ. გეჭაძე.— შეუძლია თუ არა სასამართლოს დაუშვას არსებული კანონის საწინააღმდეგო გარიგება?
- ბ. მოისრაფეშვილი.— სისხ. სამ. საქმეზე უწყების უწყსოდ ჩაბარების მეფე შედეგები.

### მოკვლევის საკითხები.

- დ. მირიანაშვილი.— დათვალიერების წარმოების ტენიკა სისხლის სამართლის საქმეზე.

### სასამართლო და ცხოვრება.

- თ. შოშიაშვილი.— კიდევ „ვოლოკიტაზე“.

### იურიდიული დახმარება.

კანონმდებლობის მიმოხილვა.

ოფიციალური ნაწილი.

# № 8

# აპრილი

# 1928

15



# 1928 წლის 1 იანვრიდან

გ ა მ ო დ ი ს ს. ს. ს. რ. იუსტიციის სახელსო კომისარიატის

ორკვირეული ორგანო

## „ს ა ბ ჯ ო ტ ა ს ა მ ა რ ო ტ ა ლ ი“

**„საბჭოთა სამართალი“** ისახავს მიზნად გაუფრთხილებური ხელმძღვანელობა იუსტიციის მუშაკებს და გააზრდეს სასამართლო-უფლებრივი საკითხები, როგორც თეორიული აგრეთვე პრაქტიკული ხასიათისა საბჭოთა უანონმდებლობის და ხელი-სუფლების პოლიტიკის ძირითადი პრინციპების მიხედვით.

**„საბჭოთა სამართალი“** დიდ ყურადღებას აქცევს სასამართლო მუშაობის პრაქტიკულ მხარეს და დაეხმარება სასამართლოს დარგში ყველა ომუშავეთ საანადო მასალის მიწოდებაში, ადამ საკითხების განმარტებით, სასამართლო პრაქტიკის მიმოხილვით, კოდექსების სხვა და სხვა მუხლების ახსნა-განმარტებით და კომენტარებით

**„საბჭოთა სამართალი“** დიდ ყურადღებას მიაქცევს აგრეთვე სასამართლო დაწესებულებებში ბიუროკრატიზმთან ბრძოლას და დაუნდობლად ამხელს იუსტიციის მუშაკთა უარყოფით მხარეებს.

ჟურნალში დათმობილი აქვს ადგილი პენიტენციურს, სამილიციო და სისხლის სამართლის სამკაბრო მილიციის მუშაობას.

გარდა თეორეტიული და პრაქტიკული ხასიათის წერილებისა ჟურნალში არის აგრეთვე

შემდეგი განყოფილებები:

საბჭოთა კანონმდებლობის მიმოხილვა, სასამართლოს ცხოვრება, ქრონიკა, გიბლიოგრაფია, იურიდიული დახმარება (კითხვა-პასუხი), ოფიციალური ნაწილი (დადგენილებები, განმარტებები, ინსტრუქციები, ცირკულარები), ფოსტა, განცხადებები და სხვ.

ჟურნალში თანაუბრდებლად შემდეგი კანონები:

(ანბანზე)

აღზოვი ა., ამალღობელი ს., ანდრონიკაშვილი ლ., ბაზოვი გ., გაბაშვილი დ., გალუხტიანი ა., დოლიძე თ. ვარდანიანი ს., ვარძიელი ი., ვაჩეიშვილი ა., იუზბაშვილი გ., კაჭარავა ა., კოსტავა ა., კუხიკოვი ა., ლუნკევიჩი ვ., მახარაძე ფ., მესხიშვილი შ., მიქელაძე კ., ნანეიშვილი გ., ნუცუბიძე შ., პავლიაშვილი ი., პლეტნიკოვი კ., როინაშვილი ი., რცხილაძე გ., სიჭინავა ი., სურგულაძე ი., ტალახაძე ი., ტატიშვილი ე., ქავთარაძე პ., ქორქაშვილი მ., შავერდოვი ა., შურღია ლ., ჩხეიძე ს., ჯაფარიძე ს. და სხვ.

პასუხისმგებელი რედაქტორი: ი. ვარძიელი

სარედაქციო კოლეგია: ა. კაჭარავა, დ. დოლიძე, პროფ. შ. ნუცუბიძე, ი. როინაშვილი, ს. ჯაფარიძე, კ. მიქელაძე, პ. ქავთარაძე

ხელის მოწერის ფასი: წლიურად—10 მან., 6 თვით—5 მ. 50 კაპ., 3 თვით—3მ. ფასი თითო ნომრისა—50 კაპ.


სამ თვეზე ნაკლები ხელაიამოვარა არ მიიღება.

რედაქციის და კანტარის მისამართი: ტფილისი, ტრიბუნალის ქ. № 32 ტელეფონი № 13—68.

34(05)

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# საბჭოთა საბარბოლი



№ 8

15 აპრილი 1928 წ.

№ 8

613.

რედაქციის და კანტორის  
მისამართი:

თფილისი, ტრიუმფალის  
ძ. № 32  
ტელ. № 13-68

ხალისმოყვარის ფასი:

წლიურად — 10 მან.  
6 თვით — 5 მ. 50 კ.  
3 თვით — 3 მ.  
1 ნომერი 50 კ.

## სათემო სასამართლოების (კოპისიების) ორგანიზაციის შესახებ.

გასული წლის ნოემბრის თვეში გატარებულმა სასამართლოს რეფორმამ ოლქის სასამართლოების ნაცვლად შექმნა სამაზრო სასამართლოები და განამტკიცა ცხოვრებაში სასამართლოს მეტი დაახლოვება მოსახლეობასთან და საქმეების მეტის ტემპით, სიჩქარით განხილვა-დადასტოვების შესაძლებლობა. მაგრამ არც ეს რეფორმა კმაყოფილებს საესებით ცხოვრების მოთხოვნას. ჩვენს სახალხო სასამართლოს, რომელიც ახლო სდგას მოსახლეობასთან, არ შეუძლია სათანადო სიჩქარით და სისწორით წარმართოს მასთან აღძრული საქმეები, რადგანაც უკანასკნელთა რიცხვი დღითი დღე მატულობს. სახალხო სასამართლოებს წარმოებაში აქვთ დიდი რიყები და ეს მათ შიში ტვირთად აწვება. ასეთ პირობაში არ არის იმის იმედი, რომ სახალხო სასამართლოები განტვირთულ იქნებიან ისე, რომ საქმეების განხილვა-გადაწყვეტა სწორად ხდებოდეს. ამ საქმეებს შორის ბევრი ისეთებია, რომლებსაც შრომელი გლეხობისათვის საარსებო მნიშვნელობა აქვთ და რომლებიც თხოულობენ მიღვამს არა იურიდიულის, არამედ გლეხობის ყოფაცხოვრების მხრივ, რათა ისინი სისწორით იქნენ გადაწყვეტილი. ამიტომ საჭიროა ასეთ საქმეების გარჩევა შეინდოს ადგილობრივ მცხოვრებთ, რომლებმაც იციან სოფლის ყოფაცხოვრება და მოსახლეობაში განმტკიცებული ზნე-ჩვეულებანი და რომლებიც მამასადამე გამოდგებიან კარგ მოსამართლეებათ. გარდა ამისა საქმეების ადგილობრივ გადაწყვეტა იმდენად არ გააცდენს შრომელი გლეხს, არ გამოიწვევს მისთვის შიში ხარჯს. ასეთი ხარჯის გაღება მას უხდება ხოლმე იმ შემთხვევაში, როცა საჩივარი აღიძვრება სახალხო სასამართლოში, რომელიც იმყოფება რამოდენიმე ათეულ ვერსის მანძილზე მის სოფლიდან. ხარჯების სიდიდის გამო გლეხი ხშირად თავს ანებებს თავის, თუმცა თანხის მიხედვით მცირეს, მაგრამ გლეხის ინტერესის მიხედვით კი ძლიერ მნიშვნელოვან საქმეს. მაგრამ თუ ზოგჯერ ის მიმართავს სასამართლოს, ის კმაყოფილი ვერ რჩება, რადგანაც წვრილმან საქმეებს არ აქვს სწრაფი მსვლელობა იმის გამო, რომ სასამართლოს აქვს განსახილველი ბევრი საქმე; მათ შორის დიდი ადგილი უკავია მსხვილ და საზოგადოდ უფრო მნიშვნელოვან საქმეებს. ამას ემატება გამოტანილი გადაწყვეტილების ან განაჩენის განსაჩივრება მეორე მხარის მიერ და მათი გაუქმების გამო ისევ სხვა უბნის სახალხო სასამართლოში საქმის გადასვლა. შესაძლებელია, რომ მეორე უბნის სასამართლომ არ გადაწყვიტოს საქმე ისე, როგორც ამას მოითხოვს კანონი; ის ისევ იქნება განსაჩივრებული და საკასაციო ინსტანციის მიერ განხილული და სხვ. საქმის ასეთი ვითარებით გლეხი არ

იქნება კმაყოფილი და შეიძლება მწუხარებაც გასთქვას, რომ სასამართლოს მიმართა საჩივრით.

სახალხო სასამართლოებში ბევრი ისეთი საქმეებია გლეხობის, როგორც მაგალითად ძალადობისა, შეურაცხყოფისა, თვითნებურად მიწის დახვნის, საქონლის მოკვლის და სხვ., რომლებიც იწვევენ გლეხთა შორის დამოკიდებულების გამწვავებას, მტრულ დამოკიდებულებას, შეტაკებას. ხშირად ასეთ მოვლენას თან სდევს პიროვნების დასახიჩრება, მკვლელობა, გადაწვა, სისხლის აღება და სხვ.

გლეხს სჭირდება ისეთი, მისთვის ახლო და მისაწდომი სასამართლო, სადაც საქმე გაირჩევა უბრალო წესით, სადაც მოსამართლეებათ იქნებიან ისეთი პირები, რომლებიც ეკუთვნიან ადგილობრივ გლეხობას. ამ მოსამართლეებს კარგათ ეცოდინებათ იმ მოსახლეობის უმრავლესობა, რომლებიც მათ მიმართავენ საჩივრით, და ამიტომ უფრო სწორად შეაფასებენ მათ მოთხოვნებს და განცხადებებს.

დღევანდელი პირობები რომ იძლეოდნენ საშუალებას გავაფართოოთ სახალხო სასამართლოების ქსელი ისე, რომ სასამართლო გვეყოლოს ბევრად მეტი, მაშინაც ამის განხორციელებას ჩვენ ვერ შეეძლებთ იმის გამო, რომ არა გვეყავს ჩვენი სამართლის ვასაგებად და იდეოლოგიურად მის შესაფასებლად მომზადებულ მუშაკთა საკმაო რიცხვი. დღითი-დღე ჩვენ მივდივართ წინ, ვამყარებთ სასამართლოს მტკიცე პრაქტიკას, ვფართოვებთ სას. ქსელს, ხელს ვუწყობთ მშრომელთა მომზადებას მოსამართლის მოვალეობის ასასრულებლად, მაგრამ ჩვენი მიზნის განხორციელება მომავლის საქმეა. ამჟამად კი ცხოვრება დაჟინებით მოითხოვს, რათა მშრომელ გლეხობას მიეცეს ისეთი სასამართლო, რომელიც მასთან ახლოა და რომელსაც ის ადვილად, დაუბრკოლებლად მიმართავს. ასეთი სასამართლო ჩვენ გამოგვადგება თემის აღმასკომთან დასარსებელი სასამართლო ან სასამართლო კომისია, რომელმაც უნდა გააარჩოს სამოქალაქო საქმეები მცირე თანხისა და აგრეთვე წვრილმანი სისხლის სამართლის საქმეები. ამ სასამართლოებს გაუწყვენ სამსახურს თემის აღმასკომის ტექნიკური ძალები სასამართლო საქმეების წარმოების საქმეში.

სათემო სასამართლოს წინააღმდეგ შეიძლება გამოთქმულ იქნეს ის მოსაზრება, რომ ის არაფრით არ განსხვავდება მეფის დროის სოფლის სასამართლოსაგან, რომ მას იქნება ყველა უარყოფითი მხარე, რის გამო მათ გლეხი ნდობით არ ეპყრობოდა. მეფის დროის სოფლის სასამართლოს ყველა მუდმივი შემადგენლობა, რომლის წევრები ეკონომიურად და უფლებრივად იყვნენ დამოკიდე-

ბულნი. მოწინავე და მშრომელი გლეხები მოსამართლეთ არჩევას გაუბრუნდნენ, რადგანაც სთვლიდნენ, რომ ამ მოვალეობის თავის თავზე მიღება დაახარალებდა მის მუშურნიობას. ამიტომ გლეხობის ბედი იყო მინდობილი ზენობრივად უღიროს, წერა-კითხვის არა მცოდნე პირთათვის, რომლებიც მიუდგომლობას ვერ იჩენდნენ, მხარეებთან ისეთ დამოკიდებულებას ამყარებდნენ, რომლის გააო ამ სასამართლოს სამართლიანობაზე ლაპარაკი არც შეიძლებოდა. ერთად ერთი პირი, რომელსაც ენდობოდა საქმის წარმოება და რომელმაც იცოდა კანონები და სასამართლოს პრაქტიკა, იყო სოფლის მწერალი: მხოლოდ ის ერკვეოდა საბუთებში, მხოლოდ მას შეეძლო ჩაეწერა მოწმეთა ჩვენება და მხარეთა ახსნა-განმარტება და გადაწყვეტილების დასაბუთება. ამას ბუნებრივად მოჰყვებოდა ხოლმე ის, რომ მწერალი ხდებოდა მრჩეველი და სოფლის სასამართლოს ხელმძღვანელი. ამით არ ამოიწურებოდა სოფლის სასამართლოს უარყოფითი მხარეები. მას სხვა ნაკლიც ჰქონდა. ამისი მიზეზი იყო პოლიტიკური წესწყობილება. ამ ჟამად მდგომარეობა სოფლად სულ სხვაა: სოფელი გაიზარდა, ის უფრო შეგნებული გახდა, სოფელი ჩამშლია პოლიტიკურ ცხოვრებაში, პოლიტიკურ მომზადებას ღებულობს, ახალ მუშაებს იძლევა. არჩევნებში გლეხობა აქტიურ მონაწილეობას იღებს და ასახელებს კანდიდატებს საბჭოში ასარჩევად სხვადასხვა ორგანიზაციებში (პარტიულ, საგლეხო, კოოპერატიულ ორგანიზაციებში, პროფ-კავშირში) მუშაობით გაწვრთნილ პირთ. ასეთი შემაღლებლობა უკვე იმის საწინდარია, რომ სახალხო მსაჯულად გლეხობიდან შეგნებულნი გაველენ. საიმედო ელემენტებს წარმოადგენენ აგრეთვე სოფლის ინტელაგენციის წარმომადგენლებიც, რომლებიც ჩამშლია ამ ჟამად პოლიტიკურ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში. ასეთ პირობაში იმ მოვლენებზე ლაპარაკი, რაც ახსნათებდა მეფის დროის სასამართლოს (მოსყიდვა მოსამართლისა, მიდგომა და სხვა) შეუძლებელია, რადგანაც სოფლის თვითმოქმედება და მისი საზოგადოებრივ ცხოვრებაში მონაწილეობის აქტივობა დიდად გაძლიერდა და გაფართოვდა. საქმარისია ითქვას, რომ ღია არჩევნების დროს ასარჩევი პირის კანდიდატურა განიცდის შეფასებას ყოველ მხრივ, ბევრი ნაკლი მქადავდება ხოლმე და ძნელი მოსალოდნელია, რომ ვინმემ გაბედოს მიიღოს მხარის დაპატიმრება, რადგანაც სოფელში არაფერი დაიძალება და ყველა ეს საზოგადოების განსახილველად, სამსჯავროდ გამოიტანება და დამნაშავე საბოლოო ანგარიშით ბრალდებულის ადგილს დაიკავებს. არ უნდა დავივიწყოთ აგრეთვე როლი და სიძლიერე პრესისა ჩვენ ცხოვრებაში. პრესის ფურცლებზე აღინიშნება ყველა ის, რაც სოფელს ახსნათებს. ბოროტმოქმედებანი და შეცდომები ადგილობრივი ორგანოებისა და წარმომადგენლებისა გამოქვეყნდებიან ხოლმე გაზეთის ფურცლებზე და ბევრს მათგანს პასუხისგებაში აძლევენ სხვადასხვა დანაშაულის გამო—კორესპონდენციების წყალობით.

თემის მოსამართლე თანამდებობის ასრულების დროს გათანაბრებული უნდა იქნეს თანამდებობის პირთან და პასუხი აგოს სისხლის სამართლის ძალით, რომელიც ითვალისწინებს პასუხისმგებლობას თანამდებობრივ დანაშაულისათვის.

თემის სასამართლოს სათავეში უნდა იყოს თემის აღმასკომის ან საბჭოს წევრი არჩევით და მსაჯულებათ მორიგეობით საბჭოს წევრები რომლებიც შესძლებენ ამ საქმეებს გაუძღვენ, და გაერკვიონ, გამოიტანონ მოკლე დადგენილება იმის აღნიშვნით, უარყოფილია სარჩელი, თუ იგი დაკმაყოფილებულია, ან გამტყუნებულია ბრალდებული თუ გამართლებული.

სასამართლოს თავმჯდომარე და მდივანს უნდა მიეცეს დამატებითი სამუშაოს გამსამრჯელო, მაგრამ ეს უკანასკნელი უნდა იყოს მცირე. ამ ხარჯების დასაფარავად უნ-

და იქნეს გამოყენებული საკანცელარიო გადასახლეო აგრეთვე ის თანხები, რომელიც შემოვა ჯარიმის სასამართლოში.

ამ მოვალეობის ასრულება არ წაართმევს ამ საქმე ჩამოულ პირთ ბევრ დროს, საქმეები უნდა იქნეს დახმული გასარჩევად მოსახლეობისათვის ხელსაყრელ დროს. ე. ი. კვირა-უქმე დღეს.

ჩვენ არ შეგვხვებოთ ახალი სასამართლოს ანუ სიის საქმიანობის ყველა მხარეს აქ ჩვენ საქმიანობა ჩნია შევაჩეროთ ყურადღება განზრახულ ახალი სასამართლოს ერთ დადებით მხარეს. ეს უნდა შევიდეს სასამართლოს საერთო სისტემაში მისი დამორჩილებით სახალხო სასამართლოს ზედამხედველობისადმი, რომელსაც უკვე დაავალოს უშუალო ხელმძღვანელობა გაუწიოს მას. კეთათოს მას რევიზია, მისცეს ინსტრუქცია სასამართლო პოლიტიკისა და პრაქტიკის და საქმის წარმოების დასახმით. ეს ზედამხედველობა ამით არ თავდება. სახალხო სამართლემ რევიზიის შედეგები უნდა აცნობოს სასამართლოს, რომელიც თავის მხრით მაზრის ყველა სამართლებრივი მოღვაწეობის შესახებ ანგარიშს ადგენს მასზე მაღლა მდგომ სასამართლოში. ამ რიგით ახალი სასამართლოს მოღვაწეობა უნდა იქნება უმაღლეს სასამართლოს კონტროლის და ზედამხედველობის ქვეშ. მაგრამ სახალხო სასამართლოს უნდა ჰქონდეს უფლებადანსიჯოს თემის სასამართლოს დადგენილებანი, თუ უკმაყოფილო მხარის მიერ იქნა ასეთი განსაჩივრებელი ვოლოკიტის თავიდან ასაცილებლად სახალხო სასამართლოს უნდა მიეცეს უფლება შესცვალოს თემის სასამართლოს გადაწყვეტა უიმიოდ, რომ საქმე იქნეს გადაზენილი ხელახლად განსახილველად. სახალხო სასამართლოს დადგენილება ამ შეთხვევაში საბოლოო უნდა იქნა და მისი განსაჩივრება არ უნდა იყოს დაშვებული.

თემის სასამართლოების მოწყობა ჩემის აზრით უკლებელია ამ საკითხს უნდა მიეცეს ჯეროვანი ყურადღება სასამართლოს მუშაებისა, რომელთაც მოეთხოვება თავისი აზრის გამოთქმა ყურნალის საშუალებით. სასამართლო ველია, რომ სასამართლოს მოღვაწეებმა განსაკუთრებული ყურადღებით მოეპყრან და გამოსთქვან ამ საკითხზე—თუ არა საჭირო განზრახულ სასამ. დაარსება, რა ფორმის რამდენისა მისი ქვემდებარეობაზე როგორც სასამართლის საქმეებზე, ისე სამოქალაქოზე და მოაწილე ჩვენი ყურნალის რედაქციას თავისი მოსაზრებანი.

ა. კაპარაძე

## როგორ უნდა მოუხაოგდეს მასწავლებელი პროკურორი.

1.

ამ წერილით ჩვენ გვინდა რაც შეიძლება მოკლედ განვსაზღვროთ მაზრის პროკურორის უფლება-მოვალეობანი. ამ საგანზე წინეთაც ბევრი დაწერილა და თქმულმა მაგრამ ჩვენ ვფიქრობთ ზედმეტი არ იქნება, თუ კვლავ მას შეგვხვებით და მით ცოტაოდენ დახმარებას გაუწიო ჩვენს ადგილობრივ მუშაებს.

ახალ ეკონომიურ პოლიტიკაზე გადასვლის დროს საბჭოთა კავშირი დღითიდღე იზრდება და ეკონომიურად ძლიერდება. ჩვენი როგორც ქალაქის, ისე სოფლის მუშურნობა ვითარდება და მტკიცდება, რის შედეგადაც საბჭოთა ხელისუფლების განმტკიცება პოლიტიკურად მისი წონის გაზრდა მთელ მსოფლიოში. ჩვენი ქვეყნის ეკონომიურად და პოლიტიკურად აღორძინებასთან დაკავშირებით დაკავშირებით თანდათან ვითარდება და რთულდება სამოქალაქო ურთიერთობა და მუშაობა შედარებით უფრო ძნელი და მძიმე ხდება. ამ მოვალეობას ავსებს და აღიღებს უმთავრესად ის გარემოება,

ნს, საბჭოთა ქვეყანაში ჯერ კიდევ ადგილი აქვს დათ-  
ბილი კერძო ინიციატივას — კერძო კაპიტალს. აქ ძვე-  
ლი ბურჟუაზიული და ახალი სოციალისტური სისტემის  
ერთი მეორეს ებრძვის. აი სწორედ აქ არის საკითხი, თუ  
„ვის“ დასაძლევს და დაამარცხებს. ჩვენთვის აშკარაა, თუ  
კერძო კაპიტალი მცირდება და უძლურდება, სოცია-  
ლისტური სექტორი კი ვითარდება და მტკიცდება. ძვე-  
ლი სისტემა მარცხდება, ახალი იმარჯვებს. მაგრამ ეს არ  
აქვს ასე თავის თავად. ეს ბრძოლა ჩამოყალიბებული  
არის განსაზღვრულ ჩარჩოებში. მთავარი ლერძი ამ ჩარ-  
ჩოებისა გახლავთ მუშებისა და მშრომელი გლეხაკობის  
გაფრთხილება პოლიტიკური ხელისუფლების, რომელსაც  
საქმიანობის ძლიერი კომუნისტური პარტია და ამ  
კომუნისტური ხელმძღვანელობით დაამუშავებული და გა-  
საძლევს კანონები, რომლების მიხედვით ჩვენ ვაყენებთ  
განსაზღვრულ კალაპოტში კერძო კაპიტალს-კერძო ინი-  
ციატივას. ე-თი სიტყვით ჩვენი კანონი კერძო ინიცია-  
ტივას აძლევს გასაქანს იმდენათ, რამდენათაც ეს საჭირო  
არის თვით პროლეტარიატის დიქტატურის არსებობისა-  
თვის. ის (კანონი) გეგმა-შეწონილად ავიწროვებს და დევ-  
ნის კერძო კაპიტალს და ფართე გასაქანს აძლევს სოცია-  
ლისტურ მშენებლობის განვითარებას. მაშასადამე საბჭო-  
თა რევოლუციური კანონი ბასრი იარაღია სოცია-  
ლისტური განსაზღვრვებლად ჩვენს ქვეყანაში. მაგრამ ამ ია-  
რაღს კარგი მოხმარება უნდა, წინააღმდეგ შემთხვევაში  
მას შეუძლია სარგებელის მაგიერ ზიანი მიაყენოს; ჩვენს  
ხელისუფლებას და აი სწორედ ამ იარაღის მოხმარების  
მეორედ უშთავრესი ძალა უნდა იყოს მაზრაში მაზრის  
პროკურორი.

სამი მთავარი მოვალეობა აქვს დაკისრებული პრო-  
კურორს. სასამართლო-საგამომძიებლო მეთვალყურეობა,  
ადგილობრივ ხელისუფლების ორგანოებისა და საბჭოთა  
სამეურნეო ორგანიზაციისადმი საერთო ზედამხედველობის  
გაწევა და კულტურული მუშაობის წარმოება. შევეხოთ  
ჯერ პირველს.

დღემდის პროკურორი მთელს დროს თავის მუშაო-  
ბისას ანდომებდა მხოლოდ საგამომძიებლო და სასამართ-  
ლო საქმეებს, ე. წ. საერთო ზედამხედველობის წარმოება  
კი უკანა რიგში იყო მოქცეული. აქ ან სრულებით არა-  
ფერი კეთდებოდა, ან თუ კეთდებოდა, ძალიან ცოტა.

პროკურორი მთელ თავის დროს ანდომებდა სასა-  
მართლოებში პროცესებზე მონაწილეობას და ამიტომაც  
არამც თუ მოიკოჭლებდა საერთო ზედამხედველობა, არა-  
მედ უდროობის გამო შეიძლება საგამომძიებლო ორგა-  
ნოებიც ხშირად პროკურორის სათანადო მეთვალყურეო-  
ბის გარეშე რჩებოდა, ეს ასე იყო დღემდის, მაგრამ არ  
შეიძლება ასეთი მდგომარეობა გაგრძელდეს მომავალ-  
შიაც.

სასამართლოს მუშაკებს ეცოდინებათ, რომ პროცე-  
სის განსამარტივებლად უკვე სათანადო ნაბიჯები არის  
გადიდებული. რუსეთის სისხლ. სამ. საპრ. კოდექსის პრო-  
ექტის მიხედვით პროკურორის პროცესში მონაწილეობა  
ძალიან შემცირებულია. ასე რომ პროკურორი ამ მხრით  
ახლო მომავალში ოთხმოცი პროცენტით განიცვირდება  
და მით მიეცემა მას საშუალება თავისუფალი დრო სა-  
გამომძიებლო ორგანოების მიმართ მეთვალყურეობას და  
საერთო ზედამხედველობის გაჯანსაღების საქმეს მოანდო-  
მოს. ეს გარემოება პროკურორს მისცემს საშუალებას გან-  
საკუთრებული ყურადღება მიაქციოს მომკვლევისა და სა-  
გამომძიებლო ორგანოების მუშაობას. წინასწარი გამოძიე-  
ბა და მოკვლევა უნდა გავაჯანსაღოთ და მით დახმარება  
უნდა გაუწიოთ სახალხო და სამაზრო სასამართლოებს.  
სოციალისტური მუშაკებმა კარგათ უნდა იცოდნენ, რა დიდი  
მნიშვნელობა აქვს იმას, რომ კარგად და სრულიად უნაკ-  
ლოდ გამოძიებული საქმე იქნება გადაცემული სასამართ-  
ლოში განსახილველად, რამდენადაც ასე წარმოებული

საქმე მოსპობს „ვოლოკიტას“ და პროცესის გაჭინოე-  
ბას. რამდენი არის შემთხვევა, რომ არა სათანადოთ გა-  
მოძიებული საქმე იდება და იგზავნება გამოძიების შესავ-  
სებათ და ამით საქმის ხელშეორედ გარჩევა გვიანდება,  
ჭინაურდება და მით საქმე ჰკარგავს მთელ თავის მნიშ-  
ნელობას, როგორც ჩვენთვის, ისე საზოგადოებისათვის.  
ასეთ მოვლენას ბოლო უნდა მოეღოს.

პროკურორი ვალდებულია სისტემატიურად ადევ-  
ნებდეს თვალყურს გამოძიებისა და მოკვლევის წარმოებას;  
ის კვირაში ერთხელ მაინც უნდა უსინჯავდეს საქმეს გა-  
მომძიებელს და აძლევდეს მას სათანადო მითითებებსა და  
დარიგებას. პროკურორს კარგათ უნდა ყავდეს შესწავლი-  
ლი თვითთული გამოძიებელი, როგორც მისი ცოდნისა,  
ისე პიროვნების მხრით. მან უნდა იცოდეს, თუ როგორ  
ასრულებს თავის მოვალეობას გამოძიებელი: ხომ არ  
არის ის არაკეთილსინდისიერი, თაღლითი ისეთი, რომე-  
ლიც ცდილობს ანგარების მიზნით თუ ნაცნობების ზე-  
გავლენით საქმე წარმართოს მოსასპობათ და მით დამნა-  
შავეს ღირსეული სოციალური დაცვის ღონისძიება თავი-  
დან ააშოროს. გამოძიებელი მთელს თავის სამუშაო სა-  
ათებს მართლაც ანდომებს საქმეს. თუ ის ზარმაცობს და  
გარეგნულად კი თავი მოაქვს დიდ ბეჯით და ენერგიულ  
მუშათ, ეს უნდა იცოდეს პროკურორმა და სათანადო ღო-  
ნისძიებას უნდა ლეზულობდეს. არა ნაკლები მნიშვნელობა  
აქვს მოკვლევის საქმის სათანადო გაჯანსაღებას. მონა-  
კვლევე მასალა ხომ სახ. სასამართლოებში მიდის და თუ  
ის სრული და უნაკლო არ არის, მაშინ სახ. სასამართ-  
ლოებს ჩვენ ვაყენებთ მძიმე მდგომარეობაში. ამიტომ  
მაზრის პროკურორმა განსაკუთრებულად სიფრთხილით უნდა  
მოეპყრას მოკვლევის საქმეს და ეს სათანადო სიმალე-  
ზე დააყენოს. პროკურორი პერიოდულათ უნდა ათვალი-  
ერებდეს და ახსნა განმარტებას აძლევდეს როგორც მაზ-  
რის, ისე რაიონის მილიციის ორგანოებს. პროკურორის  
თვითთული დათვალიერების კვალი უნდა აღინიშნებოდეს  
მილიციის სათანადო წიგნებში. ამით ცენტრალურ პრო-  
კურატურას საშუალება მიეცემა შეათვისოს რევიზიის  
დროს, თუ როგორი არის პროკურორის მუშაობა ამ  
დარგში.

პროკურორი რაც შეიძლება ხშირად უნდა ათვა-  
ლიერებდეს მაზრის გამასწორებელ სახლს. უნდა არკვევ-  
დეს პატიმართა მდგომარეობას, — ხომ არ აქვს ადგილი  
უკანონო მოქალაქეთა დაპატიმრებას (თუ ასეთს აღმოა-  
ჩენს, მას იქვე შეუძლია მისცეს განკარგულება განთავი-  
სუფლების შესახებ), როგორია მოპყრობა ტუსალებისად-  
მი ადმინისტრაციის მხრით, ხომ ლეზულობენ კანონით  
გათვალისწინებულ ულუფას, არის თუ არა დაცული სი-  
სუფთავე, სწარმოებს თუ არა შიგ კულტურული მუშაობა  
და სხვა. ყველა ამას პროკურორი ყურადღებას უნდა აქ-  
ცევდეს და სათანადო ღონისძიებას ლეზულობდეს ნაკლის  
გამოსასწორებლად სამაზრო ხელისუფლების მეშვეობით.


(გაგრძელება იქნება).

თ. დოლიძე.

### საღაპო საპიოხი

(შრომის კოდექსის 78 მუხლი).

შრომის კოდექსის 78 მუხლის შეფარდების დროს,  
პროფესიულ კავშირთა და სახელმწიფო წარმოება — დაწე-  
სებულებათა შორის ძალიან ხშირად ადგილი აქვს აზრ-  
თა სხვადასხვაობას. კავშირის წარმომადგენელნი ამტკი-  
ცებენ, რომ მუშა-მოსამსახურეთ უნდა შეენახოს შრომის  
ჯილდო, საშუალო ხელფასის მიხედვით, არა მარტო იმ  
შემთხვევაში, როდესაც ისინი სასამართლოში მოწმედ,  
ექსპერტად ან მსაჯულად არიან გაწვეულნი და ასრულე-  
ბენ სასამართლოს მიერ მათზე დაკისრებულ მოვალეო-



ბებს, არამედ იმ შემთხვევაშიაც, როდესაც მათ უხდებოდათ სასამართლოში გამოცხადება თავისი პირადი საქმის გამო—მოსარჩლის ან მოპასუხის როლში. რასაკვირველია ასეთ მოსახრებას ვერ გაიზიარებენ სახელმწიფო დაწესებულება-წარმოებათა წარმომადგენელი, რადგან, ერთის მხრივ, ასეთი განმარტება შრომის კოდექსის 78 მუხლისა მძიმე ტვირთად დაწვება აღნიშნულ დაწესებულება-წარმოებებს და, მეორეს მხრივ—კი, ეს მოსახრება არ იქნება სწორი და სამართლიანი.

შრომის კოდექსის აღნიშნული მუხლი მოგვითხრობს: „მუშა-მოსამსახურეთ, რომელნიც გაწვეულნი არიან სასამართლოში მოწმედ, ექსპერტად ან მსაჯულად, ენახებათ შრომის ჯილდო, საშუალო ხელფასის მიხედვით, სასამართლოს მიერ მათზე დაკისრებულ მოვალეობის ასრულების დროს“.

როგორც ხედავთ, შრომის კოდექსის აღნიშნულ მუხლში ლაპარაკია მხოლოდ იმ მუშა-მოსამსახურეთა შესახებ, რომელნიც გაწვეულნი არიან სასამართლოს მიერ მოწმედ, ექსპერტად ან მსაჯულად და ერთი სიტყვაც არ არის ნათქვამი იმ შემთხვევათა შესახებ, როდესაც მუშა ან მოსამსახურე გამოწვეულია სასამართლოს მიერ თავისი პირადი საქმის გამო მოსარჩლეთ ან მოპასუხეთ.

შრომის კოდექსის 78 მუხლი გულისხმობს იმ მშრომელს, რომელსაც კანონით დაკისრებული აქვს საჯარო ხასიათის მოვალეობის შესრულება და არ შეიძლება ამ მუხლის გავრცელება ისეთ შემთხვევებზე, როდესაც მშრომელი თავის სურვილით ან თავის მიზეზით ცხადდება სასამართლოში როგორც მოსარჩლე, მოპასუხე ან ბრალდებული.

შესაძლებელია დაუშვათ შრომის კოდექსის 78 მუხლის შეფარდება ისეთ შემთხვევების დროს, როდესაც მუშა-მოსამსახურენი გამოწვეულნი არიან მილიციის, გამომძიებლის ან და სისხლის სამართლის მილიციის მიერ მოწმეებათ ან და ექსპერტებათ, რადგან ამ შემთხვევაშიაც ისინი ასრულებენ საჯარო ხასიათის მოვალეობას, მაგრამ, როდესაც მშრომელი თავის ნებით აღძრავს ან მის წინამდებელს აღძრავს საქმეს სასამართლოში და ამ საქმეთა გამო იძულებული იქნება იაროს სასამართლოში და გაუშვას სამუშაო დღეები სამსახურში, ამ შემთხვევაში თქვენ ვერ მოსთხოვთ დაპქირავებელს, რომ მან მუშა-მოსამსახურეზე გაავრცელოს შრომის კოდექსის 78 მუხლი და გადაუხადოს მშრომელს, საშუალო ხელფასის მიხედვით, გაწვევულ დღეების შრომის ჯილდო; ვერ მოსთხოვთ, რადგან შრომის კოდექსის 78 მუხლით ასეთი ნორმა გათვალისწინებული, წინდახედული არ არის.

მაშასადამე, თუ შეუძლებელია ასეთ შემთხვევების დროს შრომის კოდექსის 78 მუხლით სარგებლობა, ჩვენ მივალთ იმ დასკვნამდე, რომ მუშა-მოსამსახურეს არ უნდა შეეხებოდეს შრომის ჯილდო, საშუალო ხელფასის მიხედვით როდესაც იგი თავისი პირადი საქმის გამო გაწვეულია სასამართლოში და სტოვებს სამუშაოს.

აქ იხადება კიდევ ერთი მეტად საყურადღებო საკითხი. წარმოვიდგინოთ მუშა-მოსამსახურე არ გამოცხადდა სამუშაოზე სამი დღის განმავლობაში და მიზეზად თავისი გამოუცხადებლობისა წარმოუდგინა დაპქირავებელს საბუთი იმის დამადასტურებელი, რომ იგი ამ ხნის განმავლობაში, სასამართლოს გამოწვევით, ესწრებოდა უკანასკნელის სხდომებს როგორც მოპასუხე, მოსარჩლე ან კიდევ როგორც ბრალდებული. თავის თავად ცხადია, რომ დაპქირავებელი ამ შემთხვევაში არ არის ვალდებული ვალდებულნი დაპქირავებელს შრომის ჯილდო, საშუალო ხელფასის მიხედვით, გაწვევულ დღეებისა.

მაგრამ საკითხავია: აქვს თუ არა უფლება ამ შემთხვევაში დაპქირავებელს დაითხოვოს სამსახურიდან მშრომელი?

შრომის კოდექსის 47 მუხლის პუნქტი „ე“ უსწრებს ანიჭებს დაპქირავებელს დაითხოვოს მშრომელი სახურიდან იმ შემთხვევაში, თუ უკანასკნელი არ გამოცხადდება სამუშაოზე სამი დღის განმავლობაში—თავის მანძილზე—არა საპატიო მიზეზების გამო.

შეიძლება თუ არა მშრომელის გამოუცხადებლობა სამუშაოზე აღნიშნულ მიზეზების გამო მივიჩნიოთ საპატიოთ? ვფიქრობ, რომ შეუძლებელია, რადგან მშრომელის მიერ თავისი შელახული უფლებების დასასამართლოში (მაგ. შრომის საქმე, საბინაო და სხვა) ამის გამო სამუშაოზე გამოუცხადებლობა უსათუოდ არა საპატიო მიზეზი, რომელიც არ შეიძლება საფუძვლად დაედოს მშრომელის სამსახურიდან დათხოვნას, შრომის კოდექსის 47 მუხლის „ე“ პუნქტის თანახმად.

კ. აბაშიძე.

## პოეზიის და მის წაკრთა უფლებების მოსულოგა და მოქმედების სავსე კვლევი.

იმ უფლებათა შორის, რომლებიც ეკუთვნის კომპოზიტორს და რომლებიც საფუძველს შეადგენს მიწის შრომითი სარგებლობა, ერთნი მოქმედებენ სახელმწიფოს და სხვა პირთა და ორგანიზაციის მიმართ, მეორენი კი კომპოზიტორის მასში შემავალ ცალკე წევრთა შრთიერთშორის. სახელმწიფოს მიმართ კომპოზიტორის უფლებები ემყარებიან, ერთის მხრივ, მიწის კანონიერ სარგებლობას და, მეორე მხრივ, საზოგადოების უფლების განხორციელებას.

მიწის მიღება შრომითი სარგებლობისათვის არის პირველი მიწის მიმღებს ყველა იმ მოვალეობას, რაც დაკისრებულია მიწის ვალდებულებათა სახელმწიფოს მიერ. მოვალეობა იმაში გამოიხატება, რომ მიღებულ მიწაზე უნდა იქნეს წარმოებული სოფლის მეურნეობა მხოლოდ იმ პირთა მიერ, რომლებმაც მიწა მიიღეს შრომითი სარგებლობისათვის. ეს ორი პირობა—მიწაზე სოფლის მეურნეობის წარმოება და ამ წარმოების დაქარება პირდაპირ დაკავშირებულია მიწის მიმღებთან. პირველი პირობა დაკავშირებულია მიწის შრომითი სარგებლობის დარღვევასთან, რომლის შესრულება უნდა შეიძლება მიწის მოსარგებლისათვის. მაგრამ მიწის შრომითი სარგებლობის ამ საერთო დებულებამ იცის გამონაკლისიც. კანონი ითვალისწინებს პირობებს, როდესაც მიწის მიმღებელი, რომ აღნიშნული ორი პირობა არ მოქმედებს ერთად ან მოქმედებდეს, მაგრამ არა თავისი წმინდა სახით, როგორც ამა მოითხოვს მიწის შრომითი სარგებლობის ძირითადი პრინციპი. პირველ შემთხვევაში შეიცავს მიწის გაცემა შრომითი იჯარით, მეორეს კი—მეურნეობაში დაპქირავებული მუშა-ძალის დახმარება. მიწის მიმღებელს პრინციპთან დაკავშირებულია ის ვალდებულება, რომ მიწა არ იქნეს სხვაზე გადაცემული ვარემ იმ წესის და პირობების, რაც კანონშია განსაზღვრული. მიწის ვალდებულების იმ შემთხვევებს შორის, როდესაც ამ გადაცემის ხელისუფლების სათანადო ორგანოები არ იღებენ მონაწილეობას, განსაკუთრებული ადგილი უკავია იმ შემთხვევებს, როცა მიწის ვალდებულება მიწის შრომითი მოსარგებელი მიერ ამჟღავნებს მიწის ისეთ განკარგულებას, რომელიც დაკავშირებულია მიწაზე კერძო საკუთრებასთან. კანონი დაწესებულებები ასეთ განკარგულებას შეიძლება ადგილს უჭირავს არა მარტო მაშინ, როდესაც ვალდებულების საგანს მიწა შეადგენს, არამედ მაშინაც, როცა

ეცემა შენობა ან სხვა რამ ისე, რომ ის მიწას არ უკავშირდება.

რაც შეეხება კომლის და მის წევრთა შორის უფლებადამოკიდებულებას, უნდა აღინიშნოს, რომ ის განსაზღვრება კომლის სარგებლობის მიწაზე სასოფლო მეურნეობის წარმოებით და ამ წარმოებაში კომლის წევრთა მონაწილეობით.

კომლი წარმოადგენს საოჯახო შრომით კავშირს, ანუ ხორციელდება არა კომლის ცალკე წევრის ინტერესებით, არამედ წევრთა საერთო ინტერესით და მიზანია. კომლის ინტერესი მოითხოვს, რომ მისმა თვითუფლებამ მონაწილეობა მიიღოს საერთო მეურნეობაში, კომლის თვითუფლები წევრის ინტერესი კი იმაში მდგომარეობს, რომ ის მონაწილე იყოს კომლის ყველა საქმეში.

იმ პირობაში, როდესაც კომლის მეურნეობის საფუძვლად წარმოადგენს შრომითი სარგებლობის მიწა და ამ მიწაზე სასოფლო სამეურნეო სამუშაოს წარმოება ყველა წევრის საერთო სარგებლობის ქონებისა და საერთო შრომის საშუალებით, კომლში ხდება მის წევრთა ინტერესების გადაქსოვა, კომლში გროვდება მისი ყველა წევრის საერთო შრომის შედეგები. აქ დაგროვილია კომლის წევრთა საერთო სარგებლობის ქონება; აქ მუშავდება მეურნეობის წარმოების ხერხი და ხდება წევრთა შორის განაწილება როგორც შრომისა, ისე ამ შრომის ნაყოფის.

2.

სახელმწიფოს მიერ შრომით სარგებლობისათვის გადამხდულ ან დატოვებულ მიწაზე მიწის მოსარგებლე კომლის შეუძლია, და ის მოვალეც არის, აწარმოოს სასოფლო მეურნეობა. ეს სარგებლობა არ არის განსაზღვრული ადრე და შეიძლება მოისპოს მხოლოდ კანონით განსაზღვრულ საფუძველზე (მიწ. კოდ. 11 მუხ.). გარდა ამისა ის არის უსასყიდლო.

შრომითი მიწის მოსარგებლე კომლი მეურნეობის წარმოებაში შეზღუდულია მხოლოდ ერთი მხრით. ის მოვალეა სოფლის მეურნეობა აწარმოოს საკუთარი შრომით, ს არ არის მოკლებული შესაძლებლობას აირჩიოს მიწის სარგებლობის ის ფორმა, რასაც საჭიროდ დაინახავს საკუთარი ინტერესების განსახორციელებლად. მას შეუძლია შევიდეს რომელიმე სასოფლო სამეურნეო კოლექტივში ან ისეთი კოლექტივის გარეშე აწარმოოს მეურნეობა (10 მუხ.) გარდა ამისა მას აქვს უფლება იმ სახის სასოფლო მეურნეობა აწარმოოს, რაც მის ინტერესს შეეფერება, ხოლო ის მოვალეა თავი შეიკავოს მიწის ისეთი დამუშავებისაგან, რომელიც მტაცებლობით მეურნეობაზე მიუთითებს.

რუსეთის და უკრაინის კოდექსი ითვალისწინებს ისეთ შემთხვევას, როდესაც შესაძლებელია გამოყენება შრომითი სარგებლობის მიწისა არა სასოფლო-სამეურნეო წარმოებისათვის. იმისათვის, რომ შრომითი სარგებლობის მიწა იქნეს გამოყენებული არა სასოფლო მეურნეობისათვის, საჭიროა სამაზრო საადგილ-მამულო ორგანოს ნებართვა. ასეთი ნებართვის მიღება კი შეიძლება იმ შემთხვევაში, თუ მიწა სასოფლო მეურნეობისათვის სრულყოფილით გამოუსადეგარია ან თუ უფრო მიზანშეწონილია მისი გამოყენება არა სასოფლო მეურნეობისათვის. საქართველოს კოდექსში ასეთი ნორმა არ არის, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ჩვენში არ შეიძლება შრომით სარგებლობის მიწის განსაზღვრული დანიშნულების შეცვლა, თუ კი ეს მიწა სასოფლო მეურნეობისათვის გამოუსადეგარია და მისი გამოყენება არა სასოფლო მეურნეობისათვის უფრო მიზანშეწონილია. საკითხი მიწის ამგვარად გამოყენებისა დაისმება, რა თქმა უნდა, მაშინ, როცა გამოირჩევა, რომ სასოფლო მეურნეობის დანიშნულების მიწაზე გამოყენების წარმოება არ მისცემს კომლს ისეთ შედეგებს, რასაც შეუძლია დააკმაყოფილოს კომლის სასოფლო მოთხოვნილება, და რომ მისი გამოყენება სხვა დანიშნულების უფრო ხელსაყრელია როგორც მიწის მოსარ-

გებლისათვის, ისე საწარმოო ძალთა განსავითარებლად. ყოველ შემთხვევაში მიწის მოსარგებლეს არ შეუძლია მიწა გამოიყენოს არა სასოფლო მეურნეობისათვის, თუ კი მას არ მიეცა ამის ნება იმ ორგანოს მიერ, რომლის გამგებლობაში იმყოფება ეს მიწა.

3.

საერთო წესის მიხედვით მიწის შრომით მოსარგებლეს აქვს უფლება მხოლოდ მიწის ზედაპირის სარგებლობისა. განსაზღვრულ ფარგლებში კი მიწის სარგებლობის უფლება ვრცელდება მიწის წიაღზედაც.

კანონი განსაზღვრავს პირობებს მიწის წიაღის გამოყენებისა და აგრეთვე მიწის ზედაპირის სარგებლობისათვის სხვაზე გადაცემისა იმ შემთხვევაში, როდესაც წიაღი გადაცემულია სახელმწიფოს მიერ სამთო მრეწველისათვის განსაზღვრული სახის სიმდიდრის გამონახვისა ან დასამუშავებლად.

მიწის წიაღის ყოველგვარი სიმდიდრეთა ადგილმდებარეობის დამუშავების ორი შემთხვევა უნდა გაიჩინოს. ერთს წარმოადგენს ის, როდესაც ასეთი სამუშაოს წარმოებისათვის საჭიროა სახალხო სამთო-მადნო ორგანოთა ნებართვა, მეორე კი ისაა, როცა ასეთი ნებართვა არ არის საჭირო. სათო-მადნო დებულების 87 მუხლში განსაზღვრულია შემდეგი სამუშაო, რაც შეიძლება განხორციელებულ იქნეს უნებართვით.— შრომითი სარგებლობის მიწის ნაკვეთის ფარგლებში საკუთარი მეურნეობისა და შინა მრეწველობის საჭიროებისათვის და აგრეთვე გასაღებისათვის ნედლი სახით იმ პირობით, რომ უკანასკნელ შემთხვევაში წიაღისეულის ამოღებას მიწის მომქმედელ და მის ოჯახს აწარმოებდეს საკუთარი ძალებით ან, თუ იმ დაქირავებული შრომის დახმარებით, მაგრამ იმ წესების დაცვით, რაც დაწესებულია კანონმდებლობით დამხმარე დაქირავებული შრომის შესახებ საჯარო მეურნეობაში: საკირე ქვის და სხვა საშენ ქვათა, მარმარილოსებრივი საკირე ქვის, ქვიშნარების, ყველა ხარისხის თიხისა, ქვიშის, ტორფის და სხვა საზოგადოთ გავრცელებული წიაღის სიმდიდრისა\*). ის, რაც გამოდის აღნიშნულ დამუშავების ფარგლებიდან უნდა იყოს ნებადართული.


4.

მიწის მოსარგებლეს აქვს უფლება შრომითი სარგებლობის მიწაზე ააგოს შენობები, მოაწყოს ნაგებობანი და ეს გამოიყენოს მეურნეობისა და საბინაო საჭიროებისათვის, ხოლო მას არა აქვს უფლება მიწაზე ისეთი რამ მოაწყოს, რითაც დაარღვევს მეზობელ მიწის მოსარგებლეთა არსებობა ინტერესებს (21 მუხ.). მითითება იმაზე, რომ მიწის მოსარგებლეს აქვს უფლება გამოიყენოს მისი შრომით სარგებლობის მიწაზე აგებული შენობები და მოწყობილი ნაგებობანი მეურნეობისა და საბინაო საჭიროებისათვის, იმას ნიშნავს, რომ მას არ შეუძლიან ამ მიწაზე ააგოს შენობები და მოაწყოს ნაგებობანი არა სასოფლო მეურნეობისათვის გამოსაყენებლად, რადგან ის მოვალეა მიწა განსაზღვრულ დანიშნულებისათვის გამოიყენოს.

ყველა ის ქონება, რაც კომლის მიერ იყო შეძენილი ან კომლის შრომით იყო შექმნილი, კომლის კუთვნილებას შეადგენს. მის განკარგულების უფლება ეკუთვნის მხოლოდ კომლს, მაგრამ ეს განკარგულება შეზღუდულია იმ ქონების მიმართ, რომელიც დაკავშირებულია მიწასთან.

მიწის კოდექსის 23 მუხლი ანიჭებს მიწის მოსარგებლეს უფლებას გაჰყიდოს ან გააჩუქოს შენობა და ნაგებობა, ხოლო თუ ეს შენობა და ნაგებობა უნდა გადავიდეს მყიდველზე მიწის ნაკვეთისაგან დაუმორებლად, საჭიროა შემძენელი იყოს ის პირი, რომელსაც საადგილ-მამულო ორგანო გადასცემს იმ მიწას, რომელზედაც შე-

\*) იხ. საქავშირო მთავრობის კანონთა და განკარგულებათა კრებული 1927 წ., № 68, მუხ. 687.



ნობა და ნაგებობა (23 მუხ. შენ.). ამავე დროს სრულე-  
ბით აკრძალულია დაგირაგება ან ანდერძით გადაცემა  
ისეთი სასოფლო სამეურნეო შენობისა ან ნაგებობის, რაც  
მიწას არ აეცლება (23 მუხ. შენ.). აქ რომ დაგირაგებაზე  
და ანდერძით გადაცემაზეა ლაპარაკი, სავსებით ბუნებ-  
რივია, რადგანაც შენობის და ნაგებობის გაყიდვა და გა-  
ჩუქება დაშვებულია იმ პირობით, რომ შემძენელი არის  
ის პირი, რომელსაც საადგილ-მამულო ორგანოს მიერ  
ეძლევა შრომით სარგებლობისათვის მიწა, რომელზედაც  
შენობა და ნაგებობაა. კანონის აზრი ისაა, რომ შენობის  
ან ნაგებობის შემძენი უსათუოდ უნდა იყოს ისეთი პირი,  
რომელსაც საადგილ-მამულო ორგანო აძლევს შრომითი  
სარგებლობისათვის იმ მიწას, რაზედაც შენობა ან ნაგებ-  
ობაა. ამის განსაზღვრა კი ისეთი გარიგების დროს, რო-  
გორცაა ქონების დაგირაგება ან ანდერძით დატოვება,  
არ შეიძლება იმიტომ, რომ გარიგების დადების დროს  
არ ხდება ქონების საკუთრებათ გადაცემა, რასაც შეიძ-  
ლება ადგილი ჰქონდეს მომავალში—დაგირაგებული ქო-  
ნების მიმართ იმ შემთხვევაში, თუ მოგირაგნის მიერ  
ვალდებულების შეუსრულებლობის გამო გირაო გაყიდულ  
იქნება,—და ანდერძით დატოვებული ქონების მიმართ  
მაშინ, თუ ქონების დამტოვებელი გარდაიცვლება იმაზე  
ადრე, ვისაც ეს ქონება ანდერძით დაეტოვა.

მიწის მოსარგებლის განკარგულების უფლების აღ-  
ნიშნული შეზღუდვა ვრცელდება ყველა იმ ქონებაზე, რაც  
მიწას არ აეცლება: ნათესა, მცენარესა, ქვეთიერის შენო-  
ბაზე და სხვ. ასეთი ქონების განკარგულება, გაყიდვა და  
გაჩუქება უიმისოდ, რომ ის მიწა, რომელზედაც ის არის,  
გადაეცეს სათანადო წესით მყიდველს, დაუშვებელია, მი-  
წისაგან კი აცლა იმ ქონებისა, რასაც შესაფერი ღირე-  
ბულება აქვს, სანამ ის მიწასთან არის დაკავშირებული,  
დაუკარგავს მას სამეურნეო გამოსადეგობას.

იმაზე საკუთრების უფლებასთან დაკავშირებით, რაც  
მიწის მოსარგებლის განკარგულებაშია, აღსანიშნავია უფ-  
ლება იმის ანაზღაურებისა, რაც სხვაზე გადადის მიწას-  
თან ერთად, როგორც, მაგ., სახელმწიფო და საზოგადო  
ებრივ საჭიროებისათვის მიწის ჩამორთმევის დროს (20  
მუხ.), გადასახლების გამო (170 მუხ.) და ყველა იმ შემ-  
თხვევაში, როდესაც მიწის მოსარგებლეს თავისი ნებით  
უხდება სასოფლო მეურნეობისათვის თავისი მიწები. აქ  
ანაზღაურება შეიძლება მხოლოდ იმის, რაც შრომის შე-  
დეგია. ასე რომ შრომითი სარგებლობის მიწა, რომელიც  
არ არის სამოქალაქო ბრუნვის საგანი, არც შეიძლება  
შეთესვებულ იქნეს. მაგრამ მიწის მოსარგებლეს, რომელ-  
საც მიწა ჩამოერთმევა სახელმწიფო ან საზოგადო საჭი-  
როებისათვის, აქვს უფლება კომპენსაციაზე, ე. ი. მი-  
ლოს სხვა ბადალი მიწა, თუ მთელი ნორმა ჩამოერთვა  
ან ისეთი ნაწილი მიწისა, ურომლისოდ გაძნელებდა ან  
მიზანშეუწონელი გახდება დარჩენილი მიწის სარგებლო-  
ბა (20 მუხ.).

5.


სახელმწიფო მოითხოვს ყველასაგან, ვისაც მიწა აქვს  
შრომით სარგებლობაში, რომ ამ მიწაზე იქნეს წარმოე-  
ბული სოფლის მეურნეობა საკუთარი შრომით; იმ შემ-  
თხვევაში კი, თუ ასეთი შესაძლებლობა არ არის, კანონი  
მიწის მოსარგებლეს ანიჭებს უფლებას მიწა იჯარით გას-  
ცეს. კანონი განსაზღვრავს იმ შემთხვევებს, როდესაც მი-  
წის მოსარგებლის უფლება მიწის იჯარით გაცემისა მოქ-  
მედობს. ესაა მაშინ, როდესაც მეურნეობა დროებით დაუ-  
ძლურდება სტიქიური უბედურობისა (მოუსავლობა, ხან-  
ძარი, საქონლის გაწყდომა და სხვ.) ან ინვეტარისა და  
მუშა ძალის ნაკლებობის გამო ან იმის გამო, რომ ეს  
მუშა ძალა შემკირდება სიკვდილისა, სამხედრო სამსა-  
ხურში მობილიზაციით ან ბეგარით გაწვევისა ან და საბ-  
ჭოთა ან საზოგადოებრივ სამსახურში არჩევის მიზეზით  
(26 მუხ.).

კანონი ჩამოთვლის ყველა პირობას, რომელიც  
ლეს მიწის მოსარგებლეს უფლებას მიწა გასცეს იჯარით  
პირობათა ასეთი განსაზღვრა თითქოს არ იძლევა სა-  
ლებას სხვა საპატო მიზეზი მოვიყვანოთ იმისათვის,  
ცნობილ იქნეს მიწის იჯარის დაშვების კანონიერება  
არის დასახელებული მეურნეობის დაუძლურების და  
საპატო მიზეზი, როგორც არის კომლის წევრის ან  
მყოფობა ან კომლის წევრის სასწავლებელში შეს-  
ასეთი მოვლენების გამო მეურნეობა შეიძლება დრო-  
დაუძლურდეს. ექვს გარეშეა, რომ კომლის დაუძლუ-  
კომლის წევრის ავადმყოფობის გამო უნდა იქნეს (ეს  
ლი ასეთ მიზეზათ, რომლის გამო შესაძლებელია და-  
ბული იქნეს მიწის გაცემა იჯარით. ასევე უნდა მიუ-  
იმ შემთხვევას, როცა სასწავლებელში წასვლა კომ-  
წევრისა დიდად ასუსტებს კომლის ძალებს. ეს მოსაზ-  
თავის საფუძველს პოულობს შემდეგში.

თანახმად მიწის კოდექსის 68 მუხლის შინაშე  
ოჯახის წევრად ითვლება მოსწავლევ 25 წლის ასაკის  
მიწის ნორმა კი დაწესდება საშუალო ოჯახზე (3—5  
ლი), მაგრამ როდესაც ოჯახში ხუთ სულზე მეტია, ნო-  
მას ემატება თითო ზედმეტ სულზე ნორმის ერთი მე-  
დი. წარმოვიდგინოთ, რომ საშუალო ოჯახიდან, რომ-  
ლიც შესდგება 5 სულისაგან, მთ შორის კი მხოლო-  
ორია მომუშავე, ერთი უკანასკლესათაგანი წასულია  
წავლელში. მეურნეობაში ამ პირის არ ყოფნა იმდენ  
შემამკირებს კომლის ძალებს, რომ შეუძლებელი გახ-  
კომლმა სავსებით ამოწუროს მიწის დამუშავების ან  
სახის სოფლის მეურნეობის წარმოების ის შესაძლებ-  
ბა, რაც დააკმაყოფილებს ოჯახის საარსებო მოთხო-  
ლებებს და ხელს შეუწყობს მეურნეობის გაძლიერებას  
და განვითარებას. არის სხვა საპატო მიზეზებიც, რ-  
ლებიც უნდა იძლეოდნენ საშუალებას მიწის იჯარით  
ცემისას, როგორც, მაგ., გადასახლება. გადასახლებულ  
სახელმწიფო უტოვებს მიწას ძველ ადგილზე, სანამ  
ახალ ადგილზე არ დაუფნდება. იმ პირობაში, როდესაც  
სახელმწიფო ხელს უწყობს და დახმარებას აძლევს  
პირს, რომელიც გადასახლების მიზნით ახალ ადგილ-  
გადადის და ამავე დროს ძველ ადგილზე უტოვებს მიწ-  
გაუგებარია, რათ უნდა დარჩეს ეს მიწა დაუშუშავებლ-  
და რა მოსაზრებით არ უნდა მიეცეს უფლება იჯარით  
ამ მიწის გაცემისა შრომით მოსარგებლეს, რომელსაც  
სურს ახალ ადგილზე დაუფნდეს. საფუძველს ამ საკო-  
ხის გადაწყვეტისათვის ჩვენ ვპოულობთ მიწის კოდექსის  
32 მუხელში, სადაც იმაზეა ლაპარაკი, რომ იჯარით მიწ-  
გაცემის უფლება არა აქვს ისეთ კომლს, რომელიც  
ადგილზე გადასახლებისა ან სხვა საქმეზე გადასვლის  
გამო სრულიად მოსპობს საკუთარ მეურნეობას. აქედან  
კარაა. რომ იმ კომლს, რომელიც არ სპობს გადასახ-  
ბის გამო მეურნეობას ძველ ადგილზე, უფლება აქვს მიწ-  
იჯარით გასცეს. რ. ს. ფ. ს. რ. და უკრაინის მიწ-  
კოდექსი აფართოებს ფარგლებს მიწის იჯარით გა-  
მის შესაძლებლობისას სხვა საპატო მიზეზებით, როგ-  
რიცაა, მაგ., სასწავლებელში კომლის წევრის შესე-  
ბელორუსის კოდექსში სასწავლებელში შესვლა  
ავადმყოფობა პირდაპირ არის ნახსენები, როგორც  
ფუძველი მიწის იჯარით გაცემისა.

გარდა სავსებით პირობისა, რომლებიც განსაზღვ-  
ვენ მიწის იჯარით გაცემის შესაძლებლობას, კანონი  
ხელებს განსაკუთრებულ პირობას, რომლის გამო აკრ-  
ლულია მიწის იჯარით გაცემა და რომელიც ეხება  
საზღვრულ კომლის მეურნეობას. ასეთ მეურნეობ-  
ეკუთვნის ყოფილ მემამულის მეურნეობა [26 მუხ.]  
და აგრეთვე ისეთი კომლის მეურნეობა, რომელიც  
ადგილზე გადასახლებისა ან სხვა საქმეზე გადასვლის  
გამო სრულიად მოსპობს საკუთარ მეურნეობას (32 მუხ.).  
მიწის იჯარაში გატარებულია შრომითი პრინცი-  
პები.





ბიჭომ მიწის მიღება იჯარით შეუძლია იმას, ვისაც აქვს მიწის მიღების უფლება შრომითი სარგებლობისათვის; ასე რომ, თუ იმ კომისს, რომელსაც სურს მიწის იჯარით მიღება, არ შეუძლია პირადი შრომით დაამუშაოს მიწა, სათანა საიჯარო ხელშეკრულების დადება დაუშვებელია.

6.

განსაზღვრულ პირობებში მიწის მოსარგებლეს შეუძლია გამოიყენოს დაქირავებული შრომა. კანონი არჩევს მიწის მოსარგებლის ორ კატეგორიას, რომელსაც აქვთ უფლება დაქირავებული შრომა გამოიყენონ. პირველ კატეგორიას ეკუთვნის შრომითი მიწის მოსარგებლე, რომელიც დროზე ვერ ასწრებს სასოფლო სამეურნეო სამუშაოს შესრულებას მუშა-ხელისა ან ინვენტარის ნაკლებობის გამო. ამ კატეგორიისათვის სავალდებულოა იმ პირობის შესრულება, რომ დაქირავებულ მუშასთან ერთად უშუალოდ დაქირავებულის ოჯახის ყველა სახლში მყოფი შრომის უნარის მქონე წევრი (37 მუხ.). მეორე კატეგორიას კი ეკუთვნის შრომითი მიწის მოსარგებლე, რომელსაც შეუძლია მიწა იჯარით ვასცეს. ამ ორ კატეგორიას ემატება მიწის იჯარის ამღებიც, რომელიც მიწის შრომით მოსარგებლეთა კატეგორიას უნდა მიეკუთვნოთ. რომელს საზოგადოდ შეუძლია მუდმივი დაქირავებული შრომა გამოიყენოს, ხოლო ყოფილ მემამულეს ასეთი უფლება აქვს იმ შემთხვევაში, თუ მას შრომის უნარი აქვს დაკარგული (37 მუხ. შენ.).

7.

მიწის მოსარგებლეს, თანახმად საკავშირო სამთო დებულების 23 და 107 მუხლისა, შეუძლია აგრეთვე საკუთარი სარგებლობის მიწა გადასცეს სარგებლობისთვის იმ პირს, ვისაც მინიჭებული აქვს უფლება მიწის წიაღის ყოველგვარ სიმდიდრეთა ადგილ-მდებარეობის დამუშავებისა (დებულების 27 მუხ.). თუმცა დებულებაში არ არის იმის პირდაპირი განსაზღვრა, რა საფუძვლით უნდა ეკუთვნოდეს ასეთ მიწის მოსარგებლეს მიწის ზედაპირის სარგებლობა, მაგრამ ექვს გარეშეა, რომ ასეთ მიწის მოსარგებლეთა რიცხვში უნდა იყვნენ მიწის შრომითი მოსარგებლებიც, რადგანაც კანონში არ არის ისეთი შეზღუდვა, რომლის გამო წიაღის დამუშავება არ ვრცელდებოდეს შრომით სარგებლობის მიწებზედაც. ასე რომ, თუ სამთო მრეწველს ენიჭება უფლება დაამუშავოს წიაღი მიწის იმ ზედაპირის ქვეშ, რომელიც შრომით სარგებლობაშია, ექვს გარეშეა, რომ მიწის შრომით მოსარგებლეს აქვს უფლება საკუთარი სარგებლობის მიწა გადასცეს სამთო მრეწველს სარგებლობისათვის, ხოლო ისეთი სასაქილოთ, რომელიც აუნაზღაურებს მას წიაღის დამუშავებით მიყენებულ ზარალს, ე. ი. იმას, რაც მას მოაკლდება იმის გამო, რომ მიწის ზედაპირი არ იქნება დამუშავებული, და აგრეთვე იმას, რაც გამოხატავს პირდაპირ ზარალს იმ სახით, რომ წიაღის დამუშავებამ მოსპო მოსარგებლის მიერ უკვე გაწეული შრომა. შრომითი მიწის მოსარგებლის ასეთი უფლება საბუთდება იმიტომაც, რომ თუ ის თავისი ნებით არ დაუთმობს მიწას სამთო მრეწველს, რომელსაც მიწის წიაღის დამუშავების უფლება მიეცა, ის შეიძლება სახელმწიფომ იძულებული გახადოს დაუთმოს სამთო მრეწველს მიწის ზედაპირი.

8

მიწის იჯარაში გატარებულია შრომითი პრინციპი (28 მუხ.). თუ იმ პირს, რომელსაც სურს მიწის იჯარით მიღება, არ შეუძლია დაამუშაოს მიწა ისე, როგორც ეს მოეთხოვება მიწის შრომის მოსარგებლეს, მასთან საიჯარო ხელშეკრულების დადება დაუშვებელია. რა რაოდენობით შეუძლია მოიჯარადრეს მიიღოს მიწა იჯარით: ისეთისა, რის შეერთება მის სარგებლობის მიწასთან არ მოეცემა ასეთ ოჯახზე დაწესებულ ნორმაზე მეტ სივრცეს, თუ მეტის რაოდენობით, - ამის შესახებ კანონი პირ-


დაპირ დადგენილებას არ შეიცავს. შრომითი მოიჯარადრე ისეთივე უფლებებით უნდა სარგებლობდეს, როგორც შრომითი მიწის მოსარგებლე, რომელსაც მიწა შეიძლება მიეცეს არა უმეტეს იმ რაოდენობისა, რის დაბეზულებას ის შესძლებს საკუთარი ძალით. ეს პრინციპი არ შეიძლება არ გატარდეს მოიჯარადრის მიმართაც, წინააღმდეგის გატარება კი იქნებოდა შრომითი პრინციპის დარღვევა.

მიწის კოდექსის 28 მუხლის ახალმა რედაქციამ მოიჯარადრის უფლება ცოტათი გააფართოვა ძველი რედაქციის წინააღმდეგ. ახალმა რედაქციამ დაუშვა ისეთი შესაძლებლობა, როდესაც მოიჯარადრეს შეუძლია თავისი და იჯარით მისაღები მიწის დასამუშავებლად დაინმაროს დაქირავებული შრომა, მაგრამ ამისათვის საჭიროა საპატიო მიზეზები, რაც საჭიროა შრომითი მიწის მოსარგებლისათვის (38 მუხ.).

მიწის იჯარის კანონიერებისათვის საჭიროა პირობათა მთელი რიგის შესრულება. პირველი პირობა ისაა, რომ დადებულ იქნეს საიჯარო ხელშეკრულება და ეს ხელშეკრულება და დამატებითი შეთანხმება, თუ ასეთს ექნება ადგილი, დამტკიცებულ იქნეს მაზრის საადგილმამულო განყოფილების მიერ და გატარებული თემის ადმინისტრაციის კომიტეტის რეგისტრაციაში (30 მუხ.). საიჯარო ხელშეკრულება კი დამტკიცდება მას შემდეგ, როდესაც მაზრის საადგილმამულო განყოფილების მიერ იქნება გამორკვეული, რომ შესრულებულია და დაცული ყველა ის პირობა, რასაც კანონი მოითხოვს. კანონი მოითხოვს, რომ ხელშეკრულებაში აუცილებლად იქნეს აღნიშნული ის გაუმჯობესებანი, რაც უნდა მოახდინოს მოიჯარადრემ იჯარით აღებულ მიწაზე და აგრეთვე ის პირობებიც, რომლის თანახმადაც უნდა მოხდეს ანგარიშის გასწორება მიწის იჯარით გამცემთან, თუ მოიჯარადრემ სრულიად ვერ გამოიყენა ეს გაუმჯობესებანი ძეურნეობისათვის (33 მუხ. შენ.).

საიჯარო ხელშეკრულების პირობათა შორის განსაკუთრებული ადგილი უკავია ვადას, რომელიც სხვადასხვა იმის მიხედვით, როგორი მიწა და რა მიზნით გაიცემა იჯარით. საშრომო იჯარის ვადა არ უნდა აღემატებოდეს სამ წელს სახნავ-სათესად გაცემული მიწისათვის, ხოლო განსაკუთრებულ შემთხვევაში, თუ საპატიო მიზეზია, როგორც მაგალითად, თუ იჯარის მიწის გამცემი არის ეკრივი დედაკაცი, უშვილო ან წვილი ობლებიანი, იჯარის ვადა გაგრძელდება ექვს წლამდე. ამისათვის კი საჭიროა მაზრის საადგილმამულო ორგანომ განუზრდომს მოიჯარადრეს იჯარის ვადა (27 მუხ. „ა“ პუნ.). იჯარა ათ წელს არ უნდა აღემატოს, როდესაც გაცემა იჯარით მიწა ნარინჯოვან (ციტრუსოვანი) და დაბალ-ტანოვან ნარგავის გასაშენებლად (27 მუხ. „ბ“ პუნ.); თორმეტ წლამდე კი შეიძლება იყოს საშრომო იჯარის ვადა, თუ მიწა გაიცემა იჯარით ვენახისა და ხილის ბაღის მაღალ-ტანოვან ნარგავის გასაშენებლად (27 მუხ. „მ“ პუნ.). მაგრამ თუ ისეთი მიწა გაიცემა იჯარით, რაზედაც უკვე გაშენებულია ნარინჯოვანი და დაბალ-ტანოვანი ნარგავი, ვენახის და ხილის ბაღის მაღალტანოვანი ნარგავი, საველ მომწიფებელი ან არა სრულმომწიფებულს, იჯარის ვადა არ უნდა აღემატებოდეს ექვს წელს (27 მუხ. „გ“ პუნ. შენ.).

საიჯარო ვადის განმავლობაში ორივე მხარისათვის სავალდებულოა ყველა ის პირობა, რაც ხელშეკრულებით და კანონით აზის განსაზღვრული. მთავარი მოვალეობა, რაც მიწის იჯარით გამცემს ეკისრება, მდგომარეობს იმაში, რომ იჯარის ვადის განმავლობაში ხელი არ შეუშალოს იჯარის მიმღებს მეურნეობის წარმოებაში და უკანასკნელისაგან შესრულება მიიღოს. იჯარის მიმღების მოვალეობანი კი მრავალია. კანონი ავალებს მოიჯარადრეს, რათა ის ეწეოდეს მეურნეობას იჯარით აღებულ მი-



წაზე როგორც მუყაითი და წინდახედული პატრონი, გადაიხადოს თავის დროზე საიჯარო ქირა, რომელიც შეიძლება დაწესებულ იქნეს ფულის, კირნახულის ან სხვა სახით, მეურნეობაში შეიტანოს გაუქვობისგან, არ გადასცეს მიწა სხვას, გადაიხადოს ყველა გადასახადი, რაც დაედება აღებულ მიწას იჯარის ვადის განმავლობაში და შეასრულოს სხვა პირობები, რაც იქნება გათვალისწინებული ხელშეკრულებაში (33 მუხ.).

საიჯარო ხელშეკრულების პირობათა შორის აღსანიშნავია შემდეგი ორი არსებითი მნიშვნელობის პირობა: საიჯარო ქირა და სასოფლო მეურნეობის წარმოება. საიჯარო ქირა შეთანხმებით განისაზღვრება, მაგრამ ეს არ უნდა იყოს ისეთი რაოდენობის, რაც მიუთითებს მის განსაზღვრაზე მიწის იჯარით გაცემის უკიდურეს გაჭირვების გავლენის ქვეშ. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ საიჯარო ქირის გადახდევინება არ უნდა იყოს დამოკიდებული ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობიდან იმ შემთხვევაში, როდესაც საიჯარო ქირა განსაზღვრულია მოსავლისაგან დამოუკიდებლად და საიჯარო მეურნეობა ისეთ მდგომარეობაშია, რომ ყოველანაირ შემთხვევაში მისგან საიჯარო ქირის გადახდევინება საიჯარო ქირის გადახდა არ უნდა იყოს სავალდებულო იჯარის მიმღებისათვის, როდესაც არის მოუსაველობა. მოუსაველობა უნდა ანთავისუფლებდეს იჯარის მიმღებს საესებით ან ნაწილობრივ საიჯარო ქირის გადახდისაგან, რადგანაც საიჯარო ურთიერთობა აშენებულია შრომის პრინციპზე და ამ პრინციპის მიხედვით დაუშვებელია, რომ მოიჯარადრეს მოეთხოვოს საიჯარო ქირა, თუ შრომამ არ მისცა მას ნაყოფი.

რაც შეეხება მეორე პირობას—სასოფლო მეურნეობის წარმოებას, ეს მოიჯარადრისათვის სავალდებულოა ისე, როგორც მიწის შრომითი მოსარგებლისათვის. მოიჯარადრეს არ შეუძლია მიწაზე აწარმოოს არა სასოფლო მეურნეობა. ამას ემატება მეორე მოვალეობა: მან არ უნდა დასტოვოს დაუშუშავებლად იჯარით მიღებული მიწა. თუ იჯარის მიმღები მოკლებული იქნა შესაძლებლობას, საპატიო მიზეზის გამო, თავისი სამეურნეო ძალებით ჩაატაროს სასოფლო სამეურნეო სამუშაო, ის ვალდებულია დაიხმაროს დაქირავებული შრომა.

იჯარის ვადის გათვების შემდეგ მოიჯარადრე მოვალეა მიწა დაუბრუნოს მიწის იჯარით გამცემს იმ გაუქვობისგანთან ერთად, რომელიც მოიჯარადრემ მოახდინა და რომლის აცლაც მიწიდან არ შეიძლება ამ მიწის მეურნეობრივი გამოსადეგობის დაუზიანებლად. ანგარიშის გასწორება კი უნდა მოხდეს თანახმად ხელშეკრულებისა და დამატებითი პირობების (35 მუხ.).

აღსანიშნავია საიჯარო ხელშეკრულების მოშლის პირობები. საიჯარო ხელშეკრულების მოშლის შესახებ საკითხი შეიძლება აღძრულ იქნეს მიწის იჯარით გამცემის ან საადგილმამულო ორგანოების მიერ. ხელშეკრულების მოშლა შეიძლება, თუ მოიჯარადრემ არ შეასრულა საიჯარო ხელშეკრულების პირობები ან მასზე კანონით დაკისრებული მოვალეობა (34 მუხ.).

კ. მიქელაძე.


**სტატისტიკის განსლისათვის თვით მასალა.**

(გაგრძელება)  
**В.**


- Важность преступления—სიმძიმე დანაშაულისა
- Вакансия—ვაკანსია
- Вакация—არდადეგი
- Вакуф—(ვაკუფი), ვახშიათი

- Валовой доход—საერთო ან მთლიანი შემოსავალი
- „ расход— „ „ „ „ გასავალი
- „ торг—სოფლა
- Валовая выручка—საერთო ნავაჭრი
- Валюта,—тный—ვალუტა; სავალდებულო
- „ золотая—ოქროს ვალდებულო
- „ переменная—ცვლებადი ვალდებულო
- „ постоянная—მტკიცე ვალდებულო
- Варрант—ვარანტი
- Вассал,—льный—ვასალი; ვასალური, სავასალი
- Вверенный—მიბარებული
- Вверить—მიბარება
- Ввод во владение—მფლობელობის ჩაბარება
- Вводный—შემოსაღები; ჩართული ან ჩასართავი
- Вводный лист—ჩაბარების ფურცელი
- Вдова, вдовец—ქვრივი
- Вдовый, вдовственный—საქვრივი
- Вдовство, вдовствовать—ქვრივობა, სიქვრივე
- „ вдовствование
- Вдвойне—ერთი-ორად, ორკეცად, ორმაგად
- Ведение дела—საქმის წარმოება
- Ведомость—ნუსხა; უწყისი, მაუწყებელი
- Ведомство—უწყებულება
- Своя поштина—შემოსახილი ბაჟი
- Вдоль—გასწვრივ, სისწვრივ, სიგრძივ
- Вексель—(ვექსილი), თამასუქი
- Вексельный—(სავექსილო), სათამასუქო
- Векселедатель—თამასუქის გამცემი
- Векселедержатель—თამასუქის მქონებელი
- Векселеобязанный—თამასუქ ვალდებული
- Векселеспособность—თამასუქ-უნარიანობა
- Вексель на себя—თამასუქი თავის თავზე
- Вексельная надпись—სათამასუქო წანაწერი
- „ книга—სათამასუქო დავთარი ან წიგნი
- Вексель переводный—გადასაცემი ან გადაცემული თამას
- „ по востребованию—თამასუქი მოთხოვნილებისამებ
- „ „ обычаю— „ ჩვეულებისამებ
- „ собственному приказу— „ საკუთარი ბრძანებით
- Вексель сроком по предъявлении—თამასუქი ვადით წა
- „ გენისთანავე
- „ безвалютный— „ უვალდებულო
- „ безденежный— „ უფულო
- „ бронзовый— „ ბრინჯაოსი
- „ гарантийный— „ საგარანტიო
- „ домицилированный— „ დომიცილებული
- „ дружеский— „ მეგობრული
- „ торговый— „ სავაჭრო ან ვაჭ
- „ რული
- Вексельная бумага— „ ქალაქი
- Вексельный арбитраж— „ არბიტრაჟი
- „ кредит— „ კრედიტი
- „ курс— „ კურსი
- „ паритет— „ პარიტეტი
- Вексель-ректа—(თამასუქი-რეკტა), უკუშეცვენი ვალდებულო თამასუქი

- Величина—ოდენობა, სიდიდე
- Вердикт—(ვერდიქტი), განაჩენი, მსჯავრი
- Веритель—მრწმუნებელი (და არა მარწმუნებელი)
- Верно—სწორეა, სწორედ, ნამდვილად
- Верность копии и выписи—ამონაწერისა და პირის სისწორე
- „ подлинного (документа) и копии—ასლისა და პირის სისწორე
- „ („ასლი და პირი ერთმანერთს შევამოწმე და თანა
- „ სწორედ არის გადმოწერილი“—ანდერძის წერილი
- „ გ. ლარაძისა, „საქართ. სიძე.“ ტ. 1, № 248)
- Венерический—ვენერული



Вроисповедание — სარწმუნოება  
 Вроисповедный — სარწმუნოებრივი  
 Артикул, — льный ვერტიკალი; ვერტიკალური  
 яющее письмо რწმუნების წერილი  
 онятно, — ный — ალბად; საალბათო  
 ерховный — უზენაესი  
 — წონა  
 еть — ცნობა  
 есы — სასწორი  
 есовщик — მწონელი  
 Вечно наследственный — საშვილიშვილო  
 Ветеринар — (ვეტერინარი), ბეითალი  
 Ветеринарный — (სავეტერინარიო), საბეითლო  
 Ветеринария — (ვეტერინარია), ბეითლობა  
 Вещественное доказательство — ნივთიერი საბუთი  
 Вещь — ნივთი  
 Вещное право — სანიითო უფლება  
 Вещство — ნივთიერება  
 Вещственный — ნივთიერი, ნივთიერებრივი  
 Вещственность — ნივთიერებრივობა, ნივთობა  
 Вещевой склад — ნივთსაწყობი  
 Вещь вне оборота — ნივთი მიმოქცევის გარეშე  
 Взаимный — საურთიერთო, ურთიერთი, ნაცვალვითი  
 Валом, — ломать — გატეხა ან გამტვრევა  
 Взнос — შესატანი და შენატანი  
 „ членский — საწევრო შესატანი  
 Взрывчатое вещество ფეთქადი (ფეთქებადი) ნივთიერება  
 Взрывчатость — ფეთქადობა (ფეთქებადობა)  
 Взрыв — вать — აფეთქება, ფეთქება  
 Выскание, — скать — გარდახდევინება; გადასახდელი  
 Взятка — ქრთამი  
 Взяточник — მექრთამე  
 Взятничество — მექრთამეობა  
 Вид на жительство — ბინადრობის მოწმობა  
 Вина — ბრალი  
 Винодность — ბრალეულობა ან ბრალიანობა \*)  
 \*) ჩვენს სასამართლოებში არა ერთხელ გამოიგონა და ორჯერ-სამჯერ განაჩენში თუ დადგენილებაში წამიკითხავს — ბრალდებულის „ვინაობა“ დამტკიცდეს. ჯერ ვერ გამოვლო, რა სიტყვაა ეს „ვინაობა“, მერე კი მივხვდი: თურმე ნუ იტყვით, რუ-



სული სიტყვა „ვინა“ გადმოუქართულებით და „ბრალეულობის“ მნიშვნელობით ჰხმარობენ. თუმცა დღესაც ვერ გამოიმრკვევია, რა საჭიროებამ შექმნა ეს საშინელი ბარბაროზი, რომელიც დაუყოვნებლივ უნდა განიდევნოს.  
 Виновный — ბრალიული ან ბრალიანი; დამნაშავე  
 Виновен в том — ამბობენ და სწერენ: „დამნაშავეა იმაში“. ქართულად ითქმის: დამნაშავეა მით, რომ...\*)  
 \*) იხ. ა. ყაზბეგის „მოძღვარში“ მაყვალასი და სხვების გასამართლება: „გელა... დამნაშავეა თემის მშვიდობიანობის დარღვევით“...  
 Вид — გადასახედი, სახეობა  
 Видимость, видимый — ხილვადობა; ხილვადი  
 Видовой — სახეობითი  
 Видикация — ვინდიკაცია  
 Винокурение — მეძალარობა  
 Винокур — მეძალარე  
 Вклад — შენატანი (ჩანადები)  
 Вкладчик — შემტანი (ჩამდები)  
 Вклад чуждые времена — სამარადისოდ შენატანი  
 срочный — ვადიანი შენატანი  
 срочный — უვადლო შენატანი  
 Владелец — მფლობელი  
 Владелец — სამფლობელო, მფლობელობის  
 Владение — მფლობელობა  
 Владенная запись — მფლობელობის წიგნი ან სიგელი  
 Власть — ხელისუფლება  
 Властвовать, властвовать — უფლობა; მეუფება; ხელმწიფება; ხელი  
 Вихрь идей — იდეათა გრიგალი (ფსიქ.)  
 Влечение — მიზიდულობა (ფსიქ.)  
 Влечение неодолимое — დაუძლეველი მიზიდულობა (ფსიქ.)  
 „ импульсивное — იმპულსური „  
 Влияние, — ять — გავლენა  
 Влияния сред — გავლენის ბოღვა (ფსიქ.)  
 Влиятельность, — ный — გავლენიანობა; გავლენიანი  
 Вменение — შერაცხულობა (რის რად)  
 Вменяемый — შერაცხადი  
 Вменить — შერაცხვა (რის რად)  
 Вменяемость — შერაცხადობა (მაგ. ლათ. imputare crimen ფრ. imputer à crime)

### სასამართლო და სსოპრება.

#### კიდევ „ვოლოკიტას“ \*)

ჩვენ იმდენს ვლაპარაკობთ და ვწერთ „ვოლოკიტის“ დასაქმის გაკვიანურების შესახებ, რომ მკითხველებსაც კი თავი მოგაბეზრეთ. უნდა ითქვას ისიც, რომ ამ საკითხის შესახებ აზრთა გაცვლა-გამოცვლა და წერა გაზეთების ფურცლებზე რჩება.

ხშირად ქმნიან „ვოლოკიტას“ და საქმეს აკვიანურებენ ის პირები, რომლებსაც დავალებული აქვთ საბჭოთა ხელისუფლების უმაღლეს ორგანოებისაგან აწარმოონ ბრძოლა ასეთ მოვლენასთან.

ვინ არ იცის, რომ მილიცია ვ. დატვირთულია მუ-


\*) რედაქციის მიერ საპროკურორო განყოფილებიდან მიღებული უტყუარი ცნობა ადასტურებს, რომ ამნ. მოშაშვილის მიერ აღნიშნული ფაქტი ეკუთვნის განსაკუთრებულ შემთხვევას, როდესაც აუცილებელია მთხოვნელს პასუხი უთუოდ ჩაბარდეს. არის შემთხვევები, რომ ადრესატისათვის პროკურატურის მიერ უშუალოდ გაგზავნილი ზოგიერთი პასუხი დარჩა ჩაუბარებელი.

პასუხის ჩაბარება ადრესატისთვის მილიციის მეშვეობით ხდება განსაკუთრებულ შემთხვევაში.  
 რედაქცია.

შაობით, ისეთი მუშაობით. რომელიც სრულებით არ შედის მის ფუნქციებში, დარწმუნელი ვარ პასუხისმგებელი, მასთან მილიციის საქმეში დაინტერესებული ამხანაგები დამეთანხმებიან, რომ მილიცია დატვირთულია 50--60 პროცენტით არა პირდაპირ მუშაობით.

ამ მოვლენას ჩვენმა ხელისუფლებამ მიაქცია ჯეროვანი ყურადღება და მიანდო მუშათა-გლეხთა ინსპექციას მთელ საკავშირო მაშტაბით საერთო და სისხლის სამართლის მილიციის მუშაობის გამოჩვენება, რაც უნდა დამთავრდეს აპრილისათვის. ეს ორგანო, ექვს გარეშეა მუშაობის და გამოკვლევის დამთავრების შემდეგ გამოიყოფა შენატანად ღონისძიებებს, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ჩვენ, ვიზედაც ეს დამოკიდებულია, გულ-ხელ დაკრფელი შევცქვიროთ ინსპექციის მუშაობის დამთავრებას და ჩვენს მხრით ადგილობრივ მდგომარეობის მიხედვით არ მივიღოთ ღონისძიება მილიციის აპარატის განსატვირთავად და შექმნილ „ვოლოკიტის“ აღმოსაფხვრელად.

ისმება საკითხი, რა ხასიათის მუშაობით არის მილიცია ზედმეტად დატვირთული, ან რა არის მიზეზი, რომ მილიციას უხდება ისეთ დავალებათა შესრულება, რაც მის ფუნქციებს არ შეადგენს. მილიციის ყველა მუშაკი დამეთანხმება იმაში, რომ მილიცია სხვადასხვა მი-




Вместимый—ტევადი  
 Вместимость—ტევადობა  
 Вмещать—ტევა  
 Внезапно—ანაზღეულად, უეცრად  
 Внезапный—ანაზღეული, უეცარი  
 Внесение,—სტი—შეტანა  
 Внешний—გარეგანი; საგარეო  
 Внешний заем—საგარეო სესხი  
 Вне—გარეშე  
 Внешне—გარეგნულად  
 Внештатный—შტატგარეშე  
 Внесудебный—სასამართლოს-გარეშე  
 Внеочередной—ვადა-გარეშე  
 Внимание—ყურადღება; გულისყური  
 Внимания сосредоточенность—ყურადღების მოკრეფა, გაერთ-  
 წერტილიანება, შემჭიდროება (ფსიქ.)  
 „ одностороннее—ყურადღების ცალმხრივი მი-  
 направление მართულება ან გაცალმხრი-  
 ვება (ფსიქ.)  
 „ поглащенность—შთანთქმულობა ყურადღები-  
 სა (ფსიქ.)  
 „ односторонность—ყურადღების ცალმხრივობა  
 (ფსიქ.)  
 Вновь—ახლად, ხელ-ახლად  
 Внук—შვილისშვილი  
 Внутренний—შინაგანი, შინაური, საშინაო  
 „ заем—საშინაო სესხი  
 Внушать, внушение—შთაგონება  
 Внушаемость—შთაგონებლობა  
 Вовлечение,—ечь—ჩათრევა, ჩაბმა, ჩარება  
 Во-время—დროიანად, დროზედ  
 Воды—წყლები  
 Водопой—საყარი  
 Водопровод—წყალსადენი, ქარიზი  
 Военный—სამხედრო  
 Возбуждать,—ждение—აღძვრა; აღზნება  
 Возбужденность—აღზნებულობა  
 Возбудимость—აღზნებადობა  
 Возбудимый—აღზნებადი  
 Возбудитель—აღმძვრელი; აღმზნები  
 Возвращать,—щение—დაბრუნება

Воздушный—ჰაეროვანი; საჰაერო  
 Воздухоплавание—ჰაერნაოსნობა  
 Воздухоплаватель—ჰაერნაოსანი  
 Воздействие—ზეგავლენა, ზემოქმედება  
 Воззвание—ძახილი; ხალილი; ღალადი; მოწოდება  
 Возлагать—მინდობა  
 Возмездный—სანუქყო, სამიზღო  
 Возмездие—მიზდი; ნაცვალგება, სამაგიეროს გადახდა  
 Возмещать,—щение—ნახლავრება  
 Возможность—შესაძლებლობა, შესაძლოება, შესაძლისობა  
 Возможный—შესაძლებელი, შესაძლო, შესაძლისი  
 Возможно—შესაძლებელია, შესაძლოა, შესაძლისია  
 Возмутительный—აღსაშფოთებელი, აღმაშფოთებელი  
 Возмущать,—щение—აღშფოთება, შეშფოთება  
 Во всеобщее сведение—საყოველთაო ცნობად  
 Вознаграждение,—ждать—ჯილდო, საჯილდო; დაჯი-  
 ლდობა  
 „ за вред—ვნების სასყიდელი  
 „ за находку—საპოვნელა  
 Вознамериться—განზრახვა, განზრახულობა  
 Возникать,—кновение—აღძვრა, გაჩენა, აღმოცენება, მო-  
 შობა  
 Возобновление,—влять—განახლება  
 Возражение,—жать—შესიტყვება, სიტყვის შებრუნება, სუ-  
 ხი, შენასიტყვი  
 Возраст—ასაკი, წლოვანება, ხნოვანება, ხნიერება  
 Возрастной срок—სასაკო ან წლოვანების ვადა  
 Волнение—მღელვარება, ღელვებლობა  
 Волновать—ღელვა, აღელვება  
 Воинская повинность—სამხედრო ბეგარა  
 Воля—ნება, ნებისყოფა, ნებაყოფლობა, ნებაწილობა  
 Вольно—ნებისთ, ნებისად, თავისუფლად  
 Вольность—თავისუფლება, თარხნობა, აზატობა  
 Вольный თავისუფალი; ნებისთი; აზატი  
 Волево движение—ნებითი მოძრაობა (ფსიქ.)  
 Вольнонаемный—თავისუფლად დაქირავებული  
 Воображение,—жать—წარმოსახვა  
 Воображаемый—წარმოსახული, წარმოსახვითი  
 Воодушевление,—лять—გაგულოვნება, გულოვნობა  
 Вооружение,—жать—შეიარაღება  
 Вооруженная кража—შეიარაღებული ქურდობა

ზეზების გამო იძულებულია შეასრულოს ისეთი დავალებანი, რაც მის მოვალეობას არ შეადგენს, მაგალ. მეტ-  
 ნაწილად კორესპონდენციების უწყებების და სხვა მიმო-  
 წერის ჩაბარება კუთვნილებისამებრ, მასთან რკინის გზე-  
 ბის, სატყეოსი და საჯარიმო ფულების აკრეფა-გადახ-  
 დევენება. აღნიშნული დავალებანი ეკისრება მილიციის  
 უმაღლესად ადგილობრივი ხელისუფლების სამაზრო და  
 სათემო აღმასკომების და იუსტიციის ორგანოების მიერ.  
 თუ მილიციის სათავეში სდგას ავტორიტეტული  
 მომუშავე, რომელსაც ამასთანავე კონტაქტი აქვს დამყარებუ-  
 ლი ხელისუფლების ადგილობრივ ორგანოებთან (უამისოთ  
 კი ამ დარგში ვერ იმსახურებს) ამ უკანასკნელთან ყოველ-  
 თვის მოაგვარებს საკითხს, და ამ მხრივ ზოგიერთ მაზ-  
 რებში და კერძოდ გორის მაზრაში დიდხანია საკითხი  
 მოგვარებულია და ნორმალურად მიმდინარეობს, ხოლო  
 ადგილობრივ უფრო საძნელოდ შეიქმნა იუსტიციის ორ-  
 განოებთან მუშაობა იმიტომ, რომ ისინი ყოველთვის კო-  
 დექსების ენით ლაპარაკობენ და სის. სამ. კოდ 109 და  
 111—მუხლებს ფართოდ იყენებენ მილიციის მუშაკების მი-  
 მართ. თუ დაუბრუნებთ შეუსრულებლად რომელიმე მათ  
 მიერ გადმოგზავნილ მიმოწერას და მიუთითეთ, რომ ასე-  
 თის შესრულება მილიციის ფუნქციებში არ შედის და  
 სხვა, მაშინ თქვენ უნდა მოელოდეთ „ხიფათს“. აქ უკვე

სის. სამ. კოდ. 109 მუხლის ენით გელაპარაკებიან და  
 იმ მიმოწერის შეუსრულებლობისათვის, რაც მილიციის  
 ფუნქციებში არ შედის, მათ მიერ იქნება წამოყენებულ  
 უკუღმდებელყოფისათვის სის. სამ. კოდ. 111 მუხ. ეს თ  
 გაკმარეს, არაფერია, მაგრამ იხელმძღვანელებენ სის. სამ.  
 სპარ. კოდექსის 142 მუხლს და სამსახურიდან განდევნი-  
 მოგეცის.  
 აი აქ ამ გარემოებას უნდა მიაქციოს სერიოზულ  
 ყურადღება იუსტიციის სახ. კომისარიატმა, საჭიროა იუს-  
 ტიციის დარგში მომუშავეებს განემარტოს, რომ მილიციის  
 ორგანოს არავითარ შემთხვევაში არ უნდა უცქერდნენ  
 მალიდან, როგორც ქვემდგომ ორგანოს.  
 ყოველ შემთხვევაში მილიციის დარგში მომუშა-  
 ამხანაგები მიუხედავად დაბრკოლებებისა და საქმი თ  
 დატვირთვისა მაინც უმტიყინელოდ ასრულებენ ყველ  
 დავალებებს რაც შედის და არ შედის მათ ფუნქციებში  
 მაგრამ ამის ასე გაგრძელება შეუძლებელია.  
 ზემოაღნიშნულ კოტა ოდნავათ დასახისათ  
 ლად ვიღებ ერთს თავისთავად სრულიად უმნიშვნელ  
 მაგრამ მილიციის მუშაობის პროცესში მნიშვნელოვან  
 გალით. იუსტიციის სახალხო კომისარიატის საპროკუ-  
 ტურო განყოფილება 1928 წ. 1 მარტს № 3717,—უგა-  
 ნის გორის მაზრის მილიციის მოწერილობას, რომლითა



явление—ნების განცხადება, ნება-განცხადებულება  
 ласость—თემი  
 ласостной—სათემო  
 ласруг—ირგვლივ, გარშემო\*)  
 ласковая гибкость—ცვილისებრი დრეკადობა ან მოქნილობა (ფს.)  
 ласпоминание ложное—ცრუ მოგონება  
 ласпрепятствование,—вять—დაბრკოლება  
 лასприятие,—иять—აქმა (ფსიქ.)  
 „ощущения—შეგრძნების აქმა (ფსიქ.)  
 лასприимчивость—აქმადობა, აქმელობა  
 лასостание,—тать—ჯანყი; აჯანყება  
 лასоставление,—лять—აღდგენა  
 „нарушенного владения—დარღვეული მფლობელობისა  
 „нарушенного права „უფლებისა  
 „кредита „კრედიტისა  
 „срока „ვადისა  
 „чести и имени—პატივის და სახელისა  
 „дома—ან კვალად-გება სახლისა  
 лასходящий—აღმავალი  
 лასходящая линия или ветвь— „ შტო ან ხაზი

\*) ამ სიტყვას ჩვენს სასამართლოებში—სრულიად შეუსაბამოდ  
 გამოიყენებენ. „დაკითხულმა ამის გარშემო ივანიძემ“,—სწერს გა-  
 ზიანიძე, „განაცხადა, რომ“ და ს.„ ე. ი. გამოიმძიებელი თვით  
 აქვს როდი არკვევს და იძიებს, არამედ ბრალდებულ ივანიძეს „საქ-  
 მის გარშემო“ ემუშავება. ხშირად გაიგონებთ აგრეთვე სასამართ-  
 ლოში, როგორ თავმომწონედ ამბობს პროკურორი ან დამცველი:  
 „სამართლმწიფი, ამ საქმის (ან ბრალდების) ირგვლივ (ან გარ-  
 შემო) მე უკვე ყველაფერი მოგახსენეთ, და ის კი არ იცის ამ მო-  
 ბრათულმ, რომ, თუ მან მხოლოდ „საქმის ირგვლივ“ ილაპარაკა,  
 გნა ტყუილ-უბრალოდ დაუკარგავს და საქმის შესახებ კი არაფერი,  
 სრულიად არაფერი არ უთქვამს, ვინაიდან „საქმის გარშემო“ ლა-  
 პარაკი ერთი და „საქმისათვის ან საქმის შესახებ“ ლაპარაკი კი  
 არ სხვა.

ამიტომ კარგად უნდა გვახსოვდეს, რომ სიტყვებს „ირგვლივ“  
 და „გარშემო“ ჰმმართვებენ, როცა უნდათ სიტყვან, ამა თუ იმ შემთ-  
 ხვევაში საზოგადოებაში მითქმა-მოთქმა გამოიწვიოს, და მაშინ ქართ-  
 ვლი ამბობს: ამ შემთხვევის გარშემო დიდი მითქმა-მოთქმა იყო  
 ამის ირგვლივ დიდი აურ-ზაური ასტყდაო.  
 სიტყვებს „ირგვლივ“ და „გარშემო“ რუსებიც ამავე მნიშვნე-  
 ლობით ჰმმართვებენ, ფრანგებიც, რუსი რომ გეტყვიან და ცინფით, რომ  
 ირგვლივ საგნის „вокруг да около“ ლაპარაკობთ, ეს ნიშნავს, რომ  
 მათის არაფერს არ ამბობთ. ფრანგიც ამბობს: „tourner autour  
 d'une question“, ე. ი. საკითხს გარშემო უტრიალებთ.

კვლევის მას გამოუცხადოს ხელწერილის ქვეშ სოფელ  
 შინდისში მცხოვრებს პავლე გარსევანიშვილს, რომ მისი  
 განცხადება ზედამხედველობის სახით რესპუბლიკის პრო-  
 კურორის მიერ დატოვებულია უშედეგოთ. ეს მოწერი-  
 ლება გადმოგზავნილია ფოსტით და ფოსტის ხარჯებიც  
 გადებულია.

მაზრის მილიციამ მიღებული კორესპოდენცია უნდა ჩა-  
 წეროს რეესტრში, ახალ მიმოწერას შეუდგეს და კონვერტით  
 გადაუგზავნოს რუისის რაიმილიციის უფროსს შესასრულებ-  
 ლად (გაგზავნაც რა თქმა უნდა ხარჯებს იწვევს); რუისის მი-  
 ლიციის უფროსმა ხელახლად უნდა ჩასწეროს რეესტრში  
 შინდისში და გადასცეს თანამშრომელს შინდისში  
 შესაღებათ და ხელწერილის ქვეშ შინაარსის გამოსაცხა-  
 დებლად, მილიციელმა უნდა გაააროს 18 ვერსის მანძი-  
 ლი ფეხით (ვინაიდან ცხენი არ ყავს), აღნიშნულ მოქა-  
 ლეზე გამოუცხადოს, მას ჩამოართვას ხელწერილი, ამაზე  
 შედეგ რუისის მილიციამ ხელწერილი უნდა მიაკეროს  
 მიმოწერას და ახალი მიმართვა რეესტრში აღნიშნოს და  
 გადმოუგზავნოს სამაზრო მილიციას, სამაზრო მილიციამ  
 თავის ხელ-ახალი მიმართვით და ახალი საფოსტო ხარ-  
 ჯების გაღებით მიმოწერა უნდა დაუბრუნოს იუსტიციის  
 სახალხო კომისარიატის საპროკურორო განყოფილებას,

Воспроизведение,—вeсть—ახლადლება, ახლადქმნა, სწო-  
 ბადეა  
 В отмену—მოშლად, მოსაშლელად  
 Вошедший или вступивший в силу—ძალაში შესული  
 Впечатление—შთაბეჭდილება  
 Впечатлительный—შთაბეჭდილებადი  
 Впечатляемость—შთაბეჭდილებადობა  
 Враг;—жеский,—ждебный—მტერი; მტრული, სამტერო  
 Вражда—მტრობა  
 по Вражде—მტრობით  
 Вред,—дить—ვნება, ზნევა  
 Вред и убытки—ვნება და ზარალი  
 Вредный—სავნებელი, სავნებარი, სავნები, მავნებელი  
 Вредность—სავნებლობა, მავნებლობა  
 Время—დრო, ჟამი, ხანი  
 Временно—დროებითად, ჟამიერად, ხანიერად  
 Временный—დროებითი, ჟამიერი, ხანიერი  
 на время—დროებით  
 во время—დროზედ, დროთი, დროათ  
 в свое время—თავის დროს  
 до времени—დრომდის  
 время от времени—დრო და დრო  
 в настоящее время—ამ ჟამად  
 в это время—ამ დროს  
 Время года—წელიწადის დრო  
 Время улучшить—დროს შეკრევა  
 „проводить—დროს ტარება  
 „убивать დროს დაკარგვა  
 „дать (отсрочить)—დროას ყოფა ან მიცემა  
 (დრო უყო)

Времяисчисление—დროთაღრიცხვა ან ჟამთაღრიცხვა  
 Вручать,—чение—ჩაბარება  
 Всеобщий—საყოველთაო,საყოველადო  
 Всеобщность—ყოველთაობა, ყოველადობა  
 Включительно—ჩატანებით ან ჩართვით („მოვეცი... საურ-  
 მე ხიდი მისის ჩატანებით“—ნასყიდობის წიგნი 1670  
 წლ., „საქ. სიძე“, ტ. 1, № 250)

Вскрытие,—вать—ახდა; გახსნა  
 „трупa—გვამის განკვეთა, გაჭრა  
 Велед—შემდეგ, კვალდაკვალ, მიყოლით, უკან  
 Вследствие—გამო

გულ-ახდილად უნდა ვსთქვათ, რომ ამ უბრალო საქმეზე  
 ამდენი პროცედურის შექმნა, არის თუ არა წმინდა  
 წყლის „ვოლოკიტა“ და ისედაც დატვირთული მილიციის  
 გადატვირთვა.

განა არ შეეძლო საპროკურორატურო განყოფილებას  
 ასეთი შინაარსის მიმართვა ფოსტით ამავე ხარჯების გა-  
 ლებით გადაეგზავნა უშუალოდ მოქ. გარსევანიშვილისათ-  
 ვის, რომელიც მიიღებდა ამ კორესპოდენციას და გაიგებ-  
 ლა მის შინაარსს. მხოლოდ ერთი კი უდავოა, რომ ამით  
 შემოკლებდებოდა ხარჯები, მილიციის აღარ დააწევებოდა  
 ზედმეტი მუშაობა და საქმესაც არ შეაფერხებდა. აი ასეთს  
 წვრილმანებიდან არის შექმნილი ის „ვოლოკიტა“, რო-  
 მელთან ბრძოლაც ერთ-ერთ ჩვენ გადაუღებელ საკითხს  
 შეადგენს.

მე ვგონია, რომ თუ ყველა ჩვენგანი ჩაუკვირდება  
 თავის ყოველდღიურ მუშაობას, გადახედავს მას კრიტი-  
 კის თვალთ, ბევრს ასეთს შემთხვევას აღმოაჩენს და თუ  
 ასეთს გამოაშკარავებს უშიშრათ და გაბედულად, საშუა-  
 ლებას მისცემს, ვიხედაც ეს დამოკიდებულაა, აღმოაჩე-  
 რას „ვოლოკიტა“ და ამით ცხოვრებაში გაატაროს ერთ-  
 ერთი დავალება, რომელიც ჩვენს წინაშე დააყენა მე-15  
 პარტყრილობამ.



Вспомогательный — დამხმარე, მაშველი  
 Вспомоществование — შეწყობა, შეწვევა  
 Встречный — შეგებებული  
 Вставить — ჩასმა, ჩადგმა  
 Вставка — ჩანასმი, ჩანადგმი  
 Вступать, — пление — შესვლა  
 Вступить или вмешаться в дело — საქმეში ჩადგომა ან ჩა-  
 რევა  
 Вступить в должность — თანამდებობაზე დადგომა  
 „ во владение — მფლობელობაში შესვლა  
 „ на службу — სამსახურში ჩადგომა  
 Вступление приговора или решения в законную силу — განა-  
 ჩინის ან გადაწყვეტილებას კანონიერს ძალაში შე-  
 სვლა  
 Вступщик — მომრჩოლი \*)  
 Втайне — იდუმალ, საიდუმლოდ  
 Втихомолку — ჩუმად, უჩუმრივ  
 Второпях — ნაჩქარევად  
 Вторичный — მეორადი  
 Вторичное состояние — მეორადი მდგომარეობა (ფსიქ.)  
 Втройне — ერთი-სამად  
 Входящая книга — შემავალი დავთარი  
 В обеспечение — უზრუნველყოფად, უზრუნველ საყოფად  
 Выбирать — ამორჩევა; ამორკვევა; ამორკრევა  
 Выбор — არჩევანი  
 Выборный — საარჩევნო  
 Выборщик — ამომრჩეველი, ამრჩეველი  
 Выборка — ნარკვევი, ნაკრეფი  
 Выводить — გამოყვანა, გაყვანა, გამოყვანება; გამოტანა  
 Вывод; выведенный — გამოყვანილი, გამონაყვანი; გამონატანი  
 Вывод заключения — დანასკვის ან დასკვნილობის გამო-  
 ტანა  
 Вывеска — აბრა  
 Выговор — საყვედური  
 Выгода — სარფა  
 Выгодный — სარფიანი  
 Выгон — საძოვარი  
 Выдача — გაცემა, მიცემა  
 Выдача по завещанию — ანდერძით გასაცემი  
 Выдел участка — ნაკვეთის გამოყოფა  
 Выгрузка — გადმოტვირთვა  
 Выдерживать — ატანა, გაძლება  
 Выемка — ამორკვევა, ამოხმა  
 Вызов — გაწვევა, გამოწვევა, დაბარება

\*) „ვეროდეს ვინ მოგერჩოდეს, რე ვერც ვინ გეცი-  
 ლებოდეს, და თუ ვინ მოგერჩოდეს, პირი და პასუხის გამ-  
 ცემნი ჩვენ ვართ“ — სიგ. 1451 წ., „საქ. სიძვ.“, ტ. 1, № 1)

„ ответчика через публикацию — მოპასუხის პუბ-  
 კაციით გამოწვევა  
 „ сторон и свидетелей в суд — მხარეთა და მოწ-  
 თა სასამართლოში გამოწვევა ან დაბარება  
 Вызываемый, вызванный — გამოწვეული ან დაბარებული  
 Выкидыш — მოწყვედილი  
 Выкинуть (ребенка) — მუცლის მოწყვეტა, მოწყლბა  
 მოშლა  
 Выкуп — გამოსყიდვა  
 Выманивать — გამოტყუება, დატყუება  
 Выморочное имение — ბეითალმანი  
 Вымышленная сделка — მოგონილი გარიგება  
 „ предлог — „ მიზეზი  
 Выпись, выписка — ამონაწერი  
 Выражение, — жать — გამომეტყველება; გამოსახულება; გ-  
 მოხატულება, გამოსახვა, გამოხატვა  
 Выручить — ამოგება; დახსნა  
 Выручка — ნავაჭრი, მოგება  
 Вырытие трупя — გვამის ამოთხრა  
 Выстрел — გასროლა (რის — თოფის, ზარბაზნის და არა თო-  
 ფილდან, ზარბაზნიდან, როგორც ეხლა სწერენ და  
 ამბობენ)  
 Выселение, — лять — გამოსახლება  
 Высший — უმაღლესი, უზენაესი  
 Верховный — უზენაესი  
 Высылка — განდევნა  
 Вычет — გამოსაკლება  
 Вычитание, — честь — გამოკლება  
 Вычисление, — лить — გამოანგარიშება, გამოთვლა  
 Выяснение, — нить — გამოკრევა  
 Выход — გამოსავალი  
 Вход — შესავალი  
 Врожденный — თანდაყოლილი  
 Врожденность — თანდაყოლილობა  
 Выезд — წასვლა  
 Выездная сессия — გასული სესია (და არა გამსვლელი)  
 Вырождение — გადაგვარება  
 Вымирание — გადაშენება  
 Вытесненное представление — განდევნილი წარმოდგენა  
 (ფსიქ.)  
 Вывозная пошлина — გასაზიდი ბაჟი  
 „ „ — „ — გასაზიდი პრემია  
 Выгранный заем — მოგებიანი სესხი (და არა მომგებიანი)  
 Выходное пособие — გასასკლელი შეწყობა  
 Выходные дни — „ „ დღეები  
 Вязкое вещество — ბლანტი ნივთიერება

3. ქავთარაძე.


## პ რ ა კ ს ი ი მ ს ი ს უ ა ნ ი შ ვ ნ ე ზ ი

### შრომის კონფლიქტების გაჭიანურების საკითხისათვის

(ამხ. ლარინის პრაქტიკული წინადადების გამო).

გაზეთ „პრავდა“-ს 8 იანვრის ნომერში მოთავსე-  
 ბული იყო ამხ. ლარინის წინადადება, სადაც ავტორი  
 არკვევს შრომის კონფლიქტების განხილვის გამართივე-  
 ბის საკითხებს. ძირითადი დებულებანი შემდეგნაირად  
 არიან ჩამოყალიბებული: 1) უნდა შეიცვალოს სისტემა  
 და წესი შრომის კონფლიქტთა განხილვისა, რომ მატე-  
 რიული უფლება მუშა-მოსამსახურეთა დაცულ იქნეს; 2)  
 აკრძალული უნდა იქნეს განსაჩივრება პირველ ინსტან-  
 ციის სასამართლოების გადაწყვეტილებათა, როდესაც

სასამართლოს გადაწყვეტილება დადგენილი წესით  
 სახურეთა სასარგებლოდ. ასეთი გადაწყვეტილების გან-  
 საჩივრება არ შეიძლება არც ფორმალურად და არც  
 არსებითად. კასაციის უფლება უნდა ჰქონდეს მხოლოდ  
 პროფკავშირებს, როდესაც სარჩელი მუშა-მოსამსახურ-  
 თა სასარგებლოდ არ არის გადაწყვეტილი. საკითხი  
 ასეთი გადაჭრით ლარინის აზრით მოიხსნება საბჭოთა  
 პოლიტიკის გამრუდება და აღდგენილი იქნება საბჭოთა  
 უფლებრივი შეგნება. XV პარტიულმა ყრილობამ საკავში-  
 რთო ყურადღება მიექცია სასამართლოს მუშაობის  
 პრობლემის და დასახა გეზი საბჭოთა სასამართლოს სა-  
 მიანობის გაჯანსაღებისა (იხ. ამხ. ორჯონიკიძის მოხსენი-  
 ბა, კამათი და რეზოლიუცია ცკკ მუშაობის შესახებ)  
 რომ ბიუროკრატიაზე მან, საქმის გაჭიანურებისთან



უსულო ფორმალიზმთან ბრძოლა მუშათა კლასის კულტურული ამოცანებია—ეს უფაოა, რადგან სოციალიზმის მშენებლობა წარმოუდგენელია ზემოთ-აღნიშნულ ამოცანათა გადაწყვეტლად. ლარინის მიერ წამოყენებული საკითხი ფრად საინტერესოა, —აქას აბტიკებს თუ გინდის ვარემოება, რომ მან გამოხმაურება ჰპოვა საბჭოთა კავშირის მშრომელთა ფართო წრეებში და დიდი დისკუსია გამოიწვია ყველა რესპუბლიკაში. ცხადია, რომ შრომის კონფლიქტების განხილვისა და სისტემის წესი უსათუოდ გაძარტივებულ უნდა იქნეს, მაგრამ სასამართლოს პრობლემის ის გადაჭრა, როგორც ეს გათვალისწინებული აქვს ლარინს, მიუღებელია „პოლიტიკურად“ და საქმიანი თეორიისთვისაც“. ლარინის დებულებებიდან ჩანს, რომ იკმნება განსაკუთრებული პრივილეგია ერთი ჯგუფისათვის და, როგორც სამართლიანად აღნიშნეს მოსკოვში ერთ-ერთს დისპუტზე („პრავდა“ 17 იანვრის 1928 წ.), მშრომელთა ინტერესები დაპირდაპირებულია პროლეტარულ სახელმწიფოსთან და გამრუდებულია კლიასური ხაზი სასამართლო ორგანოებისა. საკითხის ლარინისებურად დაყენებით ჩვენ კლასურ ზღვარს ვსდებთ მუშათა სახელმწიფოსა და მშრომელთა შორის და ანაირად დაპირდაპირებულია ერთის მხრით მუშა მოსამსახურე და მეორეს მხრით—სოციალისტური მეურნეობის და სახელმწიფო აპარატის მმართველნი, რაც უსათუოდ ეწინააღმდეგება ჩვენს კონსტიტუციას და მართლმსაჯულების პოლიტიკას. ამიტომ სამართლიანად შენიშნავს ამხ. კრილენკო („პრავდა“ ა/წ. 15 იანვრის): ლარინის წინადადება ვეაღიგებს ხლესტაკოვისებურ გამაგდაობას, რომელიც ის (ლარინი) სხვა შემთხვევებში აყენებს და სწყვეტს სასამართლოს პრობლემის სერიოზულ საკითხებს. რასაკვირველია, მშრომელთა საქმის რამოდენიმე ეტაპით სიარული და ერთი ან ორი წლით გაკვიანურება არაა ნორმალური და ასეთ შემთხვევებს სამუშაოდ კიდევ აქვს ადგილი (თუმცა იშვიათად). არსებული მდგომარეობა არას გზით არ შეიძლება გაგრძელდეს და შრომის კონფლიქტის გაკვიანურებასთან საჭიროა გადაწყვეტილი ბრძოლა, რომ სუსტი ადგილები ჩვენი კანონმდებლობისა არ იქნეს გამოყენებული ბიუროკრატიზმისათვის და საქმისადმი ფორმალური მიდგომისათვის. ასეთი მდგომარეობის მთავარი მიზეზია პარალელიზმი და ინსტანციათა სიმრავლე შრომის კონფლიქტთა განხილვისათვის, ჩვენი შრომითი კანონმდებლობისა, განსაკუთრებით განმარტებითი ნაწილის ნაკლი, მისი უსისტემობა და უანასენელი ის, რომ შრომითი საქმეები ორი ხაზით ირჩევა: 1) საკონფლიქტო (შრომის კომისარიატის ხაზით) და 2) სასამართლო (იუსტიციის კომისარიატის ხაზით). ძალიან მწვავედ სდგას საკითხი კონფლიქტთა მიმდინარეობისა კოლხელმეკრულების შემთხვევების ნიადაგზე, შეუსრულებლობა და დღევანდლებისა შრომის პირობების და განსაკუთრებით სამსახურიდან დათხოვნის შესახებ. საჭიროა სათანადო მიჯნა იქნეს გავლებული კონფლიქტთა წარმართვის საქმეში, რომ შრომის ორგანოების მიერ მთავარი ყურადღება მიექცეს იმ კონფლიქტების განხილვას, რომელნიც აღოცენებული არიან უმთავრესად შრომის ახალი პირობების ჩამოყალიბებისას, სასამართლო ორგანოები კი უმთავრესად სასარჩლო ხასიათის საქმეებს (ბახუტოვი „ტრუდი“ № 37—12 თებერვალი). საფუძვლად უნდა მივიღოთ საკავშირო მუშათა და გლეხთა ინსპექციის წინადადება, რომ ძირითადი პირველადი ინსტანცია შრომის საქმეთა განხილვისათვის უსათუოდ უნდა იყოს შემფასებელ—საკონფლიქტო კომისია; უკანასკნელში საქმე უნდა დამთავრებულ იქნეს თავის დროზე. სტატისტიკური ცნობები მოსკოვის და უკრაინისა ადასტურებენ იმ ფაქტს, რომ შემფასებელ-საკონფლიქტო კომისიაში სწყუება საქმეთა რაოდენობიდან 80 პროც. მუშა მოსამსახურეს უსათუოდ რეალობა აინტერესებს.

საწარმოო დაწესებულებათა უჯრედებში უფრო სწრაფად გადასჭრიან იმ კონფლიქტებს, რომელიც წარმოიშობება დაქირავებულთა და დაქირავებულს შორის. მუშათა საზოგადოებრიობას უკეთ შეუძლიან საქმის განხილვა, ვიდრე რომელსამე სხვა ინსტანციას. ამ საკითხთან დაკავშირებით პროფკავშირებმა უნდა გააძლიერონ ინსტრუქტირება და აღამალონ კვალიფიკაცია ადგილკომთა მუშაკებისა (განსაკუთრებით შ. ს. კ. ნაწილის). ზედამხედველობა შემფასებელ-საკონფლიქტო კომისიებზედ ხორციელდება ძხლოვდ ერთი ინსტანციის მიერ, —უკანასკნელი რომ საქმეს გააუქმებს, საქმე მაშინვე უნდა გადაეცეს შრომის სესიას. ამასთანავე უნდა მივიღოთ მხედველობაში ის გარემოება, რომ გადაწყვეტელი საქმეები პირდაპირ გადაცემულ უნდა იქნეს სასამართლოებისათვის, როდესაც შეთანხმება არ იქნება მიღწეული შ. ს. კ., რადგან მხარეებს უკვე განსაზღვრული აზრი აქვთ და მას ისინი ბოლომდე დაიცავენ. უნდა დაწყებული იქნეს მოკლე ვადებით საჩივართა ადვრისა შემფასკომში, სამსახურებრივ უფლებებში აღდგენისათვის დაწესებული უნდა იქნეს ვადა არა უმეტეს სამი კვირისა, როგორც ეს მიიღო საკავშირო პროფსაბჭოს პრეზიდიუმმა.

ამხ. გრდამბრელიძე ლარინის მეოთხე თვისთან ერთად იმეორებს ულოგოკო დებულებას (იხ. „პრავდა“ 29 იანვრის და „კომუნისტი“ 19 თებერვლისა) „მუშა მოსამსახურეს უნდა მიეცეს უფლება საქმე გააჩივროს და მისი ხელახალი გარჩევა მოითხოვოს სასამართლოში და ეს იმ შემთხვევებშიც, თუ შემფასებელ საკონფლიქტო კომისიის დადგენილება მის სასარგებლოდ არ არის გამოტანილი. ყველა მოქალაქეს აქვს სასამართლოს დადგენილების ვასაჩივრებას უფლება, მით უმეტეს მუშა-მოსამსახურეს უნდა ჰქონდეს უფლება შემფასებელ-საკონფლიქტო კომისიის დადგენილების ვასაჩივრებისა. ვასაჩივრება დასაშვებია არსებითად იმის და მიუხედავად, აუქმებს თუ არა შრომის ორგანო შემფასებელ საკონფლიქტო კომისიის დადგენილებას“. ასეთ პირობებში სრულიად უკუვდებულია დანიშნულება შემფასებელ-საკონფლიქტო კომისიისა, რომელშიც კონფლიქტს არჩევენ, როგორც პარიტეტულ ორგანოში, შეთანხმებისამებრ და არა იძულებითი წესით, როგორც ეს ხდება შრომის საქმეთა სასამართლოში. ყველა ის დაფა, რომელიც წარმოიშობება შრომის დაქირავების ნიადაგზე, გადაწყდება სახალხო სასამართლოების საგანგებო სესიებში იძულებითი წესით ან შემარტივებელ გარჩევის წესით შემფასებელ-საკონფლიქტო კომისიებში, მომრიგებელ კამერებში და სხვ. და, თუ ეს არ მოხდა, საქმე გადაეცემა უმაღლეს ინსტანციაში, და ბოლოს შემფასებელ საკონფლიქტო კომისიების გადაწყვეტილებანი არ განსაჩივრდებიან (შრომის კანონთა კოდექსი 168, 172 და 173 მ. მ.). თუ საკითხს იმ მიმართულებით გადავჭრით, რომლისკენაც მაგვითიებენ რუსეთში ლარინი და ჩვენში კი გოდამბრელიძე, მაშინ შრომის კომისარიატის ორგანოების როლი, რომელთაც მინდობილი აქვთ შრომის პირობების სახელმწიფოებრივი მოწესრიგება, არა-რად იქცევა; და ამავე დროს არეულია ერთი მეორეში სასამართლოს იძულებითი ფუნქცია და კონფლიქტების შემფასებელი გარჩევის წესი. არ შეიძლება საკითხის ისე დაყენება, რომ, თუ მშრომლის სასარგებლოდ არ გადაწყდება საქმე, მხარეებს უფლება მიეცეს (ამათში კი უმეტესობა არა კეთილ-სინდისიერი მოსარჩლენი იქნებიან) განაგრძონ „გოლოკიტა“. რატომ უნდა ჰქონდესთ ასეთი პრივილეგია კერძო პირებს მუშათა სახელმწიფოს მიმართ, გაუგებარია, გაუგებარია კანონმდებლობის თვალსაზრისითაც.

შემდეგი საკითხი, რომელიც უსათუოდ უნდა მიწესრიგდეს საკანონმდებლო წესით, არის წერტილზე საქმე

მეთა კათეგორიისათვის განსაჩივრების უფლების აკრძალვა. აღნიშნულ საქმეებზე გადაწყვეტილებათა განსაჩივრებას არ უნდა ექნეს ადგილი. დღევანდელ პრაქტიკაში კი ჩვენ გვაქვს კონფლიქტები მცირე თანხების შესახებ და ასეთი საქმე ხშირად დასეირნობს ინსტანციიდან ინსტანციაში. ეს მდგომარეობა არაა ნორმალური.

დღე საქმეებისათვის, სადაც საკითხი ეხება პროლეტარულ სახელმწიფოს ინტერესებს, კასაციური განსაჩივრება დაშვებული უნდა იქნეს მხოლოდ ერთი ინსტანციის ფარგლებში. საქმეების მთელი რიგი სასამართლოს პრაქტიკაში გვიჩვენებს, რომ კასაციური ინსტანციები მეტად ფორმალური და ბიუროკრატიული თვალსაზრისით აუქმებენ საქმეებს და ამით კი ხელს უწყობენ საქმის გაჭიანურებას. საკასაციო ინსტანციას უსათუოდ უნდა აეკრძალოს საქმეთა გაუქმება ფორმალური მიდგომით, - მას, როგორც ეს ხდება რუსეთის პრაქტიკაში, უფლება უნდა მიეცეს შეიტანოს ცვლილება პირველ ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილებებში, რითაც აცლიებული იქნება ორმაგი მუშაობა. ამასთანავე საქმის განხილვისას საკასაციო კოლეგიებმა მთავარი ყურადღება უნდა მიაქციონ საქმის მატერიალ რაობას,

საჭიროა შემოღებულ იქნეს მტკიცე ვადები სარჩელის აღძვრისა. შრომის კანონთა კოდექსში 93<sup>1</sup> მუხ. შეტანას არსებითი ცვლილება არ გამოუწვევია შრომის კანონმდებლობის ნორმებში. აღნიშნული მუხლი აწესებს: „სარჩელის ხანდაზმულობა სამსახურებრივ უფლებებში აღდგენის საქმეებზე და ზედმეტი საათების ჯილდოს გაცემაზე განისაზღვრება ექვსი თვის ვადით“. საჭიროა ვადების შემოკლება არა მარტო სამსახურებრივი უფლებების აღდგენაზე, და ზედმეტი მუშაობის ჯილდოს გაცემაზე არამედ დაქირავებულ შრომის დანარჩენ შემთხვევებზედაც და ეს იმიტომ, რომ გაბატონებული აზრით შრომითი ლიტერატურაში სამოქალაქო კოდექსის ნორმები საერთოდ ვერ შეეფარდებიან შრომის საქმეებს.

უკანასკნელი გარემოება, რომელსაც სათანადო ყურადღება უნდა მიექცეს, არის ზედამხედველობის გაძლიერება, სამეურნეო და სახელმწიფო დაწესებულებათა ხელმძღვანელებზე, რომელთაც უყვარსთ საქმის გაჭიანურება, სარგებლობენ რა სახელმწიფოებრივი თანხებით-განსაკუთრებით ეს ითქმის იურისკონსულტებზე, რომელთა ბიუროკრატობა საქმად დადასტურებულია სასამართლოს ყოველდღიურ მუშაობაში. უნდა გაძლიერებულ იქნეს სისხლის სამართლისა და მატერიალ. პასუხისმგებლობა უზენაეს სასამართლოს 15 აპრილის 1927 წ. დადგენილების საფუძველზე. სისხლის სამართლის კოდექსის ახალ რედაქციაში შეტანილია მუხლი ბიუროკრატიაში შესახებ. ეს მუხლი ფართოდ უნდა იქნეს გამოყენებული იმ პირობა მიმართ, რომელნიც მუშების სამართლიან მოთხოვნებთანა გადაწყვეტას აჭიანურებენ, არ ითვალისწინებენ დაწესებულებათა მატერიალური ზარალს და სახელს უტეხენ საბჭოთა ხელისუფლებას მუშების თვალში. წამოყენებულ ამოცანათა გადაჭრით უნდა დაინტერესდეს და მათ მოწესრიგებაში აქტიური მონაწილეობა მიიღოს საბჭოთა საზოგადოებრიობამ „ბიუროკრატულ უკულმართობას“ მშრომელთა საქმეებში ბოლო უნდა მოეღოს.

**5. ჭინჭარაძე.**

**1. აღმასრულებელი ფურცელი და მისი სისრულეში მოქვანა 2. მიწის კოდექსის 24 მუხლი.**

(სამოქ. საპ. კოდ. 271 მუხ. და მიწის კოდექსი 45 მ.)

სახალხო სასამართლოების თვითი მიუწყებლების გასინჯვა და წაკითხვა აცვიფრებს მკითხველს. იმეათია ისეთი სახალხო სასამართლო, რომ წლის დამლევეს არ რჩებოდეს განუხილველი 300—500—800 საქმე მიუხედა-

ვად იმისა, რომ ყოველთვიურად თვითეული სასამართლო არჩევს 150 - 200 საქმეს. სასამართლოების გამოუშურება მხოლოდ 1923 წ. და თუ ვინმე ჰტიქრებდა საქმეების დაგროვება გამოუტყვევლი სასამართლოებში თავმჯდომარეების გამოუტყვევლობით ახლა ამაზე ფიქრი უსათუებლოა: 4—5 წლის გამოცდილებამ ჩვენი სახალხო სასამართლოების თავმჯდომარეები გახლდა კვალიფიკაციებულ მუშაკებად. მიუხედავად იმისა, რომ აწვეულია მოსამართლეების ცოდნის და გამოცდილების დონე, ჩვენ ვხედავთ, რომ საქმეთა რიცხვი თვეობით და წლობით მატულობს. სახალხო სასამართლოების განტვირთვის მიზნით, მგონია იუსტიციის სახალხო კომისარიატში მუშავდება პროექტი მცირე თანხის სამოქალაქო საქმეები და სისხლის სამართლის არართული თავისი შედეგებით საქმეები გადაეცეს თემის აღმასკომს. სამოქალაქო საქმეები სასამართლოების დატვირთვის აქვს თავისი ეკონომიური პირობები. რომ გადაათვალიეროთ სახალხო სასამართლოების სამოქალაქო საქმეები, დაინახავთ, რომ 25—40% შედგენს საქმეები აღმსრულებლის აღწერილობიდან ქონების გამორიცხვის შესახებ. ხშირია შემთხვევა, რომ ოჯახის წევრი სესხულობს ფულს, ამის შესახებ საქმე აღიძვრის სასამართლოში და ძილის აღმასრულებელ ფურცელად აღმასრულებელი მოვალეს აუწერს ქონებას, ოჯახის წევრებს შემოაქვთ სასამართლოში განცხადება, რომ აწერილი ქონების მხოლოდ ნაწილი ეკუთვნის მათი ოჯახის წევრს, რომელსაც აქვს ფული აღებული, ადგენენ მოწმობას, თუ რამდენი სულისაგან შესდგება ოჯახი, ნიშნავენ მოწმეებს დასამტკიცებლად, რომ ოჯახის წევრმა, რომელმაც ისესხა ფული და გასცა ხელწერილი და რომლის ვალშია დღეს მათი საერთო ქონება აწერილი, აღებული თანხა მოიხმარა თავის პირადი საჭიროებისათვის რომ ამ ფულით არ უსარგებლიათ ოჯახის წევრებს, და თხოულობენ საჯარო ვაჭრობის შეჩერებას. ზოგიერთ შემთხვევებში სასამართლოები აჩერებენ აღმასრულებლის მიერ დაინიშნულ საჯარო ვაჭრობას. ასეთი ტიპის საქმეებით დატვირთულია სასამართლოები.


სამუშუაბროდ, უნდა ითქვას, რომ ჯერ-ჯერობით ჩვენში იოლია დამსწრე მოწმეების შოვნა და გამოყენება. ეს იწვევს საქმეების დაგროვებას და აშკარა უქმყოფილებას სასამართლოებისადმი.

ჩემის აზრით საჭიროა: 1) საქმის გარჩევის დროს სასამართლომ გამოარკვიოს, ვინაა აღებულ ვალის პასუხისმგებელი ოჯახის წევრთაგან, რაც უნდა აღინიშნოს გადაწყვეტილებაში და 2) ხელშეკრულებებსა, ხელწერილებსა და სხვა ვალდებულების საბუთებში უნდა აღინიშნოს პასუხისმგებლობა ოჯახის წევრებისა მათი ხელის მოწერით.

II. საჭიროა ვსთქვათ ორიოდ სიტყვა მიწის კოდექსის 24 მუხლზედ. 24 მუხლი მიწის კოდექსისა გვეუბნება: „უკეთუ მიწის მოსარგებლის საადგილ-მამულო უფლება დარღვეულ იქნა ან მისი მეურნეობის საქმეში ვინმე უკანონოდ ჩაერია, სათანადო საადგილ-მამულო სასამართლო კოლეგია, მიწის მოსარგებლის თხოვნით, ვალდებულია ერთი თვის განმავლობაში დლიდან უფლების დარღვევისა, საქმის არსებითად განხილვამდე, ფაქტიურად აღადგინოს დარღვეული მიწის სარგებლობა“. კანონი სწორია და უსიტყვოდ მისაღები, მაგრამ პრაქტიკულად ცხოვრებაში გატარების დროს ვხვდებით დაბრკოლებას, რაც, რასაკვირველია, უკარგავს მნიშვნელობას ამ კანონს და ჰხდის მიწის მოსარგებლისათვის თითქმის მიუღებლად.

ყველასათვის ცხადია, რომ მოსახლეობა, მეტადრე დასავლეთ საქართველოში, ძალიან დაშორებულია კულტურულ ცენტრებზედ, თუ გინდ რაიონებზედაც. არის სოფლები 15—20 ვერსით დაშორებული რაიონზედ. გარდა ამისა ყველა მიწის მოსარგებლეს ვერ მოესტხოვთ





ანონების ცოდნას. ამით აიხსნება, ჩემის აზრით, ის ლეგონარობა, რომ საადგილ-მამულო სასამართლო კოლეგიის საქმეებში თქვენ ვერ ნახავთ. ვერც ერთ საქმეს, სადაც საქმის არსებითად განხილვამდე გამოტანილ იყოს გადაწყვეტილება დარღვეულ უფლების აღდგენისა. მეზობელმა მეზობელს დაურღვია უფლება, უკანასკნელი მიწის საადგილმამულო სასამართლო კოლეგიაში, შეიძლება ერთი თვის შემდეგ, შეაქვს განცხადება, საქმე ინიშნება ითვის მიხედვით 3-4 თვის შემდეგ, ჭიანჭურდება, შემოდის საკასაციო საჩივარი მაზრის საადგილმამულო სასამართლო კოლეგიაში, აქედან კი მიწად-მოქმედების სახალხო კომისიარიატის საბჭოში, ვინ იცის როდის ეღირსება დამთავრება? ამ ხნის განმავლობაში კი მიწა უკანონო მფლობელის ხელშია.

სამწუხაროდ ეს, საადგილ მამულო სასამართლო კოლეგია“ სხვა ტიპის სასამართლოდ მიაჩნიათ და ცოტათი ნაკლები ყურადღებაც ექცევა როგორც თავმჯდომარეების და წევრების, აგრეთვე მაზრის ხელისუფლების მიერ. ნომბრის თვეში 1927 წ. მე მომიხდა მიღება 38 საკასაციო საქმის ჩემს წინა მოადგილისაგან, მათში უმრავლესობა იყო გარჩეული უზნის საადგილ მამულო სასამართლო კოლეგიის მიერ 1926 წ. ამით მე არ მსურს ბრალი დაესდო ჩემს წინა მოადგილეს, მას თავისი განსაზღვრული კანცელარიის აპარატით არ შეეძლო მეტი. საქირო იყო მაზრის აღმასკომს მიეცა ერთი ტეხნიკური მოზუმავე და საქმეების გაჭიანჭურებას არ ექნებოდა ადგილი.

ამიტომ ადგილობრივ პირობების მიხედვით სასურველად მიმაჩნია მიწ. კოდექსის 24 მუხლში იქნეს შეტანილი შესწორება:

უკეთეს მიწის მოსარგებლის საადგილმამულო უფლება დარღვეულ იქნა ან მისი მეურნეობის საქმეში ვინმე უკანონოდ ჩაერია, ადგილობრივი თემ-საბჭო ვალდებულია ერთი კვირის განმავლობაში ფაქტიურად აღადგინოს დარღვეული მიწის სარგებლობა, რის შესახებ შესდგეს ოქმი, დაევალოს მიწის მოსარგებლეს განსაზღვრული ვადის განმავლობაში მიმართოს სასამართლო კოლეგიას და განემარტოს მიწის მოსარგებლეს, რომ თემსაბჭოს მიერ მიღებული ზომა დროებითია.

ერ. როდონია.


**უწყების ჩაბარება**

სოფლად მილიცია ძალზე დატვირთულია სხვადასხვა დაწესებულებების დავალებებით. მასვე აქვს დაკისრებული სოფლად უწყებების ჩაბარება სასამართლოს მიერ გამოწვეულ მოქალაქეთათვის. უნდა ითქვას გულახდილად, რომ მილიცია ამას ვერ ასრულებს ისე, როგორც ამას მოითხოვს საპროცესო კოდექსი 70, 71 და 72 მუხლები. ხშირად არის შემთხვევა, რომ მილიცია მოხვედრულა ერთ ნახევარს და გამოგვიგზავნის სასამართლოში ჯვრებ—დასმულს; მეორენახევარი სად გაქრა, კაცმ, არ იცის. შემდეგ მოდის მხარე და აცხადებს: რაშია საქმე, მე წერა ვიცი, ჯვარის დასმა რად დამჭირდებოდაო. ეს რასაკვირველია იწვევს საქმის გაჭიანჭურებას, პროტესტს და უკვე დამთავრებული საქმის ხელახალ გარჩევას. ამ მოვლენს უნდა მიექცეს აუცილებლად სათანადო ყურადღება ცენტრიდან, რომ უწყებების დატარების საქმე მოეწყოს ისე, რომ იყოს საგანგებო კაცი ან სასამართლოებთან ან მილიციასთან.

ქარელის სახალხო მოსამართლე ი. კაციტაძე

**უფუძლია თუ არა სასამართლოს დაუფას არსებულ კანონის საწინააღმდეგო გარიგება?**

სამოქ. სამარ. კოდექსი 166 მუხ. თანახმად იმ შემთხვევაში, როდესაც დამჭირავებული არის სამოქ. სამ. კოდექსი 156 მ. ჩამოთვლილ პირთაგანი, ე. ი. სახელმწიფო დაწესებულება და საწარმო ან დაქირავებული მუშა მოსამსახურე, სახელმწიფო სასწავლებლის მოწაფე, წითელი არმიელის სარჩენი მისი ოჯახის წევრი, შრომისა და ომის ინვალიდი, საცხოვრებელი ბინის ქირა არ შეიძლება შეპირებულ იქნეს იმ განაკვეთზე მეტი, რაც დაწესებულია საამისოდ არსებულ დადგენილებით ე. ი. აღმასკომის მიერ. ამრიგად კანონმდებლობა იმ პირთა მიმართ, რომლებიც ეკუთვნიან მუშათა და გლეხთა ხელისუფლების მფარველობის ქვეშ მყოფ კატეგორიათა ჯგუფს, (იხ. სამ. კოდექსი 156 მ. შენიშვნა) აწესებს ბინის მტკიცე ქირას იმ განაკვეთზე მეტი ბინის ქირის შეპირება, რაც გათვალისწინებულია საბინაო დებულებით, აშკარად საზიანოა ზემოაღნიშნული კატეგორიების პირთათვის და არ შეიძლება დაკულ იქნეს მხოლოდ თავისუფალი გარიგების ნიადაგზე. თუ რომელიმე იმ პირთაგანი, რომელიც გათვალისწინებულია სამ. კოდექსი 156 მ.) დასდებს რაიმე ხელშეკრულებას ბინის ქირავნობის საფუძველზე, ის, როგორც „კაბალური“, ბათილად უნდა იქნეს ცნობილი (სამ. კოდექსი 30 მ.) კანონის ეს მოთხოვნილება იმდენად უცილებელია, რომ სისხ. სამ. კოდექსი 139 მ. პირდაპირ გათვალისწინებულია სოციალური ღონისძიების შეფარდება იმ პირთა მიმართ, ვინც სახალხო კომისართა საბჭოს მიერ დაწესებულ ბინის ქირის ნორმაზე მეტს გამოართმევს მუშა-მოსამსახურეს და მასთანადემ 1) სრულიად დაუშვებელია გარიგება ბინის ქირის განსაზღვრის დროს ამ კატეგორიისათვის იმაზე მეტი დაწესება რაც დაწესებულია საამისოდ გამოცემულ დებულებით და 2) კანონის ასეთი მოთხოვნა საკალდებულოა საქ. სოც. საბჭ. რესპუბლიკის ერთიანი სასამართლოს სისტემის ყველა დაწესებულებისათვის (სახალხო, სამაზრო და უზენაეს სასამართლოებისათვის (იხ. სამ. სამ. საპ. კოდექსი 1-მუხ.). ზემოთ ნათქვამიდან უნდა დავასკვნათ, რომ არ შეიძლება ისეთი შეთანხმების დადება, თუ გინდ სასამართლოს წესით, რომელიც აშკარად საწინააღმდეგო იქნება აღნიშნულ კანონის მოთხოვნისა. საბინაო სასამართლოს პრაქტიკა კანონის ასეთ მოთხოვნას მტკიცედ იცავს და ასეთივე იყო შეხედულება უზენაესი სასამართლოსი ამ საკითხზე, მაგრამ უზენაესი სასამართლოს საკასაციო კოლეგიის ერთ-ერთი შედგენილობა სულ სხვა შეხედულებას გამოსთქვამს ამ საკითხზე სასამართლოში მომხდარ შეთანხმების გამო (იხ. საქ. № 15—28 წ.). უზენაესი სასამართლო თავის დადგენილებაში ამბობს, რომ რაკი მხარემ გამოსთქვა სურვილი ბინის ქირა გადაიხადოს იმაზე მეტი, რაც სამ. დებულებით დაწესებულია, ასეთი საკალდებულოა ორივე მხარისათვის და სასამართლო ამგვარ გარიგებაზე გასკვმს ბრძანებასო. (ცხადია ისმება საკითხი: თუ სასამართლოში მომხდარი შეთანხმება უსწორია და ეწინააღმდეგება კანონს, საკალდებულოა თუ არა ის მეორე მხარისათვის და უნდა იქნეს თუ არა ის გაბათილებული სამოქ. სამ. კოდექსი 30 მ. თანახმად? ჩვენ ვფიქრობთ, რომ სასამართლომ არ უნდა დაუშვას კანონის საწინააღმდეგო გარიგება და, თუ დაუშვა, ეს იქნება შეცდომა, რაც შემდგომ აუცილებლივ უნდა იქნეს გაბათილებული, მაგრამ სულ სხვა აზრია გატარებული საკასაციო კოლეგიის ხსენებულ დადგენილებაში ის ამბობს: „რა გინდ უსწოროდ არ ყოფილიყო ზემოხსენებული შერიგება, ეს უკანასკნელი ძალაში იყო შესული და მისი გადასინჯვაც არ შეეძლო სასამართლოს. გამო-



დის, რომ დასაშვებია ისეთი ხელშეკრულების დადება, რომელიც აშკარად საწინააღმდეგოა კანონის, და თუ მხარეს ამაზე პრეტენზია არ განუცხადებია თავის დროზე, ე. ი. ხელშეკრულების დადების დროს, მისი ბათილად ცნობა დაუშვებელია. ჩვენ კა ვგვონია, რომ საკასაციო კოლეგიის ასეთი განმარტება შექმნის არა სასურველ პრეცედენტს და ამიტომ საჭიროდ მიგვაჩნია, რომ უზენაეს სასამართლოს პლენუმმა გამოსთქვას თავისი შეხედულება ამ საკითხზე და სახელმძღვანელოდ დაუგზავნოს ქვემდებარე სასამართლოებს.

3. გეწადე

სისხ. სამართლის საქმეზე უწყების უწყსოდ ჩაბარების მავნე შედეგები.

ხშირად რაშე უმნიშვნელოდ მიჩნეული ნამდვილად არ არის ასეთი და მასზედ ბევრი რამ არის დამოკიდებული. მაგალითისთვის ავიღოთ სისხ. სამ. საქმე, რომელშიც მონაწილეობენ დაზარალებული, ბრალდებული და ბევრი მოწმე. რომელთაც უწყება ჩაბარა მილიციის თანამშრომელმა. სასამართლოში გამოცხადდა ყველა გარდა ბრალდებულისა, რომლის სახელობის უწყებაზედ ხელი უწერია სხვა გვარის მოქალაქეს აღუნიშვნლად იმისა, ვინ არის ეს უკანასკნელი-ბრალდებულთან ერთად ბინაში მცხოვრებია ან საერთოდ რა დამოკიდებულებაშია მასთან. მივლი შრომა მილიციის თანამშრომლისა უნაყოფოდ დაიკარგა, უსარგებლოდ დარჩა თვით სასამართლოს მხადება საქმისათვის მისი შესწავლისა და უწყებების წერის სახით. ამავე დროს არც არის საშუალება ბრალდებულის იძულებითი მოყვანისა შემდეგის სხდომისათვის, ვინაიდან არ ვიცით, იცის მან თუ არა მის წინააღმდეგ აღძრული საქმის არსებობა. სისხ. სამ. საპროც. კოდ. 23რ მუხლი სასამართლოს ავალებს სათანადო შემთხვევაში ბრალდებისათვის საბრალმძებლო დასჯენის ასლის ჩაბარებისას განუმარტოს, რომ მას უფლება აქვს მოიწვიოს დამცველი ან მოითხოვოს მისი დანიშვნა და სხვ. უწყება ისეთ საქმეზე, რომელზედაც საბრალმძებლო დასჯენის ასლის ჩაბარება სავალდებულო არ არის, საბრალმძებლო დასჯენის მაგიერობას ასრულებს, უწყების უწყსოთ ჩაბარება, ე. ი. ისე, რომ არ ვიცოდეთ, ჩაიბარა თუ არა იმან, ვისაც გაეგზავნა, დაუშვებელია. უწყების წესი დაცულ უნდა იქნეს იმ შემთხვევაშიც, როცა ეს დაზარალებულს, მოწმეებს და სხვას ჩება, ვინაიდან აქაც შეიძლება შედეგად საქმის გაჭიანურება მივიღოთ. ასეთი შემთხვევები არც ისე ცოტაა, რომ არ ღირდეს ზრუნვა გაუფებრობის თავიდან ასაცილებლად. ამიტომ საჭიროა მიღებულ იქნეს ზომები უწყების წესიერად ჩაბარებისათვის—უწყსოთ ჩაბარების მავნე შედეგების განმარტებით და სხვა ღონისძიებით.

სახ. მოსამართლე ბ. მოახრ ფეშვილი.

მოკვლევის საკითხები.

დათვალნიკების ტექნიკა სისხლის სამართლის საქმეზე

(გაგრძელება\*)

4. დაზიანებათა მრავალი რიცხვი არ გვიდასტურებს პირდაპირ იმას, რომ ადგილი ჰქონდა მკვლელობას. ხანდახან თვითმკვლელები მიიყენებენ ხოლმე მრავალ ქრილობას სხვა და სხვა საშუალებით და იარაღით, მაგალითად, თოკით, დანებით ცეცხლსროლ იარაღით და ერთსა იმავე დროს იწამლავენ თავს ან ვარდებიან წყალში. ამი-

სთანა შემთხვევაში დასაშვებია მკვლელობა, უკეთუ დაზიანებათა შორის აღმოჩნდება ერთზე მეტი ქრილობა, რომელსაც შედეგად მაშინვე სიკვდილი უნდა მოჰყოლოდა ან გონების დაკარგვა, თუმცა, რასაკვირველია, თვითმკვლელს შეეძლო ერთსა და იმავე დროს თავის თავისთვის ესროლა ორი რევოლვერიდან და ამ გვარად მიეყენებინა ორი სასიკვდილო ქრილობა. უკეთუ გარდაცვალებულს ეჩინებოდა სხვა და სხვა მსუბუქი დაზიანება, მაგალითად, კისერზედ ან კანის ზედაპირზე, შეიძლება დაეუშვათ, რომ ადგილი ჰქონდა მკვლელობას. ეს აიხსნება იმით, რომ მკვლელი ჩვეულებრივ მოქმედობს მეტის სიძლიერით და მხოლოდ შემთხვევით მიაყენებს ხოლმე ზედაპირულ ქრილობებს, თვითმკვლელი კი ჰკრთის და ერთდება ძლიერი ტკივილების მიყენებას. შეიძლება აკრეთვე დაეუშვათ თვითმკვლელობა, როდესაც ვპოულობთ რამდენიმე ზედაპირულ და პარალელურად მიყენებულ ქრილობას, ვინაიდან, როდესაც ადამიანი თავის თავს აყენებს ქრილობებს, მისი ხელი იმყოფება იმისთანა მდგომარეობაში, რომ შესძლია მიიყენოს პარალელური ქრილობები, დამცემის და მსხვერპლის მდგომარეობა კი იცვლება ხელის თვითულ მოძრაობასთან ერთად.

5. როდესაც გვამზე ეჩინება გასისხლიანებული ხელები, კვალები, მაშინ საჭიროა გამოკვლევა, შეეძლო თუ არა გარდაცვალებულს დაეტოვებინა ეს ანაბეჭდი, სახელდობრ-გასისხლიანებული აქვს გვამა თუ არა ხელები და შეეძლო თუ არა მას მისწვდომოდა თავის ხელით აღნიშნული ადგილამდე, მაგალითად, მარცხენა ხელის ზემოთა ნაწილში გვამზე ვნახეთ მეორე მარცხენა ხელის ანაბეჭდი.


6. ტანისამოსის მდგომარეობას, უკეთუ გვამს მარტო ქვედა ხალათი აქვს გაჩვრტილი, მხოლოდ ზედა ხალათი მივლია, მაშინ უნდა ვიფიქროთ, რომ საქმე გვაქვს თვითმკვლელობასთან, ე. ი. ვასროლის წინ ზედა ტანისამოსი ჰქონდა გახსნილი და გადაწეული აქეთ იქით შემდეგ, გვამის ჯიბეებში სისხლის ლაქები მოწმობს მკვლელობას; მკვლელი ჩაყოფს ხოლმე ხანდახან ხელებს ჯიბეებში გასაქურდავად ან გასაღების ამოსაღებად; თვითმკვლელს კი არავითარი მიზეზი არა აქვს ჯიბეებში თავის ხელების ჩასაყოფად.

უკეთუ ვენმე მოკვლულია თოფით, მხოლოდ თვითონ ჩაცმულია, მაგრამ ერთი ფეხი ტიტველი აქვს, მაშინ დასაშვებია თვითმკვლელობა. აიხსნება ეს იმით, რომ შესაძლებელია მსხვერპლმა ფეხის დიდი თითით ჩამოსწია თოფის ჩახმახი, ვინაიდან ხელით ვერ მისწვდა.

7. ხანდახან გვამს ბაწრით, თოკით ან სხ. ჰპოულობენ შეკრული ხელებით. შეკრული ხელები ჯერ კიდევ არ ნიშნავს იმას, რომ ჩვენ აუცილებლივ მკვლელობასთან გვაქვს საქმე. ხშირად თვითმკვლელი ჩამოხრჩობის და წყალში გადავარდინის დროს თვითონ იკრავენ ხელებს. მაგრამ ასე თუ ისე გვამის დათვალნიკების დროს, როცა მას შეკრული აქვს ფეხები ან ხელები, ან და კისერზე მარყუჟი აქვს, სასტიკი ყურადღება უნდა მივაქციოთ კვანძების ხასიათს და მათ ფორმას. გამოკვლეულია, რომ განსაზღვრული პროფესიის პირები აკეთებენ იმისთანა კვანძს, რომელიც შეეფერება მის სპეციალობას. მაგალითად, მეზღვაურები აკეთებენ საზღვაო კვანძს (სრიალა მარყუჟით), ფეიქრები—ძაფის წყვეტის დროს სახმარ კვანძს, მეთევზეები იმისთანავე, როგორც ბაღეზე, ყასაბები—კვანძს. რომლითაც საქონელს უკრავენ რქას და სხვ. აღნიშნულია გარემოება მოგვცემს საშუალებას აღმოვაჩინოთ და ვამხილოთ მკვლელი.

უკეთუ გვამს ვპოულობთ ჩამოკიდებულს თოკის მარყუჟით, ხანდახან იმ მიმართულების მიხედვით, რომელ მიმართულებითაც გათელილია თოკის ბოჭკოები (ბეწვები) ხასაგან, რომელზედაც მიმაგრებულია მარყუჟის ბოლო, შეიძლება ვსთქვათ, რას ქონდა ამ შემთხვე-

\* იხ. ყურნალი „სახ. სამ.“ № 5.



ვაში ადგილი, ჩამოხრჩობას თუ თვითჩამოხრჩობას. მაგალითად, თვითმკვლელი ჯერ მიამაგრებს თოქს, მხოლოდ შემდეგ გააყოფს თავს მარყუჟის ბოლოში. მისი სხეულის სიმძიმის გავლენით თოქი მოძრაობს ქვეითკენ და ხის ბოჭკოები (ბუსუსები) ითვლება ზევითკენ, ხოლო თოქის ბუსუსები—ქვეითკენ. მაგრამ, როდესაც ჩამოსახრჩობად ზევით სწევენ მარყუჟით ცოცხალ ან მკვდარს, მაშინ თოქი, რომელსაც მოპირდაპირე ბოლოთი ეწევიან, მოძრაობს ზევითკენ და თოქის და ხის ბუსუსები ითვლება მაშინ სხვადასხვა მიმართულებით (არეულად, ე. ი. ერთი მხარეს ზედება).

ბოლოს გვამის დათვალიერების დროს ყურადღება უნდა მივაქციოთ იმ კვალებს, რომელიც ჩნდება სიკვდილის შემდეგ მკვდარ სხეულზე რამე საგანზე წოლისაგან. ადამიანის გვამზე, რომელიც მოკლულია და რამდენიმე ხნის განმავლობაში იღვავა ლოვინში, ჩნდება ზეწრის ნაკვეთების კვალები; უკეთუ გვამი შემდეგ გადატანილი იყოს იატაკზე და იქ იღვავა, მაშინ ზეწრის ნაკვეთების კვალებთან ერთად შერჩევა კვალები იატაკსაც.

საერთოდ გვამის უზრუნველ დაწვრილებით გამოკვლევა და ვაჭრა შეადგენს სამოსამართლო მედიცინის სფეროს და სწარმოებს ექიმის მეშვეობით. ამიტომ ეს ცნობები სრულიად საკმარისია მომკვლევნი ორგანოებისათვის.

VI.

დათვალიერება ტანისამოსისა, ფეხსაცმელებისა და ნივთებისა, რომლებსაც თან ატარებს დამნაშავე.

ა) ტანისამოსის დათვალიერების დროს უნდა მივაქციოთ ყურადღება 1) განოჭრობობას, 2) მასალას, 3) ზომას, 4) მის დამუშავების ადგილს, 5) განსაკუთრებულ თვისებებს—ნიშნებს, ზიანებს, ლაქებს და სხვას. ზომის მიხედვით შეიძლება რამდენადმე ვიმსჯელოთ მისი მატარებლის სხეულის ზომის შესახებ, მხოლოდ ნახმარ მასალის საშუალებით შეიძლება გამოვარკვიოთ დამუშავების ადგილი. უფრო მეტი მნიშვნელობა აქვს ტანისამოსის ზიანებს, საკერებლებს, ლაქებს და სხვ. ტანისამოსის ღილებზე, აბზინდებზე, სანდალზე წასმულ ლაქებზე, საყელოებზე და სხვაგან შეიძლება დარჩენილი იყოს თითების ტვიფარები; ამიტომ მათი დათვალიერება უნდა სწარმოებდეს დიდი ყურადღებით და კვლების აღმოჩენისას უნდა მოეყაროს პულარი.

ცეცხლმსროლი იარაღით მიყენებულ განწოლილ ჭრილობათა შემთხვევებში უნდა გამოვარკვიოთ, რომელი ორ ნაჩრეტთაგანი ტანისამოსზე არის შემავალი და რომელი გამომავალი; შემავალ ნაჩრეტში ქსოვილის ბოჭკოები მიდის შიგნითკენ, ჭრილობის მიმართულებით, რადგან მათ იზიდივას თავისკენ ტყევა; გამომავალ ნაჩრეტში კი მიიმართება ცენტრიდან გარეთკენ.

ბ) თითების ანაბეჭდები შეიძლება შენახულ იქნეს ლაქის ტყავის ფეხსაცმელზე. ანაბეჭდების აღმოსაჩინად უკეთესია ფეხსაცმელი დათვალიეროთ ირიბულ სინათლეში, და აღმოჩენილ ლაქებს წვაყაროთ ფხვინო. საჭიროა აგრეთვე ძირების, ნახვიარ ძირების და ქუსლების გამოკვლევა, ხანდახან მ დიდას შემწეობით, რომ გამოვარკვიოთ ნიდაგი, რომელზედაც უვლიათ ამ ფეხსაცმელით—ხომ არ არის მასზე შეღებილი ლაქები, სისხლი ან საღებავი; უნდა გამოვიკვლიოთ ზიანები შესადარებლად ნაპოვნ კვალებთან და სხვ.

დასასრულ მოკლედ შევხებით იმ წვრილი ნივთების დათვალიერებას, რომლებსაც ატარებენ თავისთან, მგალითად: ჯოხებს, ქოლგებს, პორტფელს, ჩანთებს, ცხვირსახოცებს, საათს, პორტსივარს, დანას, ბეჭდებს, საყურეებს, სამაჯურებს და სხვ. უწინარეს ყოვლისა ამ საგნებზე უნდა ვეძიოთ ნიშნები (მოწვრებები), სხვადასხვა წარწერები, ფირმის დალი და

სხვ. შემდეგ ამისა საგნებში შეიძლება ვნახოთ თეატრის, ტრამვაის და რკინს-გზის ბილეთები და სხვა რამე საბუთები.

VII.

თანამედროვე სისხლის სამართლის პრაქტიკაში დათვალიერების შედეგების დამაგრების სამნიარო საშუალებანია მიღებული: 1) ფოტოგრაფიული გადმოღება, 2) ოქმის შედგენა და 3) სადანაშაულო ადგილის ავტოგრაფი. თვითუფლ ამ ხერხთაგანს აქვს თავისი ღირსებანი და ნაკლი. მათგან ყველაზე ნაკლებად სრულია—ოქმი, მხოლოდ უკეთესია—ფოტოგრაფია. მაგრამ რომელი ხერხიც უნდა ამოვარჩიოთ (გარდა ოქმისა, რომელიც ყოველთვის სადავალდებულოა), მუდამ უნდა გვახსოვდეს ერთი რამ,—არაფერს დათვალიერების ადგილზე არ შევხვით და არაფერი არ გადავღვათ, მანამ ყველაფერი არ იქნება დათვალიერებული, დაწვრილებით აღწერილი, დახატული, დახატული და ფოტოგრაფიუმიქმნილი.

უკეთეს შესაძლებელია ფოტოგრაფიული აპარატით გადავიღოთ სადანაშაულო ადგილი, მაშინ დათვალიერებას წინ უნდა უძღოდეს ფოტოგრაფია.

უკანასკნელს მოკვლევის საქმეში დიდი მნიშვნელობა აქვს. იგი უდავოდებს გამოძიებელს ან აგენტს ალადგინონ თავის მებსიერებაში სადანაშაულო სურათი და ყველა ის მნიშვნელოვანი ნაწილები, რომლებიც მას გამოჩნდა და არ შეიტანა ოქმში ან არა სრულად აღწერა, ვინაიდან პირველად არ აძლევდა მათ იმ მნიშვნელობას, რომელიც შემდეგში მიიღეს ამ ნაწილებმა. უკან დაბრუნება და ხელახლად დათვალიერების მოხდენა ყოველთვის არ არის შესაძლებელი იმისთვის, რომ გარემოვითარება შეიძლება შეიცვალოს. ამის გამო ფოტოგრაფია დაუფასებელია იმ მხრივ, რომ ავსებს დათვალიერების დროს დაშვებულ შეცდომებს. შემდეგ, ფოტოგრაფიული სურათი სასამართლოს ნათლად თვალწინ უშლის მთელ სურათს, აძლევს სწორ წარმოდგენას დანაშაულის გარემოვითარებაზე და აცოცხლებს ოქმის მშრალ შინაარსს.

სადანაშაულო ადგილის გადასაღებად ხმარობენ „ბერტილიონის“ სისტემის სპეციალურ მეტრიულ ფოტო-აპარატს (თუმცა ჩვეულებრივ ფოტოგრაფიულ აპარატსაც ხმარობენ). სურათის აღების დროს უნდა აღიბეჭდოს ჩანდნილი დანაშაულის ადგილი და გარემოვითარებული მიდამოები და საგნები, ყოველ შემთხვევაში ორ სხვადასხვა წერტილებიდან; შემდეგ იღებენ გვამს ზემოდან და გვერდიდან, ნათესურებს და გამოტეხვის კვალებს და სხვა.

კვლების ფოტოგრაფიულად აღების დროს ერთდროულად იღება ზომსადარიც (მასშტაბი), ე. ი. ქალაქი დაყოფილი სანტიმეტრებზე. უკანასკნელი საჭიროა, რათა მომავალში შევძლოთ მსჯელობა გადაღებულ საგნის ბუნებრივ სიდიდებზე. იატაკზე ან მიწაზე მოთავსებულ გვამების და კვლების გადაღების დროს, ფოტოგრაფიული აპარატი უნდა მოთავსდეს ობიექტივით ზემოდან ქვეით. უკეთეს ამისთანა გადაღებისათვის არ არის სპეციალური სამფეხა, ფოტო-აპარატს მიამაგრებენ კიბეს. ფოტო-აპარატის მქარაქალი შუშა უნდა მოთავსდეს გადასაღებ საგნისადმი პარალელურად.

დათვალიერების შედეგების დამაგრების შემდეგი საშუალება იქნება ოქმის შედგენა. საერთოდ ოქმი სდგება გზაწყობრივ, ყველაფერი იწერება რიგრიგობით, მხოლოდ თანდათანობით, საერთო მდგომარეობიდან კერძოზე გადასვლით, მთელიდან მის ნაწილებზე (ობიექტიური მეთოდი). არ უნდა ვავიკეთო წინ, არ დაუბრუნდეთ იმას, რაც უკვე აღწერილია. ოქმის წერის დროს უნდა ვერიოდოთ იმისთანა სიტყვების ხმარებას, როგორიც არაა „მარჯვნივ“, „ახლოს“ და სხვ.; ცალკე ადგილების ან საგნების მიმართულება და მდგომარეობა აღინიშნება ქვეყ-

ნის მხარეების მიხედვით, მაგალითად: „შემავალ კარებიდან ჩრდილოეთ—აღმოსავლეთის მიმართულებით“... და სხვ. მანძილები აღინიშნება სანტიმეტრებით და მეტრებით, მაგალითად: „50 სანტიმეტრის მანძილზე ბუხარიდან, რომელიც მოთავსებულია ოთახის სამხრეთ-დასავლეთის კუთხეში, გვამის თავისკენ პირდაპირ ხაზზე ძვეს ქული...“. საგნის მდებარეობის აღსანიშნავად საჭიროა გაიზომოს მისი მანძილები იმ სადგომში ორ მუდმივ ხაზებიდან, რომელნიც ერთმანეთს ხვდებიან და ჰქმნიან პირდაპირ კუთხეს; ამისთანა ხაზებად იქნებიან: კედლის-თვის—ხაზები ოთახის კუთხის და იატაკისა, მხოლოდ იატაკისთვის—ორ მოსაზღვრე კედლის ჭერთამასები (3 ლინტუსები), რომელნიც ჰქმნიან კუთხეს; ამასთან ათვლა ამ ხაზებით ხდება მათ მიერ შექმნილ კუთხის წვერიდან აღნიშნული წესით ყოველთვის ადვილია საგნის ან კვალის ადგილმდებარეობის აღდგენა; საკმარისია მხოლოდ, ამისათვის, ამ წერტილებიდან გავავლოთ პირდაპირი კუთხით ორი ხაზი მათ გადაკვეთამდე, და მათი გადაკვეთის წერტილი მოგვცემს საგნის ან კვალის მდებარეობის ადგილს.

სადგომის შინაგანობის და მასში მოთავსებულ საგნების აღწერის დროს მიღებულია ოქმში ყველაფერის აღწერა საათის ისარის მოძრაობის მაძარტულებით. ერთნაირი საგნები აღინიშნება ერთსა და იმავე ასოებით (უკეთესია დაწყებითი ასოებით) საგნის სახელწოდებისა როდესაც რამდენიმე ერთნაირი სახელწოდების საგანი გვხვდება, მაშინ ასოებს უმატებენ ციფრებს ხსენებულ საგნების რაოდენობის მიხედვით; მაგალითად: კარები აღინიშნება „კ“, მხოლოდ უკეთეს სამი კარებია, მაშინ აღინიშნება—„კ“, „კა“, „კა“; შემდეგ მაგალითად აღინიშნება ასოთი „მ“ ან „მი“, „მა“, „მა“, და სხვ.

უკეთეს ორი საგნის სახელწოდება ერთი და იმავე ასოთი იწყება, მაშინ შეიძლება მიუმატოთ მეორე, შემდეგი ასო, მაგალითად: სკამი აღინიშნოთ ასოთი „ს“, მხოლოდ სარკე-ასოებით „სა“. ამორჩეულ მიმართულებას უნდა მივსდევდეთ ცალკე საგნების აღწერის დროსაც, მაგალითად, რომელი საგნებიც მოთავსებულია იატაკზე, დალაგებულია მაგიდაზე, დგანან ფანჯარაზე და სხვ. მხოლოდ არ უნდა დავარღვიოთ ბუნებრივი წესი (რიგობა); ასე, მაგალითად, გვამის აღწერა უნდა დაეწყოს თავიდან და არა ფეხებიდან, მაგიდისა—ხედა ნაწილიდან და არა ფეხებიდან და სხვ.

რაც შეეხება დათვალიერების ოქმის შინაარსს, იგი უნდა ჩამოყალიბდეს ლოლიკურად, შეეფერებოდეს დათვალიერების მიზანს და გარემოებებს.

თუმცა შეუძლებელია დათვალიერების ოქმის შესაღვენად რაიმე მუდმივი სქემის გათვალისწინება, მაგრამ უნდა გვახსოვდეს, რომ ოქმში საერთოდ უნდა იყოს აღწერილი: ა) დანაშაულის ადგილი, ბ) გზები, რომლებითაც დანაშაულები მივიდა დანაშაულის ადგილზე და წავიდა აღნიშნულ ადგილიდან; გ) ადგილები, სადაც ნაპოვნია სადანაშაულო იარაღი; დ) ადგილები, სადაც აღმოჩენილია დანაშაულის კვალები; ე) ყველაფერი მოულოდნელად ნახული.

ამგვარად, პირველად აიწერება საერთოდ ადგილი. მისი ადგილმდებარეობა, დანაშაულის ადგილის გარემოებითარება, გზები, რომლებიც მისკენ მიდის, მხოლოდ შემდეგ თვით ის ადგილი, სადაც მოხდა დანაშაული; მაგრამ თავდაპირველად საკუთრივ ადგილი ან სადგომი და ყველაფერი ის, რაც იქ იმყოფება; შემდეგ ცვლილებანი, რომლებიც შეიტანა დანაშაულები და მის მიერ დატოვებული შედეგები, მაგალითად: დაზიანებანი, კვანძები, დარჩენილი იარაღები და საგნები. ვინაიდან ჯერ გამოთორქვ ველია, რომელსაგანს ექნება შემდეგში უფრო მეტი მნიშვნელობა, ამისათვის უნდა აიწეროს იმისთანა საგნებიც, რომელთაც პირველი შეხედვით არავითარი კავშირი

არა აქვთ მომხდარ დანაშაულთან; მძიმე დანაშაულთა შემთხვევებში, მაგალითად, უნდა აიწეროს ყველა ის საგნები, რომლებიც მოთავსებულია ოთახში, სადაც მოხდა დანაშაული.

ოქმში საჭიროა აგრეთვე აღინიშნოს, რომ არ არის ნახული კვანძები და საგნები, რაც საქმის გარემოებათა მიხედვით უნდა ყოფილიყო. ასე, მაგალითად, აუცილებელი უნდა აღინიშნოს ის, რომ ღია ადგილზე ნახულია გვამი, მაგრამ არსად არ ემჩნევა ბრძოლის კვანძები, რომ ფეხიანი ნიღაბი ამ ადგილზე არ არის ამოთხრილი, ხალხი არ არის გათვლილი და არ ემჩნევა სისხლის კვანძები ან არ არის ტანისამოსის ნაგლეჯები.

ოქმის შედგენის დასაწყებად უნდა ამოირჩეს „საწყისი წერტილი“, სადგომში—შესავალი კარები, მხოლოდ გაშლილ ადგილზე—რომელიმე წერტილი ან საგანი, მაგალითად, გალავანის რომელიმე კუთხე, ცალკე ხე და სხვ. ოქმში საგნების აღსანიშნავად იხმარება საერთოდ მიღებული სახელწოდებანი. ნაკლებად ცნობილ სახელწოდებების განმარტება აღინიშნება ოქმშივე. საჭიროა გვირილთ ვაგარის და სახსნ არეკას. მაგალითად, დაუშვებელია ოქმში დაწერა „კაცის გვამი“, არამედ უნდა აღინიშნოს „მაკაცის ან დედაკაცის გვამი“. როდესაც ოქმში ეწერა „ნაგანი“ ან „ბრაუნინგი“, აუცილებელი უნდა დაუმატოთ სიტყვა „რევოლვერი“ და სხვ.

მკვლევარის ან ქურდობის ადგილის დათვალიერების ყველა შემთხვევაში საჭიროა აგრეთვე აღინიშნოს, რომ „დაწვრილებითი გამოკვლევის დროს არსად აღმოჩნდა თითების ანაბეჭდები“ ან „მკვლევარის ან გატების იარაღი ადგილზე არ აღმოჩნდა“, უკეთეს სინამდვილეში მიღებული იყო ყოველგვარი ზომები და მანძილ არ აღმოჩნდა.

სასურველია ყოველთვის დათვალიერების ოქმს გამოძიებელმა ან აგენტმა დაურთოს დათვალიერებულ სადგომის ან ადგილის გეგმაც, რომელიც სდგება ტოპოგრაფიულ აგეგმვის წესით. სამოსამართლო მიზნებისათვის სრულიად საკმარისია „თვალზომითი აგეგმვა“, რომელიც სწარმოებს უმარტივეს იარაღების შეშვებით და არ ძიოთხვს განსაკუთრებულ ცოდნას.

აგეგმვა ეწოდება ადგილზე ან სადგომში ყველა იმ მოქმედებათა შეერთებულებას, რაც საჭიროა გეგმის მისაღებად. რაში გამოიხატება ხსენებული მოქმედებანი? აღნიშნული მოქმედებანი გამოიხატება ადგილზე გაზომვაში და შემდეგ ქალაქზე აღნიშვნაში: 1) ყველა ხაზების (გზების, ბილიკების, კედლების და სხვ.) და 2) ყველა ამ ხაზებისაგან შემდგარ კუთხეებისა (მაგ., ობის ახ ოთახის კუთხე და სხვ.). აღნიშნულ მოქმედებისათვის საჭიროა: 1) მაგარი მუყაოს (კარტონის) ნაჭერი, რომელზედაც დაკრულია წმინდა ქალაქის ფურცელი (პლანშეტი), 2) ფანქარი, 3) სამწახნა (трехгранная) სახაზი, რომლის ორ ვიწრო წახნაზე (гранях) აღნიშნულია სანტიმეტრები და მილიმეტრები, და 4) პატარა ყიბლანი (კომპასი). უკანასკნელის უქონლობის შემთხვევაში კვანძის მხარეთა გამოსარკვევად იხმარება ჩვეულებრივი ჯიბის საათი. ამისათვის საათის ისარს მივმართავთ მხისკენ; მაშინ ხაზი, რომელიც გაივლის კუთხის შუაში, რომელსაც აკეთებს საათის ისარი და გონებისა ხაზი, გავლებული საათის ცენტრიდან ციფრი „12“-ზე საათის ციფერბლატზე, უჩვენებს სამხრეთს (შუადღის ხაზი).

მაგრამ, ხშირ შემთხვევებში, აღნიშნულ აგეგმვის ნაცვლად იხმარება უფრო პრიმიტიული გეგმის დახატვა. ყველაზე უფრო მარტივია ამგვარი გეგმის დახატვა მაშინ, როდესაც ამ მიზნისათვის ვისარგებლებთ სწორ უჯრედებთან დახატულ ქალაქდით. უპირველეს ყოვლისა უნდა განისაზღვროს მამუტები, სახელდობო, ქალაქზე ინიშნება, შემცირებულად, გაზომვისათვის მიღებული ზომის ერთეული (მეტრი, ან საყენი, ან არშინი) და მათი



ნაწილები. მაგალითად, ზომის ერთეულად იღებენ საყენს და სთვლიან, რომ მისი სიგრძე უდრის ქალაღლზე სამ უჯრედის სიგრძეს, მაშასადამე ერთი უჯრედის სიგრძე შეადგენს საყენის 1/3 ანუ არშინს.

ამის შემდეგ შეუდგებით გეგმის შედგენას, მაგალითად, იმ ოთახსა, სადაც აღმოჩენილია ადამიანის გვამი იატაკზე ძალადობის ნიშნებით.

ავილებთ რა ჩვენ მაგალითში გეგმის შესადგენად „საყენის წერტილად“ ოთახის შემავალ კარებს, ვზომავთ თანდათანობით კედლის სიგრძეს.

გაზომას დაიწყებთ მახლობელ კედლიდან და ერთი მიმართულებით—მარჯვნიდან მარცხნივ. წარმოვიდგინოთ, რომ აღნიშნულ კედლის სიგრძე უდრის 5 არშინს; მაშინ გეგმაზე კარებს აღვნიშნავთ ასოთი „კ“ და მისგან მარჯვნივ გავატარებთ ხაზს, რომელიც სიგრძით უდრის 5 უჯრედს (1 უჯრედი—1 არშინს); შემდეგ ვზომავთ მოსახლოვე კედლებს და მათ შორის (ე. ი. გაზომილის და გასაზომად კედლის) არსებულ კუთხეს. წარმოვიდგინოთ, რომ მისი სიგრძე უდრის 3 საყენს ანუ 9 არშინს, მხოლოდ კუთხე პირდაპირია. მაშინ პირველი ხაზისადმი პირდაპირი კუთხის ქვეშ გავატარებთ ხაზს, რომელიც სიგრძით უდრის 9 უჯრედს. ასევე უნდა მოვიქცეთ დანარჩენ კედლების გაზომვის დროს და ბოლოს მივიღებთ კრულ (შეკრულ) ფიგურას, რომელიც შეეფერება ოთახსა ფიგურას და შემცირებული იქნება გეგმაში იმდენჯერ, რამდენჯერ ქალაღლის უჯრედის სიგრძე ნაკლებია 1 არშინის სიგძისა. შემდეგ, სათანადო აღვნიშნავთ მანძილის დაცვით ინიშნება ფანჯრების, ავეჯის და სხვა საგნების რიცხვი და მდებარეობა, და მათ რიცხვში გვამის მდებარეობაც.

მაშობების გარდა გეგმაზე უნდა აღინიშნოს ყაბლანის ან მზის მიხედვით ქვეყნის მხარეთა მიმართულება და პირობითი ნიშნები.

დ. მირიანაშვილი.

იურიდიული დახმარება

(კითხვა პასუხი)

კითხვა. კომლში არის ოთხი წევრი, ორი მათგანი ღრმად მოხუცებულნი. კომლს აქვს ეზო, ვენახი და საყენე. ყველა ეს შეიცავს ექვს ნახევარ ქვეყა—მიწას მეორე კატეგორიისას. ღრმად მოხუცებულნი წევრები მოითხო-

ვენ კომლის გაყრას. კანონიერია თუ არა ასეთ წევრების აღნიშნული მოთხოვნა.

სოფელ ბაღდადის მცხოვრები

მინაღორა თავაძე.

პასუხი. ბაღდადი ეკუთვნის მეხუთე რაიონს მიწის ნორმების განსაზღვრისათვის საქართველოს ტერიტორიის რაიონებად დაყოფის მიხედვით. თუ მივიღებთ მხედველობაში მიწის მდებარეობის რაიონს (მეხუთე) და საშუალო ოჯახზე (მიწის კოდ. 63 მუხ.) დაწესებულ ნორმას რაიონისა და კატეგორიის მიხედვით (მეორე კატეგორია), უნდა ითქვას, რომ შეკითხვაში ხსენებულ ოჯახს მიწის სრული ნორმა არა აქვს. ამიტომ თანახმად მიწის კოდექსის 48 მუხლისა კომლის გაყრა დუშმეგბელია: თვითეულ განყოფს შეხედება ცალკე მეურნეობის საწარმოებლად ნაკლები ნახევარი კანონიერი ნორმისა. მაგრამ კომლის გაყრისათვის საჭიროა არა მარტო ის, რომ მიწის გაყოფა შეიძლებოდეს ისე, რომ თვითეულ განყოფს შეხედეს არა ნაკლებ ნახევარი კანონიერი ნორმისა, არამედ აუცილებელია, რომ იმ სამეურნეო ერთეულებს, რომლებიც კომლის გაყრის გამო, უნდა დაარსდნენ რამდენიმე კომლის სახით, ჰქონდესთ, შესაძლებლობა მეურნეობის წარმოებისა პირადი ძალებით. აზრი კანონის დადგენილებისა (49 მუხ.) იმაშია, რომ წევრი იღებდეს მონაწილეობას მეურნეობაში, ამას უნდა მიუმატოთ ის გარემოებაც, რომ კომლის გაყრის გამო უნდა დაარსდეს ერთი მეურნეობის მაგიერ ორი ან მეტი მეურნეობა და რომ თვითეულ განყოფს არა მარტო უნდა ხვდეს მეურნეობის საწარმოებლად საკმაო, კანონით განსაზღვრული რაოდენობის მიწა არამედ უნდა ჰქონდეს საშუალება მიწის პირადი ძალებით ან პირადი შრომით გამოყენებისა, განსაზღვრულ პირობებში კი დაქირავებული შრომის დახმარებით.

საწინააღმდეგო პრინციპის გატარება კომლის გაყრის საკითხში იქნებოდა სასოფლო მეურნეობაში ხელის შეყვობა ისეთ პირობათა შექმნისათვის, რომელთაც შეუძლიან არა უზრუნველყონ მეურნეობის სიმტკიცე, არამედ გამოიწვიონ მისი დაქუცმაცება-დასუსტება. თუ ამ დებულებებს შეუფარდებთ მოყვანილ შემთხვევას, უნდა ვაღიაროთ, რომ კომლის ღრმად მოხუცებულ წევრთ, რომლებიც მოკლებულნი არიან შრომის უნარს, არ შეიძლება ჰქონდეთ უფლება კომლის გაყრის მოთხოვნისა. ის, რაც მათ შეუძლიათ მოითხოვონ, გამოიხატება სარჩოს უზრუნველყოფაში ან წილის კომლიდან გამოყოფაში.

კანონმდებლობის მიმოხილვა

ამიერ-კავკასიის ს. ფ. ს. რ. კანონმდებლობა

სახალხო კომისარტა საზგო.

Положение о концессионном комитете при СНК ЗСФСР (ა.კ. ს.კ.ს-ის 1928 წ. თებერვლის 23 დადგ. № 14 ა.კ. კან. კრ. 1928 წ. № 6, მუხ. 58 „ზარ. ვოსტ.“ მარტ., 10 № 58). საკონცესიო კომიტეტს ეკისრება: იმ კონცესიების საკითხის განხილვა, რომელთა ობიექტებს აქვს ფედერატიული, რესპუბლიკანური ან ადგილობრივი მნიშვნელობა, და, კერძოდ, ამ კონცესიების მიღების მსურველებთან მოლაპარაკება და საკონცესიო ხელშეკრულებათა პროექტების შემუშავება; შერეული სააქციო საზოგადოებათა წესდებების და დაფუძნებით ხელშეკრულებათა წინასწარი განხილვა იმ შემთხვევაში, როდესაც უცხოეთის კაპიტალის გარდა საზოგადოება ეწყობა ა.კ. და მასში შემავალი რესპუბლიკების დაწესებულებათა და საწარმოთა სახელმწიფო კაპიტალით; ადგილობრივი საბჭოებისათვის ხელმძღვანელობის გაწევა კომუნალურ საწარმოების კონცესიით გაცემის თაობაზე მოლაპარაკების დროს; ადგილობრივი, რესპუბლიკანური და ადგილობრივი მნიშვნელობის კონცესიებისათვის მეთვალყურეობის გაწევა; საკონცესიო ხელშეკრულების მოშლის საკითხის აღძვრა; სხვა და სხვა ობიექტების კონცესიით გაცემის გეგმის და ძირითადი პირობების შემუშავება და სხვა.

საზგოთა.

Основные положения о Городских Советах Рабочих, Крестьянских и Красноармейских Депутатов в ЗСФСР (ა.კ. ც.კ.ს-ის 1928 წ. თებერვლის 20 დადგ.—ა.კ. კან. კრ. 1928 წ. № 4, მუხ. 43). ამ დებულების თანახმად ქალაქის საბჭოები მოეწყობიან იმ ქალაქებში, სადაც არის მუშათა მოსახლეობა, და მუშებით დასახლებულ ადგილებში (рабочие поселки). სხვა ქალაქებში მოეწყობიან სოფლის საბჭოები. დებულება ვრცელია, დაყოფილია რვა თავად.

შრომა.

Об изменении и дополнении ст. ст. 176, 179, 181, 183, 184, 185, 186 КЗот, дополнении КЗот ст. 184 и отмене ст. 182 (ა.კ. ც.კ.ს-ის 1928 წ. მარტის 26 დადგ.—„ზარ. ვოსტ.“ აპრ. 5, № 79). შრომის კანონთა კოდექსის ყველა, სათაურში აღნიშნული ცვლილება გამოწვეულია სსრკ ც.კ.ს-ის 1927 წ. დეკემბრის 28 დროებითი დებულების სოციალდევების ორგანოთა მიერ მისაცემი დახმარების შესახებ. ეს დებულება დაწერილებით გადმოცემული გვექონდა ჩვენი უზრუნველყოფის №-ში (გვ. 125) და ამიტომ ეძლეა სიტყვას არ გავაგრძელებთ.

კრედიტი.

Правила образования и расходования фонда кредитования деревенской бедноты при сельско-хозяйствен. банке ЗСФСР (ა.კ. ს.კ.ს-ის 1928 წ. თებერვლის 20 დადგ. № 25—„ზარ. ვოსტ.“ აპრ.

7, № 81). თანახმად სსკ-ს დადგენილებების იმ ფონდების შესახებ, რომლებიც დარბი სოფლებებისათვის უნდა მიეცეს (სსრკ კან. კრ. 1926 წ. № 72, მუხ. 560), ა-კ. სასოფლო-სამეურნეო ბანკში არსდება სათანადო ფონდი, როგორც სპეციალური კაპიტალი. ეს ფონდი დანიშნულია შეღავათია პირობებში კრედიტით დახმარების აღმოსაჩინად ა-კ ულარიბის გლეხობისათვის, რომელიც ეწევა სოფლის მეურნეობას და სასოფლო-სამეურნეო ან ისეთ შინამრეწველურ ხელობას, რასაც უშუალო კავშირი აქვს სოფლის მეურნეობასთან. კრედიტს უნდა ჰქონდეს საწარმოო ხასიათი; შესაძლებელი უნდა იქნეს მეურნეობის განმტკიცება და შემდგომი განვითარება. სესხის აღება შეუძლიან შრომის კოლექტივს, ულარიბის გლეხობის შენაერთის, ღარიბთა ჯგუფის და ინდივიდუალურ ღარიბ მეურნეობას. სესხი გაიცემა მხოლოდ: საქონლისა, სასოფლო-სამეურნეო მანქანისა, იარაღისა, ინვენტარისა, წმინდა ხარისხიანი თესლეულისა და სასუქის შესაძენად, სპეციალური კულტურისათვის საჭირო კაპიტალურ ღირებულების გასაწევად, სასოფლო-სამეურნეო შენობების ასაგებად. სხვა დაწვრილებას არ ევებათ.

**კოოპერაცია.**

**Об ответственности за убытки, причиненные незаконным вмешательством органов власти в деятельность кооперативных организаций** (ა-კ. ც.კ.-ის და ს.კ.ს.-ის 1928 წ. მარტის 7 დადგ.— „ზარ. ვოსტ.“ მარტ. 22, № 67). ხელისუფლების ორგანოების ვერადიანი კოოპერატიული ორგანიზაციათა ოპერატიულ მუშაობის ჩაღრმობა, წესდებით, კანონით ან სათანადო დადგენილებით გაუთვალისწინებელი ხარჯების გაწევის მოთხოვნა, კანონით გაუთვალისწინებელი რევიზიების და მიმოკვლევების მოხდა, ანგარიშების, მოხსენებების, ცნობ. და სხვა მოთხოვნა და იმ საორგანიზაციო საკითხების გამო განკარგულების გაცემა, რაც კოოპერატიულმა ორგანიზაციამ თვითონ უნდა გადაწყვიტოს. ხელისუფლების ორგანო პასუხს აგებს იმ ზარალისათვის, რასაც მისი ხელქვეითი მიაყენებს კოოპერატიულ ორგანიზაციას ამ დადგენილების დარღვევით, ხოლო უფლება აქვს მიცემული საწარმოო დამნაშავეს გადაახდევინოს.

**3 ზ რ ო ზ ბ ა და მ რ ე ვ ე ლ ო ბ ა.**

**Положение о комитете по делам печати Народного Комиссариата Торговли ЗСФСР** (ა-კ. ს.კ.ს.-ის 1928 წ. მარტის 5 დადგ. № 17—„ზარ. ვოსტ.“ მარტ. 16, № 62). კომიტეტის მიზანია: ა) სახელმწიფო, კოოპერატიული, საზოგადოებრივ და კერძო დაწესებულებათა საწარმოო და საეკონომიკური მოქმედების საერთოდ მოწესრიგება პერიოდული და არაპერიოდული ბეჭდვითი ნაწარმოების გამოცემა და გავრცელების სფეროში, აგრეთვე ქალაქის და საკანცელარიო საკონტის ბაზრის მოწესრიგება და ბ) ა-კ. დაწესებულებების გამგებლობაში მყოფ საწარმოთა და აგრეთვე ფედერატიული მნიშვნელობის საწარმოთა მოქმედების უშუალოდ მოწესრიგება იმავე დარგში.

**Об учете деятельности частного капитала** (ა-კ. ს.კ.ს.-ის 1928 წ. თებერვლის 23 დადგ. № 13 ა-კ. კან. კრ. № 6, მუხ. 57; „ზარ. ვოსტ.“ მარტ. 9, № 57). ცნობების კერძო კაპიტალის საქმიანობის შესახებ სახალხო მეურნეობის ყველა დარგებში თავი უნდა მოეყაროს ა-კ. და მასში შემაჯავლი რესპუბლიკების ცენტრალურ სტატისტიკურ სამმართველოებში. ამის მიხედვით სახელმწიფო დაწესებულებებს, საწარმოებს და ორგანიზაციებს დაეკისრათ მოვალეობა უზაზენონ სტატისტიკურ დაწესებულებებს მათ განკარგულებაში არსებული სტატისტიკური ცნობები კერძო კაპიტალის საქმიანობის შესახებ, გადაბთავლიერონ და შეათანებო სტატისტიკური სამმართველოებთან მუშაობის გეგმები და სხვ.

**Об обследовании кустарно-ремесленной промышленности.** (ა-კ. ს.კ.ს.-ის 1928 წ. მარტის 15 დადგ. № 20 „ზარ. ვოსტ.“ მარტ. 18, № 64). დადგენილება გულისხმობს შინამრეწველობის და ხელოსნების ერთდროულ სტატისტიკურ-ეკონომიურ მიმოკვლევას. მიმოკვლევა უნდა მოხდეს 1928 წელს. მის დროს და ვადებს განსაზღვრავს ა-კ. ცენტრალური სტატისტიკური სამმართველო (ა-კ. ც.კ.ს.-ის დადგენილებით ეს მიმოკვლევა უკვე დანიშნულია აპრილის და მაისის განმავლობაში და უნდა დამთავრდეს ივნისის 1-სათვის—„ზარია ვოსტ.“ № 68).

**О государственных торговых предприятиях (торгах)** (ა-კ. ც.კ.-ის და ს.კ.ს.-ის 1928 წ. მარტის 7 დადგ.—ა-კ. კან. კრ. 1928 წ. № 6, მუხ. 61; „ზარ. ვოსტ.“ მარტ. 14, № 60). სახელმწიფო სავაჭრო საწარმოთა მოწყობა ა-კ.-ში შეუძლიანთ ვაჭრობის სახეობა და მის რწმუნებულებს, აგრეთვე სხვა სახეობებსაც, რომელთაც ეს უფლება მინიჭებული აქვთ მათი დებულებებით ან სპეციალური კანონით. სახელმწიფო სავაჭრო დაწესებულებების დაარსებისათვის ნებართვას იძლევა სათანადო ეკოსო, წესდებს ამტკიცებს ამ საწარმოს მომწყობით დაწესებულება, რომელიც კაპიტალის შესახებ საკითხებში უნდა შეუთანხმდეს ფინსაზომს.

**О надзоре за соблюдением этнических цен на товары** (ა-კ. ს.კ.ს.-ის 1928 წ. მარტის 5 დადგ. № 19—„ზარ. ვოსტ.“ მარტ. 17, № 63). აქ დადგენილებით დამტკიცებულია ინსტრუქცია საეტიკეთა ფასების დატვირთვის მეთვალყურეობის გასაწევად და გაუქმებულია 1926 წ. აპრილის 15 სათანადო დადგენილება (ა-კ. კან. კრ. 1926 წ. № 4, მუხ. 697). მეთვალყურეობა ეკისრება ვაჭრობის სახ-

კომს და მის ორგანოებს და შინსახეობებს მათი ადგილობრივი ორგანოებითურთ. განსაზღვრულია პასუხისმგებლობა.

**მ შ ე ნ ბ ლ ო ბ ა.**

**О недопустимости приступа к строительным работам ранее надлежащего оформления их проектов** (ა-კ. ს.კ.ს.-ის 1928 წ. მარტის 1 დადგ. № 16—„ზარ. ვოსტ.“ 1928 წ. მარტ. 16, № 62). დადასტურებულია, რომ შენობის და ნაგებობის აგება, გადაყვანა და კაპიტალური შეკეთება პროექტების სათანადო წესით დამტკიცებამდე (ა-კ. უ. ეკოსოს მიერ 1927 წ. მარტ. 10 გამოცემული დირექტივითი წესები ა-კ.-ში შემაჯავლი რესპუბლიკებში საალმშენებლო მუშაობის პროექტების დამტკიცების) არ შეიძლება.

**ტ რ ა ნ ს კ ო რ ტ ი.**

**Об обследовании восточного Участка Закавказских железных дорог** (ა-კ. ს.კ.ს.-ის 1928 წ. მარტის 8 დადგ. № 21—„ზარ. ვოსტ.“ მარტ. 20, № 65). დადგენილება გამოცემულია იმ კომისიის მოხსენების განხილვის შემდეგ, რომელიც დანიშნული იყო ა-კ. რუკის გზის აღმოსავლეთ ნაწილში შექმნილი მდგომარეობის გამოსაკვევად. დადგენილებაში აღნიშნულია, რომ ხშირი უბედურ შემთხვევების და კატასტროფების მიზეზები იყო: შრომითი დისციპლინის სისუსტე, ბევრი ავტონტის სუსტი კვალიფიკაცია, გზის მოწყობის ტექნიკური ნაკლებეაგება, მმართველობის ფორმალისმი და ბიუროკრატიზმი, გადაჭარბებული ცენტრალიზაცია და სუსტი თვალყურეობა (კონტრის დირექტივების აღსრულებისათვის). ამ ნაკლებეობის გამოსასწორებლად მიცემულია დირექტივები გზათა სახეობის რწმუნებულისა, შრომის სახეობისა და მ-გ. ინსპექციის სახეობის ხაზით.

**О дополнении постановления Зак ЦИК и СНК ЗСФСР от 6 июля 1927 года о подразделениях шоссейных и грунтовых дорог ЗСФСР и о нормах полосы их отвода** (ა-კ. ც.კ.-ის და ს.კ.ს.-ის 1928 წ. მარტის 7 დადგ.—„ზარ. ვოსტ.“ მარტ. 22, № 67). დადგენილების მე-15 მუხლს დავმატა შენიშვნა რომელიც ენება მე-2 და 3 კატეგორიის ჩამოსართმევ მიწის ზოლს იქ, სადაც გზა ვაკრის ბალებს და შენობებს ქალაქს და დასახლებულ პუნქტებს გარეშე.

**ბ ი უ ჯ ე ბ ი.**

**Об изменении постановления ЦИК от 5 сентября 1927 г. о порядке рассмотрения смет общесоюзных ведомств, действующих на территории ЗСФСР** (ა-კ. ც.კ.-ის 1928 წ. მარტის 26 დადგ. „ზარ. ვოსტ.“ მარტ. 31, № 75). შეცვლილია დადგენილების 1 მუხლი. ა-კ. ტერიტორიაზე მომქმედი საერთო-საგაერთაო და გაერთიანებული უწყება და დაწესებულება ვალდებულია ხარჯთაღრიცხვის და საკონტროლო ციფრების პროექტის გამოცემული დაცკვის ასლები უზაზენოს ა-კ. ფინსახეობს მათი საუწყებო ცენტრში წარადგინისათვის.

**О годовых расходных расписаниях по государственному бюджету ЗСФСР** (ა-კ. ს.კ.ს.-ის 1928 წ. მარტის 22 დადგ. № 24—„ზარ. ვოსტ.“ მარტ. 31, № 75). დადგენილება უშუალოდ შეეხება გაერთიანებულ უწყებებს და ა-კ. ცენტრალურ დაწესებულებებს, რომელთაც წინადადება ეძლევათ შეადგინონ და გაუზაზენონ ა-კ. ფინსახეობს 1927—28 წ. ხარჯების წლიური განრიგებიანი. ამ განრიგებათა მიხედვით კრედიტ გავსენებთ ერთიანი სახელმწიფო ბიუჯეტის დამტკიცებამდე. ა-კ. ს.კ.ს.-აში შემაჯავლი რესპუბლიკების ს.კ.ს.-ებს წინადადება ეძლევათ ამ დადგენილების მიხედვით განსაზღვრონ წესები 1927—28 წ. ხარჯების წლიური განრიგების შედგენისათვის ამ რესპუბლიკებში.

**ფ ი ნ ა ნ ს ე ბ ი.**

**О порядке внесения в доход казны отчислений от прибылей государственных предприятий** (ა-კ. ს.კ.ს.-ის 1928 წ. მარტ. 5 დადგ. № 22—„ზარ. ვოსტ.“ მარტ. 23, № 66). იმ სახელმწიფო საწარმოთა, რომლის სალოგარცხო ფელიციათ გავიდა 1927 წ. ოქტომბერს 1, ანარიცხი უნდა შეიტანოს არა უგვიანეს 1928 წ. ივნისის 30-ისა, თანაბარი თვიური შენატანებით, მარტიდან დაწყებული. ხოლო იმ საწარმოთ, რომლის სალოგარცხო ფელიციათ გავიდა 1928 წ. იანვრის 1, ანარიცხი უნდა შეიტანოს არა უგვიანეს სექტემბრის 30-ისა, იმავე წესით. აპრილიდან დაწყებული.

**О порядке хранения в кредитных учреждениях свободных денежных сумм государственных учреждений и предприятий действующих на начала коммерческого расчета, а также кооперативных организаций** (ა-კ. ს.კ.ს.-ის 1928 წ. მარტის 5 დადგ. № 15—ა-კ. კან. კრ. 1928 წ. № 6, მუხ. 62; „ზარ. ვოსტ.“ მარტ. 15, № 61). კომერციული ანგარიშით მომქმედი სახელმწიფო, მათ შორის კომუნალური დაწესებულებასა და საწარმოს, აგრეთვე კოოპერატიული ორგანიზაციის შეუძლიანთ თავის სალოგარცხო შენახოს მხოლოდ ის თანხა, რაც საჭიროა მიმდინარე ხარჯისათვის. ვაჭრობის სახეობის მისმა რწმუნებულებმა, ადგილობრივი აღმასკომებმა და კოოპერატიულმა შენავრებებმა, ფინანსთა სახეობათან და მის ორგანოებთან შეთანხმებით, ორი თვის ვადაზე უნდა დააწესონ სხვადასხვა დაწესებულებისა და საწარმოსათვის ის ზღვარული თანხები (ლიმიტი), რა საჭიროა მიმდინარე ხარჯისათვის. ამ ლიმიტის გარეშე ყველა თან-

სა, ყოველი საოპერაციო დღის გასვლისათანავე და ყოველ შემთხვევაში არა უფვიანეს შემდეგი დღისა, შეტანილ უნდა იქნეს სახელდახელო ანგარიშად საკრედიტო დაწესებულებაში, ხოლო იქ, სადაც ასეთი არ არის—ფინსახკომის ადგილობრივ სალაროში, სასროშია შენახველ სალაროში ან სასოფლო-სამეურნეო საკრედიტო ამხანაგობაში. ამ ფულის დახარჯვა მოხდება ჩვეებით.

**Инструкция о порядке ведения денежных операций государственными учреждениями и предприятиями, действующими на началах Коммерческого расчета, кооперативными организациями и акционерными обществами с участием государственного и кооперативного капитала** (ა.კ. ს.კ.-ის 1928 წ. მარტის 20 დადგ. № 23—„ზარ. ვოსტ.“ მარტ. 27, № 71). მიმდინარე ფულადი ოპერაციისათვის დაწესებულებას და საწარმოს უნდა ჰქონდეს სახელდახელო ანგარიში საკრედიტო დაწესებულებაში, ხოლო იქ, სადაც ასეთი არ არის—ფინსახკომის ადგილობრივ სალაროში ან სახელმწიფო სასროში შენახველ სალაროში. ფულის გადახდა უნდა სწარმოებდეს ჩვეებით, ხოლო დაწესებულებათა შორის ანგარიშის გასწორება სასურველია სწარმოებდეს თანხების გადარიცხვით ერთი სახელდახელო ანგარიშიდან მეორეზე. ჩვეებით ფულის გადახდის წესი არა ერთგვარდება თანამშრომელთათვის ხელფასის მიცემაზე და წერილ ხარჯებზე. მიმდინარე სამეურნეო ხარჯებისათვის თანამშრომელს უნდა ეძლეოდეს ავანსი არა უმეტეს იმ თანხისა, რაც საჭირო იქნება ერთი კვირის განმავლობაში. მოლარეს ფულის და სხვა ფასეულობის გაცემა შეუძლიან მხოლოდ წერილობითი განკარგულებით. მას უნდა ჰქონდეს სალაროს ადგილო, რომელიცაც ჯამი უნდა უკეთებოდეს ყოველ დღე. ფულის ნაშთი ყოველ დღე და ყოველ შემთხვევაში არა უფვიანეს შემდეგი დღის დილისა იმ ფულის გარდა, რაც მეორე დღეს იქნება საჭირო დაწესებულ ილიმის ფარგალში, შეტან ლ უნდა იქნეს სახელდახელო ანგარიშზე.

**О дополнении ст. 23. изменении п. „е“ ст. 24 и отмене „ж“ ст. 24 положения о местных финансах в ЗСФСР** (ა.კ. ც.ა. კ.-ის და ს.კ.-ის 1928 წ. თებერვლის 20 დადგ. ა.კ. კან. კრ. 1928 წ. № 6, მუხ. 54; „ზარ. ვოსტ.“ მარტ. 6, № 54). ყველა ზემოაღნიშნული ცვლილება მთლად გამოწვეულია სსრკ ც.ა.კ.-ის და ს.კ.-ის 1927 წ. დეკემბრის 21 დადგენილებით სანოტარო ორგანოების სახელმწიფო ბიუჯეტზე გადაყვანის შესახებ (სსრკ კან. კრ. 1928 წ. № 2, მუხ. 12).

**საბინაო კანონმდებლობა**

**О долевом участии собственными средствами стедельных категорий застройщиков в жилищном строительстве** (ა.კ. ს.კ.-ის 1928 წ. მარტის 8 დადგ. № 18—„ზარ. ვოსტ.“ 17, № 63). იმ მუშათა საბინაო—სამშენებლო კოაპერატიულ ამხანაგობაში, სადაც წევრების უმრავლესობა მუშებია წევრთა პაიების სახით შეტანილ უნდა იქნეს უმრავლესობის მშენებლობის ღირებულების არა ნაკლებ 8%-ისა, ხოლო იმ ამხანაგობაში, სადაც წევრების უმრავლესობა მოსამსახურეებია—არა ნაკლებ 15%-ისა. საერთო სამოქალაქო საბინაო სამშენებლო ამხანაგობისათვის პაიების მინიმუმად დაწესებულია 30%, ინდივიდუალური მშენებლისათვის—30% და ადგილობრივი აღმასკომისათვის—35%. ამ დადგენილებაში იგულისხმება ის ამხანაგობა, რომელსაც კრედიტო ეძლევა კომუნალური მეურნეობის და საბინაო მშენებლობის ცენტრალური ბანკისაგან ან საბინაო მშენებლობის სხვა რამ ფონდით.

**О ликвидации комитетов содействия строительству рабочих жилищ** (ა.კ. ც.ა.კ.-ის და ს.კ.-ის 1928 წ. მარტის 7 დადგ.—„ზარ. ვოსტ.“ მარტ. 14, № 60). კომიტეტის ლიკვიდაცია მოხდა საბინაო პოლიტიკის თაობაზე სსრკ ც.ა.კ.-ის და ს.კ.-ის მიერ ა.წ. იანვრის 4 გამოცემული დადგენილების 22 მუხ. თანახმად (სსრკ კან. კრ. 1928 წ. № 6, მუხ. 49).

**საქართველოს სსრ კანონმდებლობა**

(1928 წ. მარტის 6-დან აპრილის 8-მდე).

**იურიდიულ პირთა წესდების გამოქვეყნების წესის შესახებ** (სრ. საქ. ც.ა.კ.-ის და ს.კ.-ის 1928 წ. მარტის 21 დადგ. № 10—„კომუნისტი“ აპრ. 3 № 77). საქართველოს სსრ ხელისუფლების უმაღლესი ორგანოების მიერ დამტკიცებული იურიდიულ პირთა ყველა წესდება აუცილებლად გამოქვეყნებულ უნდა იქნას „საქართველოს სსრ მუშათა და გლეხთა მთავრობის კანონთა და განკარგულებათა კრებულის“ მეორე განყოფილებაში. საზოგადოების ან სწავლებისათვის დაკრებულნი ან დაწესებულების და საწარმოს ხელმძღვანელნი ვალდებული არიან, წესდების დამტკიცების შემდეგ, ხოლო რეგისტრაციაში გატარებამდე, წარუდგინონ იუსტსახკომს წესდების ოფიციალურად დამოწმებული ასლი და გამოქვეყნებისათვის დაწესებული სასყიდული. რეგისტრაციაში გამტარებელი ორგანო ვალდებულია გამოარკვიოს, შესრულებულია თუ არა ეს მოთხოვნა, და თითო რეგისტრაცია არა უფვიანეს 7 დღისა აცნობოს იუსტსახკომს.

**სახელმწიფო ბაირალი.**

**დაწესებულებათა, ორგანიზაციათა და კერძო პირთა მიერ საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახელმწიფო ბაირალის სარგებლობის წესის შესახებ** (სრ. საქ. ც.ა.კ.-ის და ს.კ.-ის 1928 წ. მარტის 21 დადგ. № 16—„კომუნისტი“ აპრ. 6, № 80). საქართველოს სსრ სახელმწიფო ბაირალი აღეზარება: ა) იმ შემთხვევაში, სადაც მოხდება სრულ. საქ. და ადგილობრივ საბჭოთა ყრილობა და სრ. საქ. ც.ა.კ.-ის სესიის სხდომა—ყრილობის ან სესიის დაწყებიდან დამთავრებამდე; ბ) სრ. საქ. ც.ა.კ.-ის და ს.კ.-ის, აგრეთვე ყველა ადგილობრივი საბჭოს და აღმასკომის შენობებზე, სახ. საწარმოთა და მათ შენაერთთა შენობებზე—საერთო პროლეტარულ, საერთო-საკავშირო, რესპუბლიკანურ და ადგილობრივ უქმე და სახეიშო დღეებში. ყველა დანარჩენ სახელმწიფო დაწესებულების და საწარმოს შენობაზე, აგრეთვე პროფსიონალურ, კოაპერატიულ და სხვა საზოგადოებრივ ორგანიზაციათა შენობებზე, საერთო პროლეტარულ და საერთო საკავშირო უქმე და სახეიშო დღეებში აღიშარება წითელი (ალისფერი) ბაირალი უწარწეროდ. საერთო საკავშირო დაწესებულებათა შენობებზე აღიშარება სსრკ სახელმწიფო ბაირალი. ბაირალის გამოკიდების მოვალეობა კერძო პირსა, კერძო დაწესებულებასა და საწარმოს ან ორგანიზაციას არა ვრცელდება.

**საბჭოეები.**

**დებულება ქალაქის მუშათა და წითელარმიელთა დებუტატების საბჭოების შესახებ** (სრ. საქ. ც.ა.კ.-ის 1928 წ. იანვრის 10 დადგ. № 10—კან. კრ. 1928 წ. № 3 მუხ. 18'. ამ დებულების საფუძველზე ქალაქის მუშათა, გლეხთა და წითელარმიელთა საბჭოები მოეწყობიან ქალაქ ტფილისში, ბათუმში, სოხუმში, ქუთაისში, გორში, ფოთში, ქიათურაში, ხაშურში, ბორჯომში და სამტრედიანში. სხვა ქალაქებში და დაბა ცაგერში მოეწყობიან სათემო საბჭოები ამ დებულების გამოცემისათანავე გაუქმებულია ც.ა.კ.-ის მიერ 1926 წ. ივლისის 17 დამტკიცებული დებულება სამხარო ქალაქების საბჭოების შესახებ და 1927 წ. მარტის 15 დამტკიცებული დებულება ტფილისის მუშათა, გლეხთა და წითელარმიელთა დებუტატების საბჭოს შესახებ, აგრეთვე ოდნავ შეცვლილია 1927 წ. იანვრის 25 დადგენილება საქართველოს სსრ ქალაქის საბჭოების შესახებ.

დებულებაში შვიდი თავია: I—ზოგადი დებულებანი; II—ქალაქის საბჭოს გამგებლობის საგანი; III—ქალაქის საბჭოს პენსიები; IV—ქალაქის საბჭოს აღმასრულებელი ორგანოები; V—ქალაქის საბჭოს სექციები და კომისიები; VI—ქალაქის საბჭოს წევრთა უფლება-მოვალეობანი; VII—ქალაქის საბჭოს და დებუტატების ანგარიშების წესი ამომრჩეველთა წინაშე.

**საბჭოების საუკეთესო სექციათა კონკურსის განხორციელების წესის შესახებ** (სრ. საქ. ც.ა.კ.-ის 1928 წ. თებერვლის 15 დადგ. № 11—კან. კრ. 1928 წ. № 3, მუხ. 19). სრ. საქ. ც.ა.კ.-თან დაარსებული ცენტრალური საკონკურსო კომისია; საკონკურსო კომისიები მოწყობილ უნდა იქნეს აგრეთვე ავტონომიურ ერთეულების ც.ა.კ.-ებთან და მზარდაღმასკომებთან. სექციათა მუშაობას გამოიკვლევენ აღმასრულებელი კომიტეტების საორგანიზაციო განყოფილებანი, ინსტრუქტორები და აღმასკომების პრეზიდიუმები მის შემთხვევაში, აგრეთვე საბჭოები, საზოგადოებრივ ორგანიზაციების ცენტრალური ორგანოები—თავიანთი აპარატის მეშვეობით, ხოლო პრესა მუშაულებსკრთა ქსელის მეშვეობით. პრემიით დაჯილდოვების საკითხი საბოლოოდ გადასწყვეტს ცენტრალური საკონკურსო კომისია, რომელსაც მასალებს მიიღებს საკონკურსო კომისიისა, საბჭომებისა და პრესის მეშვეობით, აგრეთვე, თუ საჭირო იქნება, მის მიერვე დანიშნული დამატებითი გამოკვლევით.

**შინაგან საქმეთა სახკომი**

**დებულება საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატთან არსებულ საუწყებათა შორის სახანძრო კომისიის შესახებ.** (საქ. ს. კ. ს.-ის 1928 წ. მარტის 23 დადგ.—„კომუნისტი“ აპრ. 1, № 76). სახანძრო კომისია სათათბირო ორგანოა ხანძრის საწინააღმდეგო ღონისძიებათა გაერთიანებისა და შეთანხმების საკითხების და აგრეთვე ყველა ისეთი საკითხის გადაწყვეტისათვის, რაც საქართველოში ხანძრისაგან დაცვის საქმეზე შეეხება. კომისიაში შედიან: შინსახკომის, მიწსახკომის, ჯანსახკომის, განათლ. სახკომის, შრომის სახკომის, მსუს-ის, სახ. პოლიც. სამმართველოს, საქ. სახ. დაზღვევის კონტორის, კომუნალური მეურნეობის მომუშავეთა კავშირის ცენტრ. სამმართველოს და ტფილისის მზარდაღმასკომის წარმომადგენელი. თავმჯდომარეობს შინსახკომის წარმომადგენელი.

**მ ი ლ ი ც ი ა.**

**საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის მუშათა და გლეხთა წითელი მილიციის დებულების მე-19 მუხ-**

**ლის შეცვლისა და დამატების შესახებ.** (სრ. საქ. ც. ა. კის-  
და ს.კ. ს-ოს 1928 წ. მარტის 21 დადგ. № 9—„კომუნისტი“ აპრ. 7,  
№ 81). მე-19 მუხლი, რომელიც მილიციის მომუშავეთა პასუხისმგებ-  
ლობას სისხლის სამართლის დანაშაულისათვის შეცვლილია  
სამხედრო დანაშაულთა 1927 წ. ივლისის 27 დებულების მიხედვით.

**დაწესებულაბათა მოქმედების წესი.**

**სამუშაო საათების განმავლობაში თათბირებისა და  
კრებების მოწვევის აკრძალვის შესახებ.** (საქ. ს. კ. ს-ოს  
1928 წ. მარტის 11 დადგ.—კან. კრ. 1928 წ. № 3, მუხ. 25. „კომუ-  
ნისტი“ მარტ. 9 № 61). ყველა სახელმწიფო დაწესებულებასა და საწარ-  
მოს, აგრეთვე კოოპერატიულ ორგანიზაციას წინადადება ეძლევა—  
ის თათბირი და კრება, რომელზედაც მოწვეულ უნდა იქნეს სხვა და-  
წესებულებისა და საწარმოს წარმომადგენელი, გამართოს მხოლოდ  
საღამოობით. სამუშაო საათების განმავლობაში აღნიშნული თათბი-  
რი და კრება შეიძლება გაიმართოს მხოლოდ განსაკუთრებულ შემ-  
თხვევაში, ამასთანავე ყველა დაწესებულებამ ზედმიწევნით უნდა გა-  
ნახორციელოს ს. კ. ს-ოს 1924 წ. აპრილის 26 თარიღის და 13 №-ის  
დადგენილება ყოველ-კვირეული დასვენების შესახებ საბჭოთა დაწე-  
სებულებებში.

**საზოგადოებრივი უშიშროების დაცვა.**

**1928 წლის გაზაფხულზე მოხლოდნელ წყალდი-  
დობასთან და მის შედეგებთან ბრძოლის ღონისძიებათა  
შესახებ.** (საქ. ს. კ. ს-ოს 1928 წ. მარტის 8 დადგ.—კან. კრ. 1928 წ.  
№ 3, მუხ. 24. „კომუნისტი“ მარტ. 9 № 57). ა/წ. გაზაფხულზე წყლის  
ადიდების გამო მოხლოდნელ სტიქიურ უბედურებასთან საბრძოლ-  
ველად: 1) დაარსებულია საგანგებო კომისია შინსახკომის ამხ. ბერიას  
თავმჯდომარეობით; 2) წინადადება მიეცა სამაზრო და სათემო აღ-  
მასკომებს მოაწყონ ადგილობრივი კომისიები (სამეულეები), რომლებ-  
მაც უნდა იმოქმედონ საგანგებო კომისიის დირექტივების თანახმად;  
3) შრომის კანონთა კოდექსის მე-11 მუხ. თანახმად შემოღებულია  
წყლის ადიდების პერიოდის განმავლობაში შრომის ბეგარა. მოსახ-  
ლეობის ფაქტიური გამოყენება საჭირო სამუშაოს შესასრულებლად  
მონდება მზრის ან თემის აღმასკომის დადგენილებით, რასაც იგი  
გამორტანს როგორც თავისი ინიციატივით, ისე წყალთა მეურნეობის  
სამმართველოს ან მისი ადგილობრივი ორგანოს მოთხოვნით.

**ა რ მ ი ა.**

**21 ცალკე მესაგრე ათასეულის დაჯილდოების  
შესახებ** (სრ. საქ. ც. ა. კის 1928 წ. თებერვლის 24 დადგ. № 12  
—კან. კრ. 1928 წ. № 3, მუხ. 20). სრ. საქ. ც. ა. კი უცხადებს ათა-  
სეულს თავის განსაკუთრებულ მადლობას და აჯილდოებს მას წითე-  
ლი დროშის შრომის ორდენით იმ დიდი შრომისათვის, რაც მას  
გაუწევია ორი უკანასკნელი წლის განმავლობაში, ზაფხულობით, სეა-  
ნეთის ბილიკის აღდგენისა და გაფართოებისათვის.

**ინვალიდავი.**

**ინვალიდათა კოოპერატიული შენაერთების დებუ-  
ლების 30, 32, 33 მუხ. შეცვლის შესახებ.** (სრ. საქ. ც. ა.  
კის და ს. კ. ს-ოს 1928 წ. მარტის 21 დადგ. № 14—„კომუნისტი“  
—აპრ. 4, № 78). დებულებაში ცვლილება შეტანილია მის შესთანხ-  
მებლად სსრკ ც. ა. კის და ს. კ. ს-ოს მიერ 1927 წ. ივლისის 15 გა-  
მოცემული დებულებასთან „კოოპერატიულ ორგანიზაციების ლიკვი-  
დაციისა, შეერთებისა და გაყოფის გამო ამ ორგანიზაციების გაუქმე-  
ბის წესის შესახებ (სსრკ კან. კრ. 1927 წ. № 37, მუხ. 317).

**მშენებლობა,**

**იმ ღონისძიებათა შესახებ, რაც საჭიროა, რომ  
1928 წლის საღმშენებლო სეზონში თავის დროზე იქ-  
ნეს დაწყებული საღმშენებლო მუშაობა და იგი უზრუნ-  
ველყოფილ იქნეს სათანადო მუშა-ხელით** (საქ. ს. კ. ს-ოს  
1928 წ. მარტის 17 დადგ.—„კომუნისტი“ მარტ. 18, № 64). დადგე-  
ნილება გამოცემულია ა/კ. ს. ფ. ს. რ-ის ს. კ. ს-ოს ა/წ თებერვლის  
23 თარიღის და მე-12 ნომრის დადგენილების მე-4 მუხ. აღსასრუ-  
ლებლად (ა/კ. კან. კრ. 1928 წ. № 6, მუხ. 51). წინადადება ეძლევა  
ყველა სახკომს, დაწესებულებას, საწარმოს, ორგანიზაციას და კოო-  
პერატიულ შენაერთს, რომელიც კი ა/წ. სეზონში საამშენებლო მუ-  
შაობას ამბობს, შეიმუშავოს საკალენდარო გეგმა, გამოარკვიოს რა  
საშენი მასალა და მუშა-ხელია მისთვის საჭირო და არა უგვიანეს

აპრილის 1-სა აცნობოს ეს კუთვნილებებისამებრ ა/კ. ვაქრობის სახკო-  
მის რწმუნებულს საქართველოში და შრომის სახკომს, რომლებმაც  
ცნობების შეჯამების შემდეგ, თვითნებ მოსახრებანი სათანადო  
(საშენი მასალისა და მუშა-ხელის) ბაზრების მოწოდების შესახებ  
უნდა წარუდგინონ ეკოს-ოს საამშენებლო-სატენიკო კომიტეტთან  
არსებულ კომისიას ვაქრობის სახკომის რწმუნებულს, შრომის სა-  
ხკომის და ფინსახკომის წარმომადგენელთა შემადგენლობით. აქედან  
ცნობები, გეგმების შეთანხმებისა და კონკრეტულ ღონისძიებათა გ-  
მორკვევის შემდეგ, უნდა წარუდგინოს ეკოს-ოს არა უგვიანეს აპრილის  
10-ისა. სახკომებს, დაწესებულებებს და სხვ. ყველგან აპრილის  
15-მდე, სააღმშენებლო-სატენიკო კომიტეტის მეშვეობით, წარუდ-  
გინონ ს. კ. ს-ოს მოხსენებანი ამ დადგენილების შესრულების შე-  
სახებ.

**ტყის მეურნეობა.**

**„ადგილობრივი მნიშვნელობის ტყეების დებულებ-  
ის“ 29 მუხლის შეცვლის შესახებ** (საქ. ს. კ. ს-ოს 1928 წ.  
მარტის 15 დადგ.—კან. კრ. 1928 წ. № 3, მუხ. 26. „კომუნისტი“  
მარტ. 16, № 62). ცვლილება შეტანილია დებულების 29 მუხლის  
რედაქციის შესთანხმებლად სისხლ. სამ. კოდ. 102 მუხლთან.

**თ მ მ ზ ა ო ბ ა.**

**1928 წ. მარტის 6-დან ივნისის 1-მდე მდ. მტკვარში  
ორაგულის დაჭერის აკრძალვის შესახებ** (საქ. ს. კ. ს-ოს 1928  
წ. მარტის 5 დადგ.—კან. კრ. 1928 წ. № 3, მუხ. 23; „კომუნისტი“  
მარტის 5, № 54). ყველა მოქალაქეს და ორგანიზაციას, ახერბაიჯა-  
ნის მიწათმოქმედების კომ. ბაქოს ინტროლოგიური ლაბორატორიის  
გარდა, აკრძალა ზემოაღნიშნული დროის განმავლობაში ორაგულის  
ჭერა მდ. მტკვარში, ახერბაიჯანის საზღვრიდან დაწყებული ვიკო-  
ნემო-ავეკალის ჰიდრო-ელექტრო სადგურის საგუბრამდე. ამ დადგე-  
ნილების დამრღვევი პასუხს აგებს სისხლ. სამ. კოდ. 102 მუხლის-  
მებრ.

**საბინაო კანონმდებლობა.**

**საცხოვრებელი სადგომების მიმართ უდიერი მოპ-  
ყრობისათვის პასუხისმგებლობის დაწესების შესახებ** (საქ.  
ს. კ. ს-ოს 1928 წ. მარტის 7 დადგ.—„კომუნისტი“ აპრ. 6, № 80).  
საქალაქო საბჭოებს და სამაზრო აღმასკომებს წინადადება ეძლევა  
გამოსცენ სავალდებულო დადგენილებანი, რომლის ძალითაც ბინის  
დამქირაველს დაეძება ჯარიმა მის მიერ დაჭერილი სადგომის მი-  
მართ უდიერი მოპყრობისათვის. ჯარიმა პირველად არ უნდა აღე-  
მატებოდეს 10 მანეთს, ხოლო მეორედ—25 მანეთს. ჯარიმის გადა-  
დევინება არ შეიძლება, თუ აღძრულ იქნება სამოქალაქო სარჩული  
მიყენებული ზარალის ანაზღაურების შესახებ. საბინაო კოოპერაციის  
კავშირებს წინადადება ეძლევა დროგამოშვებით გამოიკვლიონ მათ  
შედგენილობაში შესული საბინაო და საბინაო-საიჯარო ამხანაგოა-  
ნი და ამევე დროს გამოარკვიონ სადგომების მიმართ უდიერი მო-  
პყრობის ფაქტები. იუსტსახკომს ევალება მისცეს სასამართლო ორ-  
განობებს დირექტივა მტკიცეთ შეაფარდონ ხოლმე სისხლ. და სამოქ.  
სამ. კოდ. ის მუხლები, რითაც გათვალისწინებულია ბინის მიმართ  
უდიერი მოპყრობის შედეგები, კერძოდ მოქალაქეთა გამოსახლება  
ბინიდან ბინის მიმართ უდიერი მოპყრობისათვის.

**სისხლის სამართალი.**

**სისხლის სამართლის კოდექსის 143 მუხლის შე-  
ცვლის შესახებ** (სრ. საქ. ც. ა. კის და ს. კ. ს-ოს 1928 წ. თებერ-  
ვლის 24 დადგ. № 13—კან. კრ. 1928 წ. № 3, მუხ. 21; „კომუნის-  
ტი“ თებ. 25, № 47). სისხლის სამ. კოდ. 143 მუხლს დაემატა მე-2  
ნაწილი შემდეგი შინაარსისა: აკრძალულ დროს ნანადირევის ყიდვა  
ან გაყიდვა გამოიწვევს ადმინისტრატიული წესით იძულებით მუ-  
შაობას ერთ თვემდე ან ჯარიმას ას მანეთამდე.

**სამოქალაქო სამართლის პროცესი.**

**სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსის 26  
მუხლისათვის მე-2 მუხლის დამატების შესახებ.** სრ.  
საქ. ც. ა. კის და ს. კ. ს-ოს 1928 წ. მარტის 21 დადგ. № 8—„კო-  
მუნისტი“ აპრ. 3, № 77). ახალი მუხლით განსაზღვრულია ნა-  
ტურქელთა შეჯახებით მიყენებული ზარალის ანაზღაურებისათვის  
აღძრული სარჩელის ქვემდებარეობა.





შინაარსი: იუსტ. სახალხო კომ. ცირკულარი № 12.—უზენ. სასამ. სამოქ. საკასაციო  
ლოს დირექტიული წერილი № 1 — უზენ. სასამ. პლენუმის ახსნა-განმარტებანი.

ცირკულარი № 12.

ყველა სახალხო სასამართლოს.

ახლი: სამაზრო სასამართლოებს, უზენაეს სასამართლოს და აფხაზეთის, აჭარისტანის და სამხრეთ-ოსეთის იუსტიციის სახალხო კომისარიატებს.

ადგილებიდან შემოსული შეკითხვების გამო იუსტიციის სახალხო კომისარიატი განმარტავს, რომ სისხლ. სამ. კოდ. 102 მუხ. 1 ნაწილის დარღვევა გამოიწვევს თავისუფლების აღკვეთას ან იძულებითი მუშაობას ექვს თვემდე ანდა ჯარიმას არა უმეტეს უკანონოდ მოპოებული მასალის და ტყის მეურნეობისათვის მიყენებული ზიანის ღირებულებისა ერთი-სამად. დანაშაულის იარაღის კონფისკაციით და უკანონოდ მონაპოვარის ჩამორთმევით. რადგანაც შესაძლებელია, რომ უკანონოდ მოპოებული მასალის ან ტყის მეურნეობისათვის მიყენებული ზიანის სამამაცი ღირებულება აღემატებოდეს 100 მანეთს. ე. ი. ჯარიმის ისეთ რაოდენობას, რომელიც 1927 წ. ნოემბრის 2 ამნისტიის მე-9 მუხ. ძალით, მოხსნილ უნდა იქნეს, ასეთ შემთხვევაში ტყის თვითნებობით გაკაფვის საქმის მოსპობა გამწეს-რიგებულ სხდომაზე არ შეიძლება. ხოლო უკეთუ თვითნებობით გაკაფვის ოქმიდან სჩანს, რომ ეს სამამაცი ღირებულება 100 მან. არ აღემატება, თავის თავად ცხადია, რომ ასეთ საქმის მოსპობა ამნისტიის ძალით შეუძლიან გამწესრიგებულ სხდომას; რაც შეეხება სატყეო უწყების პრეტენზიას მოკრილი ტყის ღირებულების და ტყის გაკაფვით მიყენებული ზარალის ანაზღაურების შესახებ, ეს პრეტენზია წარმოადგენს დაზარალებულის მიერ სისხლის სამართლის სასამართლოში განცხადებულ სამოქალაქო სარჩელს, რომელიც, თანახმად აღკვეთილების ს. ს. რ. იუსტიციის სახალხო კომისარიატის მიერ ამნისტიის შესახებ დადგენილების ცხარებაში გატარებისათვის გამოცემულ ინსტრუქციის მე-19 მუხლისა, იმ შემთხვევაში თუ სისხლის სამართლის საქმე მოისპო. განხილულ უნდა იქნეს სამოქალაქო წესით. უკანონოდ მოპოებული ხე-ტყის ჩამორთმევა წარმოადგენს დაზარალებულისათვის დანაშაულით მიყენებულ ზარალის ანაზღაურებას და ამის გამო იგი გადაწყდება იმავე გზით, რომლითაც გადაწყდება ასეთივე შემთხვევაში სამოქალაქო სარჩელი, დანაშაულის იარაღის კონფისკაცია არ არის ქონების ის კონფისკაცია, რაც გათვალისწინებულია სისხლ. სამ. კოდ. 38 მ., ე. ი. ეს კონფისკაცია არ არის სოციალური დაცვის ღონისძიება. იგი ხდება სისხლის სამ. სპარ. კოდ. 69 მუხ. 1 პუნქტ. ძალით, რომლის თანახმად და ნაშაულის ჩადენის იარაღს, როგორც დამამტკიცებელ საბუთს, კონფისკაცია უნდა ექნას. ამიტომაც ასეთ კონფისკაციას ამნისტია ვერ შეემატება. ამგვარად, ტყის თვითნებობით გაკაფვის საქმისათვის 1927 წ. ნოემბრის 2 ამნისტიის შეფარდება შეიძლება იმდენად, რამდენადაც ეს შეეხება სისხ. სამ. კოდ. 102 მუხ. აღნაშნულ სოციალური დაცვის ღონისძიებას.

იუსტიციის სახალხო კომისარიატი **ო. ვარძიელი.**

სასამართლოს მმართველობის განყოფილების გამგე **სიჭინავა.**

1928 წ. 20 მარტი.

დირექტიული წერილი № 1.

ყველა მაზრის და სახალხო სასამართლოებს.

ძვირფასო ამხანაგებო.

ერთ ერთი ძირითადი ამოცანა, რომელიც დასმული აქვს ეხლა პარტიას და ხელისუფლებას, არის ბრძოლა ვოლოკიტასთან, საქმეების უმინონო და დაუბოლოავებელ გაკვიანურებასთან. ეს ამოცანა აქტიულოურია მმართველობის სხვა და სხვა დარგებში, მაგრამ განსაკუთრებული ყურადღება მიქცეული არის სასამართლო ორგანოების მოქმედებისაკენ, ვინაიდან აქ, სამწუხაროთ, დღემდღვეობითაც ხშირი არის შემთხვევები საქმეების გაკვიანურებისა რამოდენიმე წლებით. ამ მოვლენის მიზეზი სხვა და სხვა გვარი არის, ყველა ამ მიზეზების ჩამოთვლას ჩვენ არ შეუძლებით ეხლა, აღენიშნავთ მხოლოდ რამოდენიმე გარემოებას, რომელთაც უფრო ხშირად გამოდიან საქმის გაკვიანურების მიზეზათ და რომელნიც ადვილად შეიძლება აცილებულ იქნეს, თუ მოსამართლე საქმეს მეტის დაკვირვებით მოეკიდება.

1. სხვა და სხვა სახის მტკიცებებში, რომლებსაც მზარეები მიმართავენ საქმის განხილვის დროს სასამართლოში (როგორცაა წერილობითი საბუთები, ექსპერტოზა, მოწმეების ჩვენება და სხვ.), ყველაზე უფრო გავრცელებულ სახეს წარმოადგენს მოწმეების ჩვენება;

წერილობით საბუთს შედარებით იშვიათათ თუ შეხვედებით სასამართლოში წარმოებულ საქმეებში და ასეთ შემთხვევაშიდაც კი მოწმეების დაკითხვა ხშირად აუცილებელი ხდება სხვა და სხვა გარემოებების გამოსარკვევათ, რომელნიც წერილობითი საბუთის შეფასებასთან ან და საბუთის ამა თუ იმ გაურკვეველ პუნქტის გაშუქებასთან არიან დაკავშირებული.

ასეთი შედარებით მცირე გამოწკლისის გარდა დიდი უმრავლესობა საქმეებ-სა ჩვენს სასამართლოებში სწყდება მხოლოდ და მხოლოდ მოწმეების ჩვენების მიხედვით.

აქედგან ადვილი გასაგები არის, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს მოწმეების დაკითხვის სწორ წარმოებას და სასამართლოს სხდომის ოქმში იმ ჩვენების სისწორით და დაწვრილებით შეტანას, რომელსაც მოწმე აძლევს სასამართლოს. ორივე აქ აღნიშნულ მოთხოვნილებების დაცვით უმრავლეს შემთხვევებში აცილებული იქნებოდა ის ვოლოკიტა, რომელზედაც ზევით იყო მითითებული. საშუაზარათ ამ ხშირთ მდგომარეობა სავესებით დამაკმაყოფილებელი არ არის. მაგალითად, საქმეების გაცნობის დროს ხშირად შეხვედებით ისეთ მოვლენას, რომ ერთი და იგივე მოწმე რამოდენჯერმე არის გამოწვეული და დაკითხული სასამართლოსაგან; ხდება ასე იმიტომ, რომ პირველ დაკითხვისას სასამართლოს მიერ მოწმისათვის არ ყოფილა მიცემული ყველა ის კითხვები, რომელნიც საქმის ყოველმხრივ გაშუქებასთან არიან დაკავშირებული. იმისათვის, რომ ასეთს შეცდომას ადვილი არ ექნეს, საჭირო არის, რომ მოსამართლე, სანამ მოწმეების დაკითხვას შეუდგებოდეს, საქმისთან ზედმიწევნით იქნეს გაცნობილი და გარკვეულად ჰქონდეს წარმოდგენილი, თუ რა სახის გარემოებათა გაშუქება არის საჭირო და საკმარისი საქმის სისწორით გადისისათვის. საქმის ასეთი ზედმიწევნით შესწავლის და დამუშავების შემდეგ მოსამართლე ადვილად შეძლებს იმასაც, რომ მოწმეს დააკითხვის დროს მისცეს მხოლოდ ისეთი კითხვები, რომლების გაშუქებასაც მნიშვნელობა აქვს საქმისათვის. პრაქტიკაში ხშირი არის საწინააღმდეგო მოვლენა, სახელდობრ მოწმეს ეკითხებიან ისეთ რამეზე რასაც საქმისათვის შორეული მნიშვნელობა აქვს არა აქვს; ამით საქმე იბერება ისეთი მასალით, რომელსაც გაშუქების ნაცვლად საქმეში ხშირად ბუნდოვანობა და გაურკვეველობა შეაქვს.

მეორე საკითხი, რომელიც მოწმეების დაკითხვასთან არის დაკავშირებული და რომელზედაც გარკვევით უნდა იქნეს მითითებული, არის ახალ ახალი მოწმეების ის დაუბოლოავებელი გამოწვევა და ამისათვის საქმის სისტემატური გადადება, რომელსაც სამწუხაროთ ძალიან ხშირად აქვს ადგილი ჩვენს სასამართლოების პრაქტიკაში. დიდ უმრავლეს შემთხვევებში საკმარისი არის მზარემ ითხოვოს საქმის გადადება და დასახელოს გამოსაწვევი მოწმეები, რომ სასამართლომ მისცევ გამოიტანოს დადგენილება საქმის მოსწინით სხვა დროისათვის გადადების შესახებ იმის გამოურკვეველად და წინასწარი შეფასების გარეშე, თუ რა გარემოებისათვის შუამდგომლობას მზარემ მოწმის გამოწვევას, საჭიროა თუ არა საქმის სისწორით გადაჭრისათვის ამ გარემოების გაშუქება, ან და შეიძლება თუ არა საერთოდ ამ გარემოების გამორკვევა მოწმის ჩვენების საშუალებით. საქმეების გაცნობა ხშირად ისეთ შთაბეჭდილებას სტოვებს, თითქო მოსამართლე განზრახ ეძებდა საბაზს საქმის გადადებისათვის და ამიტომ შუამდგომლობას საქმის გადადების და მოწმეების გამოწვევის შესახებ განსაკუთრებულად დაუკვირებლად და შეუფასებლად აკმაყოფილებს. ასეთი პრაქტიკა აუცილებლად მოსპობილი უნდა იქნეს. სასამართლომ საქმე მართოდ მართო იმ შემთხვევაში უნდა გადადგას მოსმენით, როდესაც დაკვირვებით შეაფასებს მხარის შუამდგომლობას მოწმის გამოწვევის შესახებ და დარწმუნდება, რომ საქმის სისწორით გადაჭრისათვის საჭიროა იმ გარემოების გაშუქება, რომლის გამოსარკვევათ დასახელებულია გამოსაწვევი მოწმეები, ამასთან ერთად ერთი და იგივე გარემოების გამოსარკვევათ სრულებით არ არის საჭირო გამოწვეული იქნეს უამრავი რიცხვი მოწმეებისა, არამედ საკმარისია ამისათვის გამოწვეული იქნეს ორი —სამი მოწმე.

და ბოლოს მოწმეების დაკითხვის საკითხთან დაკავშირებული არის ოქმის სისწორით წარმოების საკითხიც. სახელდობრ, ხშირად, სასამართლოს სხდომის ოქმში მოწმის ჩვენება იმდენად ბუნდოვანათ და გაურკვეველად არის შეტანილი, რომ შეუძლებელი ხდება იმის გამოარკვევა, თუ სინამდვილეში რა სიტუა მოწმემ სასამართლოს სხდომაზე, კიდევ არაფერი თუ ოქმში ამ სახით შეტანილი არის ისეთი მოწმის ჩვენება, რომელსაც საქმისათვის მნიშვნელობა არა აქვს; მაგრამ ხშირად ამ სახით ოქმში შეტანილი არის ისეთი მოწმის ჩვენება, რომელსაც საქმისათვის არსებითი მნიშვნელობა აქვს. ასეთ შემთხვევაში საკასაციო ინსტანცია იძულებულია გადაწყვიტოს გადააუქმოს, ამით კი საქმის გარეგვა ქიანურდება. სასამართლოების ყურადღება გარკვევით უნდა მიექცეს იმას, რომ ოქმში მოწმის ჩვენება საქმისათვის მნიშვნელოვან გარემოებების შესახებ, უნდა აუცილებლად შეტანილი იქნეს საკმაოდ დაწვრილებით და სრულებით გარკვეულად, რომ არავითარი ბუნდოვანობისათვის ადგილი არ რჩებოდეს.

2. მეორე გარემოება, რომელზედაც ამ წერილში უნდა მიეთითოს და რომელიც აგრეთვე ხშირად გამოდის საქმის გაკვირვების მიზეზად, არის ადგილობრივი დათვალეობების არა სწორი და არა სათანადო წარმოება. საქმეების დათვალეობებიდან ის დასკვნა გამოდინარეობს, რომ როგორც ადგილობრივი დათვალეობები, ისე დათვალეობების ოქმი უმრავლეს შემთხვევებში უსწოროდ არის ნაწარმოები. ეს უსწორობა შემდეგში გამოიხატება: 1. ადგილობრივი დათვალეობების ოქმი მოკლედ იწერება, მასში არ არის აღნიშნული ისეთი მომენტები, რომლებსაც საქმისათვის არსებითი მნიშვნელობა აქვთ და, წინააღმდეგ, ისეთი რამ არის ოქმში შეტანილი, რასაც ან სრულებით არა აქვს მნიშვნელობა საქმისათვის, ან და რაც საქმეში უკვე დაგროვილ მასალებით საკმაოდ და უდავოდ არის გამოჩვენებული. იმის გამო, რომ დათვალეობების ოქმში საქმისათვის საჭირო ცნობები ამომწურავლად არ არის აღნიშნული, ხშირად სასამართლოს სჭირდება ადგილობრივი დათვალეობების მეორედ და ზოგ შემთხვევაში მესამედ მოხდენაც კი, რაც საქმეს სრულებით უმიზნოდ ავიანურებს. 2. ადგილობრივი დათვალეობების დროს ხშირად არ სწარმოება იმ მოწმეების დაკითხვა, რომლებიც ჩვენებასაც ღირებულება ეკარგება, თუ ისინი ადგილობრივ დათვალეობების ადგილას არ იქნებიან დაკითხული. ამ შემთხვევაშიც, იმისათვის, რომ ზევით აღნიშნული დეფექტები თავიდან ავიღებულები იქნენ, საჭირო არის, რომ მოსამართლე საქმეს დაწვრილებით იცნობდეს და წინააწინვე გათვალისწინებული ჰქონდეს ყველა ისეთი გარემოებები, რომლებიც გაუშუქებს საქმისათვის მნიშვნელობა აქვთ.

უზენაეს სასამართლოს სამოქ. საქს. საკრებულოს თავმჯდომარე აკოფოვი.

**ამონაწერი უზენაეს სასამართლოს პლენუმის სხდომის ოქმიდან. 1928 წ. 1 თებერვალი.**

**უზენაეს სასამართლოს თავმჯდომარის წინადადება, რათა გადასინჯულ იქნეს ზედამხედველობის წესით დუშეთის უზნის სახალხო სასამართლოს 1927 წ. 30 სექტემბრის გამწესრიგებულ სხდომის დადგენილება საქმეზე სარჩელისა გამო მიხეილ ბაზაზაშვილისა—გიგუცა და მარიამ მოხევიშვილებთან. მომხს. ს. ხანკალაშვი. საქ. № 14.**

მიიღო რა მხედველობაში, რომ სისხლის სასამართლოს საქმის გამწესრიგებულ სხდომაზე მოსპობის შემდეგ სასამართლო ვალდებული იყო სამოქალაქო საქმე ხელახლა დაენიშნა საჯარო სხდომაზე განსახილველად მხარეების გამოწვევით და მხოლოდ არსებით განხილვის შემდეგ გამოეტანა თანახმა ს. ს. ს. კ. 176 მ, გადაწყვეტილება, რაც სასამართლომ არ შეასრულა და მით დაარღვია ს. ს. ს. კ. 95 და 176 მ. მ.,—დაადგინა: დუშეთის უზნის სახალხო სასამართლოს 1927 წ. სექტემბრის 30 გამწესრიგებულ სხდომაზე გამოტანილი დადგენილება ბაზაზაშვილზე აღმასრულებელ ფურცლის გაცემის ნაწილში გაუქმდეს და სამოქალაქო საქმე არსებითად განსახილველად გადაეცეს ფასანაურის უზნის სახალხო სასამართლოს.

**უზენაეს სასამართლოს თავმჯდომარის წინადადება, რათა გადასინჯულ იქნეს ზედამხედველობის წესით აღმოსავლეთ საქართველოს ყოფილ ოლქის სასამართლოს 1926 წ. 15—18 თებერვლის გადაწყვეტილება საჩჩელისა გამო იაკობ კონსტანტინეს-ძე ზუბალაშვილისა „ზარია ვოსტოკა“-ს რედაქციასთან ბინის ქირის შესახებ და უზენაეს სასამართლოს საკასაციო საკრებულოს 1926 წ. 14—16 აპრილის დადგენილება, რომლითაც დამტკიცებულია აღნიშნული გადაწყვეტილება. მომხს. ი. სურგულაძე.**

აღმოსავლეთ საქართველოს ოლქის სასამართლოს 1925 წ. 17 აპრილის თარიღით აღძრულ სარჩელით მაძიებელი ზუბალაშვილი მოითხოვდა ბინის ქირას „ზარია ვოსტოკა“-ს რედაქციისადგენ 1924 წ. დეკემბრის თვიდან. საქმეში მესამე პირათ ჩამბმული იქნა ქ. ტფილისის აღმასკომი. ოლქის სასამართლომ დააკმაყოფილა სარჩელი და ოლქის სასამართლოს გადაწყვეტილება კი დამტკიცებულია უზენაეს სასამართლოს საკასაციო საკრებულოს 1926 წ. 14—16 აპრილის დადგენილებით. ზედამხედველობის წესით შემოტანილ საჩივარში ქალაქის აღმასკომის იურიკონსულტი ამტკიცებს, რომ შენობა, რომელშიდაც მოპასუხე „ზარია ვოსტოკა“-ს რედაქცია არის მოთავსებული, უნდა ცრობიოდ იქნეს მუნიციპალიზაციაში გადასცემული და, როგორც საფუძველს, უთითებს ტფილისის რეკომის 1924 წლის 18 ნოემბრის ბრძანებას № 50 და საქართველოს ცაკის 1924 წლის 5 სექტემბრის დადგენილებას № 79.


უზენაეს სასამართლოს პლენუმმა მიიღო რა მხედველობაში, რომ ბრძანება № 50 არ გულისხმობს ისეთ დაწესებულებას,


გორც ვაზეთის რედაქცია, რომ, სახელდობრ აღნიშნული შენობა პირველივე მუხლი მკაფიოდ განმარტავს, რომ მუნიციპალიზაციის მიხედვით ითვლება პროფესიონალურ და საბჭოთა დაწესებულებათვის ადებული სახლები, სასტუმროები, დასაბინებელი ეზოები, ბაზრები, აბანოები, თეატრები, კინომატორაფები, სავაჭრო და სარეწველო დაწესებულებათა და საწყოთა შენობები. თუმცა აღნიშნული ბრძანების 22 მუხლში ნახსენებია კანტორები, მაგრამ ამ მუხლის დასაწყის სიტყვებიდან აშკარა არის, რომ მას მხედველობა აქვს სავაჭრო კანტორა, რომელსაც ვაზეთის რედაქცია არ მიეკუთვნება. რომ ცაკის დადგენილება № 79, რომელსაც ქალაქის იურიკონსულტი უთითებს 1923 წლის 26 სექტემბრის დეკრეტის მე-3 მუხლის და 1924 წ. 6 აგვისტოს დეკრეტის 1-ლ მუხლის განმარტებას წარმოადგენს და ვრცელდება მხოლოდ იმ შენობებზე, რომელნიც აღნიშნულ დეკრეტის თანახმად ნაციონალიზაცია ან მუნიციპალიზაცია ქიწილათ უნდა იქნეს ცნობილი, რომ, ამიტომ № 79 დადგენილებაზე მითითებამდე საჭირო იყო იმის დასაბუთება, რომ სადა შენობაზედ ეს დეკრეტი ვრცელდება, რომ ეს საკითხი უარყოფითად უნდა იქნეს გადაჭრილი, ვინაიდან საქმეში უდავოდ არის დამტკიცებული, რომ საქართველოს გასაბჭოების მომენტიდან სახლი მუდმივ ზუბალაშვილის მფლობელობა-სარგებლობაში იმყოფებოდა. აღნიშნულის მიხედვით დაადგინა: აღმოსავლეთ საქართველოს ყოფილ ოლქის სასამართლოს 1926 წ. 15—18 თებერვლის გადაწყვეტილება და სასტუმროებით უზენაეს სასამართლოს 1926 წლის აპრილის 14—16 დადგენილებით დამტკიცდეს.

**უზენაეს სასამართლოს თავმჯდომარის წინადადება, რათა გადასინჯულ იქნეს ზედამხედველობის წესით აბაშის უზნის სახალხო სასამართლოს 1927 წ. 10—12 სექტემბრის გადაწყვეტილება საქმეზე მაიკო და მაქრინე პაპავებისა—პროკოფი უნგელიასთან მედიატორული გადაწყვეტილების გაუქმების შესახებ, რაც დამტკიცებულია ქ. ქუთაისის უზენაეს სასამართლოს მუდმივი სესიის 1927 წ. დეკემბრის 8—10 დადგენილებით. მომხს. ა. აკოფოვი. საქმე № 23—28 წ.**

საქმის გარემოება შემდეგია: სამტრედიის უზნის სახალხო სასამართლოს მიმართა თხოვნით ქ. სამტრედიის მცხ. მაიკო პაპავემ, რომელშიც აღნიშნა, რომ მისმა ქმარმა ლევან პაპავემ მედიატორული წესით გადასცა მთელი ქონება: მიწები და ნაღვომობა მის შეუკითხავათ პროკოფი უნგელიას. სასამართლოს 1927 წ. აპრილის 15 დღის დადგენილებით ამ საქმეში დაუგვიდა იქნება მესაუე პირად მოსარჩლის მხრივ მაქრინე პაპავე პირადად და როგორც მეურვე მეორე წილან შეიღობის. სასამართლომ 1926 წ. ნოემბრის 19 დადგენილებით მედიატორული გადაწყვეტილება 1926 წ. აგვისტოს 12 მიმართულია შესასრულებლად. მაიკო პაპავემ შეიტანა ქ. სამტრედიის სახალხო სასამართლოში 1927 წ. თებერვლის 12 განცხადება და მოითხოვა სამედიატორი დადგენილების გაუქმება. სასამართლოს 15—16 აპრილის 1927 წ. გადაწყვეტილებით მოსარჩელეს ძიებაში უარო ეთქვა, რაც დასავლეთ საქართველოს ყოფილ ოლქის სასამართლოს სამოქალაქო საკასაციო საკრებულომ 1927 წ. 21 ივნისის დადგენილებით გააუქმა და საქმე ხელახლა განსახილველად გადასცა აბაშის უზნის სახალხო სასამართლოს, რომელმაც მხარეთა ახსნა-განმარტების მოსმენის შემდეგ 1927 წ. 10—12 სექტემბრის გადაწყვეტილებით ძიება მოსარჩლისა მედიატორულ გადაწყვეტილების გაუქმების შესახებ დააკმაყოფილა, რაც ქ. ქუთაისის უზენაეს სასამართლოს მუდმივმა სესიამ დამტკიცა.

სამტრედიის სახალხო სასამართლოს დადგენილება, რომლითაც სამედიატორო გადაწყვეტილება მიმართულია შესასრულებლად არ არის სწორი, ვინაიდან სამედიატორო სასამართლომ მსჯელობის საგნათ გაიხადა მხარეთა შორის ამტყდარი დავა ადგილ-მამულზე და შენობაზე, რაც ეწინააღმდეგებოდა სამ. სამ. საპრ. კოდ. 199 მუხ. შენიშვნას, როგორც ეს განმარტა უზენაეს სასამართლოს პლენუმმა 1927 წლის ივნისის 15 პლენ. ოქმი № 8 პ. 3 (4). კანონის მოთხოვნის ასეთი დარღვევა მოსამართლეს აძლევდა საშუალებას ეცნო, რომ გადაწყვეტილება არ შეესაბამებოდა სამედიატორო სასამართლოსათვის დადებული წესს და ეწინააღმდეგებოდა კანონს და ამიტომ არ უნდა გაეცა განკარგულება განჩინების შესასრულებლად. თანახმა სამ. სამ. საპრ. კოდ. 203 მუხ. შეიძლება იმავე კოდ. 249 მუხლი) წესით მხოლოდ აღსრულების ფურცლის გაცემასე სასამართლოს უარის განსაჩივრება. რაც შეეხება სასამართლოს განკარგულებას სამედიატორო სასამართლოს გადაწყვეტილების შესასრულებლად აღსრულების ფურცლის გაცემის შესახებ, ასეთი არ განსაჩივრდება და მხარეებს შეუძლიათ მხოლოდ აღძრონ შუამდგომლობა დადგენილების ზედამხედველობის წესით გადასინჯვის შესახებ (იხ. უზენ. სასამ. ცირკულიარი 1925 წ. 31 მარტის № 6). სასამართლოს კი არ ჰქონდა უფლება მიეღო თავის წარმოებაში განცხადება მოქ. პაპავეს სამედიატორო სასამართლოს 1926 წ. აგვისტოს 12 გადაწყვეტილების გაუქმების შესახებ. ამიტომ აღძრულ საკითხის გამო სასამართლოს დადგენილებები უნდა გაუქმდეს და საქმე წარმოებით მოისპოს,—დაადგინა: ქ. ქუთაისის მუდმივი სესიის 1927 წ. დეკემბრის 8—10 დადგენილება, რომლითაც დამტკიცებულია აბაშის უზნის სა-





ხალხი სასამართლოს 1927 წ. 10—12 სექტემბრის გადაწყვეტილება და სამტრედიის 1926 წ. ოქტომბრის 19 დადგენილება გაუქმდეს და საქმე წარმოებით მოიხსოს.

**რესპუბლიკის პროკურორის პროტესტი ქ. ტფილისის შრომის სახალხო სასამართლოს 1927 წ. 9—10 ნოემბრის გადაწყვეტილებაზე სარჩილისა გამო ბარბარე კლამკაროვისა ა/კ. ფოსტა-ტელეგრაფის ოლქის სამმართველოსთან სამსახურში აღდგენაზე, რაც დამტკიცებულია უზენაეს სასამართლოს საკასაციო საკრებულოს 1927 წ. 1 დეკემბრის დადგენილებით. მომხს. ვ. ბერბერაშვილი. საქ. № 25—28 წ.**

ტფილისის ოლქის კავშირ გამბელობის კანტორასთან არსებულ შემფასებელ საკონფლიქტო კომისიას 1927 წ. 19 სექტემბრის განუხილავს საქმე კანტორის თანამშრომელ ბარბარე კლამკაროვის სამსახურიდან უკანონო მოხსნის შესახებ და მუშათა ფრაქციის წარმომადგენელი კლამკაროვის ასულის დათხოვნაზე არ დასთანხმებია, ამიტომ საქმე გადაუციათ კონფლიქტის სახით შრომის სასამართლოში განსახილველად; სასამართლოს გამომძიებით დადსტურებულა, რომ მოსარჩლე კლამკაროვი დაუთხოვნიათ სამსახურიდან და შემდეგ გადაუყვანიათ ქ. ბაქოში იმავე თანამდებობაზე, საიდანაც იმის მაგიერ გადმოუყვანია სხვა თანამშრომელი; კავშირის წარმომადგენელმა სასამართლოს განუძარტა, რომ მოსარჩლე კლამკაროვი კარგი მომუშავე არის, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ის დათხოვნილი იქნა კერძო ინტერესებით და შემდეგ უნდა გადაეყვანათ ქ. ბაქოში იმავე სამსახურზე, რომ შის თანამდებობაზე ბაქოდან გადმოუყვანიათ სხვა თანამშრომელი; სასამართლომ მოსარჩლეს უარი უთხრა თანამდებობაში აღდგენაზე 1927 წ. 9—10 გადაწყვეტილებით, რაც დაადსტურა უზენაეს სასამართლოს საკასაციო საკრებულომ 1927 წ. 1-ლ დეკემბრის; აღნიშნულ გადაწყვეტილებაზე შემოიტანა პროტესტი რესპუბლიკის პროკურორმა და მოითხოვა გადაწყვეტილების გაუქმება და საქმის ხელახლა განსახილველად გადაცემა.

ვინაიდან სასამართლოს გადაწყვეტილება არ შეეფერება საქმეში დაგროვილ მასალას და არ გამომდინარეობს საქმის ფაქტობრივ გაერმოვებიდან, რადგან, როგორც საქმიდან სჩანს, კავშირის დათხოვნაზე თანხმობა არ მოუცია, პირობით კავშირის წარმომადგენელი სასამართლოს უცხადებს საჯარო სხდომაზე, რომ მოსარჩლე კერძო ინტერესებით არის დათხოვნილი და მისი ბაქოში გადასაცვანათ პრაქტიკადები საბაბი არ იყო, რომ თანახმად შრომის კანონთა კოდექსის 37 მუხლისა დაქირავებულის ერთ საწარმოდან მეორეში გადაყვანა შეიძლება მხოლოდ წარმოების სარგებლობისათვის, რაც აშკარა უნდა იყოს და გარეშე ამისა თანამშრომლის გადაყვანა დაუშვებელია; სასამართლო ვალდებული იყო თანამშრომელი კლამკაროვის ასული აღდგენა თავის უფლებებში, მოყვანილ მოსახრებათა გამო დაადგინა: რესპუბლიკის პროკურორის პროტესტი დამტკიცდეს და ქ. ტფილისის შრომის სახალხო სასამართლოს 1927 წ. 9—10 ნოემბრის გადაწყვეტილება ბარბარე კლამკაროვის სარჩილისა გამო ფ.ტ. ოლქის სამმართველოსთან სამსახურში აღდგენის შესახებ დამტკიცებული უზენაეს სასამართლოს საკასაციო საკრებულოს 1927 წ. 1 დეკემბრის დადგენილებით გაუქმდეს და საქმე გადაეცეს იმავე სასამართლოს ხელახლა განსახილველად სხვა შემადგენლობაში.

**უზენაეს სასამართლოს თავმჯდომარის წინადადება, რათა გადასინჯულ იქნეს ზედამხედველობის წესით სენაკის უბნის სახალხო სასამართლოს 1927 წ. 14 ოქტომბრის განაჩენი ბრალდებისა გამო ტარასი ჯოლოგუას, მაქსიმე შამათავას, ანდრო და ერმილე ყურუებისა სისხ. სამ. კოდ. 192 მუხ. მიხედვით, რაც დამტკიცებულია ქუთაისის უზენაეს სასამართლოს მუდმივი სესიის 1927 წ. 3 დეკემბრის დადგენილებით. მომხს. ა. გალუსტიანი. საქ. № 22—28 წ.**

სენაკის უბნის სახალხო სასამართლოს 1927 წ. 14 ოქტომბრის განაჩენით ტარასი ჯოლოგუა, სანდრო ყურუა, მაქსიმე შამათავა და ერმილე ყურუა ცნობილი არიან დამნაშავეებათ ს. ს. კ. 18 და 192 მ. გათვალისწინებულ დანაშაულში, რაც გამოიხატება პირ-

ველი სამის მხრივ 1925 წ. 3 აგვისტოს გარდაცვალებულ გვადაჯოლოგუასთან იჯარის ხელშეკრულების დადებაში წინასწარ რეგისტრაციაში გაუტარებლათ, ხოლო უკანასკნელის მხრივ ამ დანაშაულისათვის ხელის შეწყობაში, რისთვისაც სოციალური დაცვის ღონისძიების სახით შეფარდებული აქვთ თვითესო თავისუფლების აღკვეთა ორი თვით, რისგანაც 1925 წ. 7 ნოემბრის ამნისტიის ძალით განთავისუფლებული არიან, ხოლო იჯარით გაცემული მიწა ჩამორთმეული და გადაცემულია აღმასკომის ფონდში; განაჩენი განსახიერებული იყო მსჯავრდადებულების მიერ, ხოლო უზენაეს სასამართლოს ქუთაისის სესიის სისხლის სამართლის კოლეგიის 1927 წ. 3 დეკემბრის დადგენილებით საჩივარი დატოვებული იყო უშედეგოთ. მსჯავრდადებულებმა შეიტანეს საჩივარი ზედამხედველობის წესით, რის გამო ეს საქმე გამოთხოვილია უზენაეს სასამართლოს თავმჯდომარის მიერ.

მიიღო რა მხედველობაში, რომ მიწის კოდ. 25 მუხ. აკრძალულია მიწის გასხვისება, რომ მიწის იჯარით გაცემა არ ჩაითვლება მის განსხვისებათ, რომ მიწის იჯარით გაცემისათვის კანონით გათვალისწინებულია განსაზღვრული წესი, რომლის დაუცველობას თანახმად სამ. კოდ. 29 მუხლისა შეუძლია გამოიწვიოს მხოლოდ გარიგების გაბათილება, რასაც შედეგათ უნდა მოჰყვეს მხარეების ჩაყენება პირვანდელ მდგომარეობაში, თანახმად იმავე კოდ. 151 მუხ., რომ მხარეთა შორის დადებული ხელშეკრულება აღნიშნულ შემთხვევაში უნდა ცნობილი იქნეს გაბათილებულად საადგილ-მამულა საკრებულოს დადგენილებით, რომ სასამართლომ შეუფარდა მსჯავრდადებულებს ისეთი ამნისტია, რომელიც სინამდვილეში არც კი არსებობს, ვინაიდან 1925 წ. 7 ნოემბრის ამნისტია არ ყოფილა, —დაადგინა: სენაკის უბნის სახალხო სასამართლოს 1927 წ. 14 ოქტომბრის განაჩენი და უზენაეს სასამართლოს 1927 წ. 3 დეკემბრის დადგენილება გაუქმებული იქნეს თანახმად ს. ს. კ. 414 მ. 20. 21, 417 და 4 მ. 5 ბ. საქმე წარმოებით მოიხსოს, ხოლო წინადადება მიეცეს სახალხო სასამართლოს, რათა აცნობოს სამაზრო აღმასრულებელ კომიტეტის საადგილ-მამულა განყოფილებას სათანადო ზომების მისაღებათ, რომ საადგილ-მამულა კოლეგიის საშუალებით გაუქმებულ იქნეს მხარეთა შორის დადებული იჯარის ხელშეკრულება.

**მარტის 17 ოქმბიდან**

**3. შრომის სასამართლოს მომართვა, რათა განმარტებულ იქნეს, შეიძლება თუ არა უფლებებში აღდგენა სამსახურიდან დათხოვნილი თანამშრომლის, უკეთუ მასზე საქმე მოსპობილი იქნება სისხ. სამ. საპრ. კოდ. 41 მუხ. მიხედვით. მომხს. აშ. გალუსტიანი.**

ს. ს. კ. 41 მუხ. მიხედვით სასამართლოს უფლება აქვს უარი სთქვას სისხლის სამართლის საქმის აღძვრაზე უნდა მოსპოს იგი იმ შემთხვევაში, როდესაც, თუმცა ჩაენი ქმედლობაში მოიპოვება სისხლის სამ. კოდექსით გათვალისწინებული დანაშაულის ნიშნები, მაგრამ იგი თავის შედეგით მცირეა, უმნიშვნელო და არარად ჩანათვლილი და უკვე ამასთანავე სისხლის სამართლის დევნის აღძვრა და საქმის წარმოება აშკარად მიზან შეუწყონელია. აქედან სჩანს, რომ ს. ს. კ. 41-მ. მიხედვით საქმე მოიხსობა იმ შემთხვევაში, როდესაც დამნაშავეს ქმედობა ფორმალურად შეიცავს დანაშაულის შემადგენელ მახას, რაც მტკიცდება სასამართლოს დადგენილებით, რომელსაც ამ შემთხვევაში აქვს ძალა განაჩენისა, რომელიც ჰულისხმობს შრომის კან. კოდ. მე-47 მუხ. პ. აღ. აქედან გამომდინარეობს ის დასკვნა, რომ მშრომელს, რომლის შესახებ საქმე ისობა ს. ს. კ. 41 მუხ. მიხედვით არა აქვს უფლება მოითხოვოს სამსახურებრივი აღდგენა ან განაცდენი დროის ხელფასი. რადგან ასეთი უფლება ეკუთვნის მხოლოდ გამართლებულს, ან ისეთ პირს, რომლის შესახებ საქმე მოსპობილი იქნება ს. ს. კ. მე-4 მუხ. 5 პ. ძალით. მშრომელს აქვს უფლება ისარგებლოს ს. ს. კ. მე-41 მუხ. 1 მუხ. შინაგან, ე. ი. მოითხოვოს საქმის განხილვა რეაბილიტაციის მიზნით. იმ შემთხვევაში, თუ მშრომელის უდანაშაულობა დამტკიცებული იქნება საქმის გარჩევის დროს, სასამართლო გამოიტანს გამამართლებელ განაჩენს, რის შემდეგ მშრომელს მიეცემა უფლება მოითხოვოს როგორც სამსახურებრივი უფლებებში აღდგენა ისე განაცდენი დროის ხელფასის ანაზღაურება. წინააღმდეგ შემთხვევაში, ე. ი. თუ გამოტანილი იქნება გამამტყუნებელი განაჩენი—ასეთი უფლება მშრომელს არა აქვს.

**გამომცემელი:**  
საბ. ს. ს. რ. იუსტიციის  
სახალხო კომისიარიათი.

პასუხისმგებელი რედაქტორი: ი. ვარციელი.  
სარედაქციო კოლეგია: ა. კაჭარავა, თ. დოლიძე,  
ი. როინაშვილი, პროფ. ვ. ნუცუბიძე, ს. ჯაფარიძე,  
კ. მიქელაძე, პ. ქავთარაძე.



# „საბჭოთა სამართლის“ ხელისშეწყობით საყურადღებოდ რედაქცია აცხადებს:

- I. **სამაზრო სასამართლოებს:** დაახლოონ ჟურნალის საფასურში დღემდე მიღებული ფულის და ანგარიშების გადმოგზავნა და აგრეთვე მოძავალში რეგულარულად აწარმოონ ანგარიშები რედაქციის წინაშე.
- II. **პერსონალურ ხელისშეწყობებს,** როგორც ადგილობრივ, აგრეთვე მასშრებში, რომლებთანაც სრულად არ გადუსდიათ ხელის მოწერის საფასური: დროზე შემოიტანონ მათზე დარჩენილი დავალიანება.
- III. **სამთავრო ხელისშეწყობებს:** ჟურნალ „საბჭოთა სამართალზე“ დაახლოონ ხელისმოწერის განახლება, ვინაიდან ძველსე ნომრის შემდეგ მათ შეუწყდათ ჟურნალის მიწოდება.

**საქართველო. ს.ს.რ. იუსტსახკომის გამომცემლობა**

**დაიბეჭდა**

საქ. სოც. საბჭ. რესპუბლიკის

**სისხლის სამართლის კოდექსი**

1928 წ. რედაქციით

წიგნი იყიდება სახელგამის ყველა მაღაზიებში და აგრეთვე მაზრის ცენტრებში სახალხო მოსამართლეებთან. ბითუმად იუსტსახკომის გამომცემლობის საფურცელი.

შეკვეთით უნდა მიმართონ: ტფილისი, ტრიბუნალის ქ. № 32, იუსტსახკომის გამომცემლობას.